პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 14 ივნისი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 134 (2480)

დღიური

- მცირე ანტანტის ნოტა რუმინეთის მთავრობას.
- ინგლისის საქმიანი წრეები კმაყოფილი არიან ჰენდერსონის განცხადებით ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის აღდგენის შესახებ.
- მღელვარება ავსტრალიის მემაღაროეთა შორის.
- რეპრესიები საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ მანჯურიაში.
- რევოლიუციონურ ფეიქრების დევნა ჩრდ. ამერიკაში.
- მაკდონალდი შეერთებულ შტატებში აპირებს გამგზავრებას.
- ბრიანისა და შტრეზემანის „არაოფიციალური“ თათბირი.
- შეტაკება საფრანგეთის ჯარსა და აჯანყებულებს შორის მაროკოში.

პარასკევს, ივნისის 14-ს, მთავრობის სასახლეში
შესდგება
საქ. სსრ ეკონომიური საბჭოს მორიგი სხდომა
დასაწყისი დღის 12 საათზე
საქ. სსრ. სახკომსაბჭოს და ეკონომიური საბჭ. საქმ. მმართველი პრ. მეგრელიშვილი

კოლმეურნეობათა მშენებლობის ნაკლოვანებანი

კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა ჩვენში, ისე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ფართოდ გაიშალა. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. მიღწევები ამ მხრივ მეტად თვალსაჩინოა. კოლმეურნეობანი გაიზარდნენ რაოდენობრივად, ორგანიზაციულად და ეკონომიურად. ისინი უკვე შეიჭრნენ ჩვენი სოფლის ყოველდღიურობაში. კოლექტივიზაციის იდეა დღეს გაცილებით უფრო პოპულიარულია გლეხთა ფართო მასებში, ვიდრე ეს იყო ამ რამოდენიმე წლის წინად.

მაგრამ, როგორც ყველა დიდ და შედარებით ახალ საქმეში, ისე ამ შემთხვევაშიაც, ადგილი აქვს დეფექტებსაც. და მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს მიღწევებთან ერთად კოლექტიურ მშენებლობის დარგში შემჩნეულია მეტად საგულისხმო უარყოფითი ხასიათის მოვლენები, რომელნიც დიდ დაბრკოლებას წარმოადგენენ კოლექტივიზაციის შემდგომი განვითარებისათვის. ამ მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა მიმართულ იქნას სათანადო ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოების განსაკუთრებული ყურადღება.

როგორია ის დაბრკოლებანი, რომელნიც წინ ელობებიან უკვე არსებულ კოლექტიურ მეურნეობათა ნორმალურ მუშაობას და კოლექტივების შემდგომ ზრდას?

ერთ-ერთ მთავარ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ხელმძღვანელობის სისუსტე. არის სათანადო ორგანოები, რომელნიც სპეციალურად მუშაობენ ამ მიმართულებით, გარდა ამისა ადგილობრივი პარტიული, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კოლექტივების საქმიანობას, უმეტეს შემთხვევაში ეს უკანასკნელნი აქტიურად ხელმძღვანელობენ კოლექტიურ გაერთიანებებს. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა კოლექტივიზაციის საქმის ხელმძღვანელობის დარგში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამაკმაყოფილებლად არ ჩაითვლება. ამის პირველ უარყოფით შედეგად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ კოლექტიურ მეურნეობებში მნიშვნელოვნად მოიკოჭლებს შრომის ორგანიზაციის საქმე. თავისთავად ცხადია, რომ რაციონალიზაცია, საზოგადოდ ყველგან, და, განსაკუთრებით, კოლექტიურ შრომაში ერთ-ერთი იმ მთავარ პირობათაგანია, რომელზედაც დიდად არის დამოკიდებული კოლმეურნეობის პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობითი ზრდა და ამ ზრდასთან დაკავშირებული სხვა დადებითი შედეგები. იმის გამო, რომ შრომის ორგანიზაციის საქმე მთელ რიგ კოლექტიურ გაერთიანებებში მოუწესრიგებელია, ბევრგან ადგილი აქვს კოლმეურნეობათა იდეურ დემორალიზაციას და ეკონომიურად დაჩიავებას. შრომის მოუწესრიგებლობაშივე უნდა ვეძებოთ იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ კოლექტიურ გაერთიანებათა საქონლიანობა ბევრ შემთხვევაში მეტად უმნიშვნელოა.

ამავე დროს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდგომ განვითარებას დიდად აფერხებს ის მდგომარეობაც, რომ კოლექტივებში შემავალ ცალკე წევრთა შორის ადგილი აქვს არანორმალურ ურთიერთ დამოკიდებულებას. გარდა იმისა, რომ ეს ნაკლიც ხშირად სუსტი ხელმძღვანელობის შედეგია, უნდა აღინიშნოს ის მთავარი მიზეზი, რომელიც იწვევს კოლექტივში არაამხანაგურ დამოკიდებულებას. ეს მიზეზი ბევრ შემთხვევაში სათავეს ღებულობს კოლექტივის დაარსების დროს დაშვებულ შეცდომებიდან. ცხადია, რომ კოლექტიური მეურნეობის წარმატებით განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად დამაკმაყოფილებლად არის შერჩეული კოლექტიურ მეურნეობის შემადგენლობა, როგორ არის მოწესრიგებული ცოცხალი და მკვდარი საერთო ინვენტარის გამოყენების საქმე და სხვ. არის შემთხვევები, როცა კოლექტივი იქმნება სათანადო წინასწარი სამზადისის ჩაუტარებლად, როცა ამ დიდ საქმეში ადმინისტრატიული ღონისძიებანი სჭარბობენ ორგანიზაციულ-იდეურ ღონისძიებებს. ამას კი მეტ წილად უარყოფითი შედეგები მოსდევს, რაიც ზოგჯერ ჩანასახშივე სპობს კოლმეურნეობის განვითარების შესაძლებლობას. ასეთი მდგომარეობა იმდენად დიდ ზიანს აყენებს კოლექტივიზაციის იდეას, რომ მისი გამოსწორება შეუძლებელი ხდება ხანგრძლივი და ენერგიული მუშაობის ჩაუტარებლად.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობისათვის იმას, თუ რამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ესა თუ ის კოლმეურნეობა გლეხთა ფართო მასებთან. სინამდვილეში ეს კავშირი ბევრგან მეტად სუსტია. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ კოლექტიურ გაერთიანებას დასჩემდა კარჩაკეტილობის სენი. აშკარაა, ასეთი მდგომარეობა ყოვლად დაუშვებელია მთელ რიგ მოსაზრებათა გამო. კოლექტიურ გაერთიანების მთავარი დანიშნულებაა გაუძღვეს სოფელს ახალი მშენებლობის განვითარების გზით, საკუთარი მაგალითით შეუწყოს ხელი გლეხის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნას, ახალ ყოფა-ცხოვრების განმტკიცებას და სხვ. ყოველივე ეს მხოლოდ ფუჭი ოცნება იქნება, თუ კოლექტიურ გაერთიანებას უმჭიდროესი კავშირი არა აქვს გლეხთა ფართო ფენებთან. მით უფრო დაუშვებელია კოლმეურნეობათა მუშაობის პრაქტიკაში ისეთი შემთხვევები, როცა კოლექტიურად დარაზმული ერთეულები თავის ინტერესებს უპირისპირებენ ღარიბ და საშუალო გლეხების ინტერესებს. ამით ისინი ხელს უწყობენ კულაკობის პროვოკაციას კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, რასაც გლეხთა ჩამორჩენილ ფენებში ჯერ-ჯერობით კიდევ აქვს გასავალი, მართალია ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია, მაგრამ ეს გაფრთხილება მაინც საჭიროა, რომ ამგვარ უაღრესად მავნე გადახრის შესაძლებლობა ძირშივე აღკვეთილ იქნას კოლმეურნეობათა შემდგომ მუშაობაში.

ასეთია ის ზოგიერთი მთავარი ნაკლოვანებანი, რომელნიც იპყრობს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარების მიმდინარე პერიოდში. ენერგიული ბრძოლა ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ მორიგ და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე

კომინტერნის მეექვსე კონგრესმა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მნიშვნელოვან ამოცანად დასახა ბრძოლა ომისა და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მზადების წინააღმდეგ. საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში ომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი პირველად იქნა ასე ყოველმხრივ განხილული და პრაქტიკულად დასმული. კომინტერნს არ სჭირდება დეკლამაცია ომის წინააღმდეგ, დეკლამაცია, რომელიც, როგორც ცნობილია, მეორე ინტერნაციონალის გმირების სპეციალობას შეადგენს. მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალები მით უფრო მეტი პათოსით „ილაშქრებენ“ ომის წინააღმდეგ, რაც უფრო მეტი ენერგიით ეხმარებიან ისინი პრაქტიკულად სამხედრო კონფლიქტების მომზადების საქმეს. არა დეკლამაცია ომის წინააღმდეგ, არამედ ყოველდღიური, შეუპოვარი და სისტემატიური ბრძოლა კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ, ბრძოლა ლოზუნგით: „მტერი ჩვენ საკუთარ ქვეყანაშია“. ასეთია ის მითითებანი, რომლებიც მისცა კომინტერნმა კაპიტალისტ. ქვეყნების კომპარტიებს. იმ მიზნით, რომ ბრძოლა ომის წინააღმდეგ განზოგადოებული იქნეს, რომ ჯამი გაუკეთდეს ჩატარებულ მუშაობას, რომ საკითხი დაყენებულ იქნეს პრაქტიკულ ნიადაგზე და ომის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა აგიტაციისა და პროპაგანდის სფეროდან გადატანილ იქნეს პოლიტიკური მოქმედების სფეროში, კომინტერნის კონგრესმა გადასწყვიტა დანიშნული იქნეს ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე. ამით ომის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა გამოტანილია ქუჩაში.

უკვე კონგრესის შემდეგ კომინტერნმა ეს დემონსტრაცია დანიშნა მიმდინარე წლის 1-ლ აგვისტოს. ეს დღე არჩეულია იმ მიზნით, რომ რეფორმისტულ ფრაზას დაუპირდაპირდეს კომუნისტური მოქმედება. ეს დღე არჩეულია იმიტომ, რომ 4 აგვისტოს საერთაშორისო რეფორმიზმი მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების სახით დაპირებას იძლევა „ბრძოლის“ ომის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცნობთ ამ მილიტარისტ-სოციალისტებს. მეორე მხრივ მათ იცნობს საერთაშორისო ბურჟუაზიაც. თუ რეფორმისტების მომავალ დემონსტრაციას თანაგრძნობით უყურებს საერთაშორისო რეაქცია, სამაგიეროდ პირველი აგვისტოსათვის დანიშნული საერთაშორისო წითელი დღე უკვე ეხლავე იწვევს საერთაშორისო კაპიტალის გააფთრებას. რკინის და ფოლადის ბარონებმა, ქიმიის მეფეებმა და მათმა სოციალ-დემოკრატ ლაქიებმა იციან, რომ ბრძოლა ომის წინააღმდეგ კომინტერნისთვის არ არის ცარიელი ფრაზა და ამიტომ ისინი უკვე ეხლავე ემზადებიან ხიშტებს დაუპირისპირონ 1 აგვისტოს საერთაშორისო დემონსტრაციას.

სოციალ-დემოკრატები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ის ფაქტი, რომ ევროპის ორ უდიდეს ქვეყანაში (ინგლისი და გერმანია) ხელისუფლების სათავეში არიან მეორე ინტერნაციონალის ბელადები, უზრუნველჰყოფს მშვიდობიანობის საქმეს. ეს—უსირცხვილო სიცრუეა. ბურჟუაზია ომს ამზადებს სწორედ ამ თვალთმაქცი „პაციფისტური“ მოლაყბეების საშუალებით. როცა ომი დაიწყება ბურჟუაზია ხელმძღვანელობას თვითონ აიღებს ხელში. თუ 1924 წელს, ხელისუფლების სათავეში მაკდონალდის ჩადგომის დროს, კომინტერნი აღნიშნავდა პაციფისტური ილიუზიების „ხანის“ დადგომას, ახლა უფრო ძნელი გახდა მასების მოტყუება პაციფისტური ლეგენდებით.

მას შემდეგ გაძლიერდა ომის საფრთხე. ნიშნები „მესამე პერიოდისა“, რომელსაც ახასიათებს წინააღმდეგობათა გამწვავება იმპერიალისტურ ბანაკში, განსაკუთრებით მკაფიოდ და მკვეთრად იჩენენ თავს. შეიარაღება გაძლიერებული ტემპით წარმოებს. კაპიტალისტური ქვეყნების არასაკმაოდ შეგნებული მუშებიც კი იგებენ, რომ ომები მოისპობა მხოლოდ იმ წყობილების დამხობით, რომელიც იწვევს იმპერიალისტურ ომებს.

ამგვარად, ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის საკითხი არამც თუ არ მოიხსნა ინგლისის ხელისუფლების სათავეში მუშათა პარტიის ჩადგომის შემდეგ, არამედ ეს საკითხი ინგლისისათვის და ინგლისის ბურჟუაზიისადმი დაქვემდებარებული ქვეყნებისათვის სდგება ახალ ნიადაგზე. თუ წინად პროტესტი ამ ქვეყნებში მიმართული იქნებოდა კონსერვატიული მთავრობის წინააღმდეგ, ეხლა ეს პროტესტი მიმართული იქნება მაკდონალდის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ხელუხლებლად სტოვებს კონსერვატიული მთავრობის ყველა სამხედრო გეგმას და რომელიც ისევე გულმოდგინეთ, როგორც სხვა „ნაციონალური“ პარტიები, განაგრძობს შეიარაღებას და კოლონიალურ ხალხების ჩაგვრას. პირველ აგვისტოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიდ ბრიტანეთში და მისდამი დაქვემდებარებულ კოლონიებში, კერძოდ ინდოეთში, რადგან ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩაგვრის მთელი აპარატი ამოძრავებული იქნება, რათა ჩაახშონ მშრომელთა ხმა მცირე ცდაც კი ომისა და ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ დემონსტრაციის მოსაწყობად.

რამდენადაც შეიძლება მსჯელობა ვიქონიოთ დღემდე მიღებული ცნობების მიხედვით, ომის წინააღმდეგ საერთაშორისო დღის იდეას უდიდესი თანაგრძნობით შეხვდნენ ყველა ქვეყანაში. უკვე წარმოებს ენერგიული მზადება ამ დღისათვის. კომინტერნი, პროფინტერნი და მათი მომხრე ორგანიზაციები ენერგიულად ემზადებიან საერთაშორისო ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციისათვის. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დარჩენილი დრო, რათა პირველი აგვისტო ნამდვილად გადაიქცეს მასიური მოქმედების დღეთ, რევოლიუციონური ძალების აღრიცხვის დღეთ, საბჭოთა კავშირის ყველა ჭეშმარიტი მეგობრის საერთაშორისო შემოწმების დღეთ.

ჩვენმა პარტიამ, რომელიც კომინტერნის უძლიერეს სექციას წარმოადგენს, მეტად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთაშორისო წითელი დღის ჩატარებაში. კაპიტალისტურ ქვეყნებში ეს დღე აღინიშნება გაფიცვებით და დემონსტრაციებით; კომინტერნის სექციები დასავლეთ ქვეყნებში ამ დღეს კონკრეტულად დაამტკიცებენ, რომ მიუხედავად მემარჯვენეთა და შემარიგებელთა მტკიცებისა, ეს სექციები დაშორებულნი არ არიან მასებისაგან, დაამტკიცებენ, რომ მასები მათ მისდევენ. საბჭოთა კავშირში ეს დღე უნდა აღინიშნოს მასიური დემონსტრაციებით და კაპიტალისტური ქვეყნების მუშებისა და ჩაგრული კოლონიალური ხალხებისადმი სოლიდარობის გამოცხადებით. ჩვენ, ძლევამოსილი რევოლიუციის ქვეყნის პროლეტარებმა ამ დღეს უნდა უჩვენოთ ყველას, რომ ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს იმას, რაც ხდება საზღვარ-გარედ. საკმაოა მოვიგონოთ, თუ როგორ ფხიზლად მოეპყრო ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი პირველი მაისის ამბებს გერმანიაში. გერმანიაში ყველაზე უფრო ნათლად იჩინა თავი სოციალური კონფლიქტების ზრდამ. საფრანგეთში, ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებში, ინდოეთში, იაპონიაში, ჩინეთში და ლათინურ ამერიკაში, ყველგან ვხედავთ ამ რევოლიუციონური პროცესის მომწიფებას, მასების ნებისყოფის ზრდას საბრძოლველად. 1 აგვისტოს საბჭოთა პროლეტარიატი მოახდენს თავის სოლიდარობის დემონსტრაციას გერმანიის და ინგლისის მუშებისადმი, ბომბეის გაფიცული ფეიქრებისადმი, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების დევნილი ზანგებისადმი, მთელი წყნარ ოკეანეს ნაპირების და ყველა კოლონიალური და ნახევრად-კოლონიალური ქვეყნების მუშებისადმი. საბჭოთა პროლეტარიატი კვლავ დაამტკიცებს თავის ორგანიულ კავშირს საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან და უაღრეს ერთგულებას იმ ძირითადი იდეებისადმი, რომლებიც გამოცხადებულ იქნა 1917 წლის ოქტომბერში.

ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე ანუ საერთაშორისო წითელი დღე უკვე ეხლავე იწვევს გააფთრებულ ლაშქრობას ბურჟუაზიის და მისი ლაქიების მხრივ. ისინი საქმეს ხატავენ ისე, რომ თითქოს კომინტერნმა რევოლიუცია „დანიშნა“ 1 აგვისტოსათვის. ამით ისინი აშინებენ ბურჟუას და ამზადებენ რეპრესიებს რევოლიუციონური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. თავისთავად ცხადია, რომ საერთაშორისო რევოლიუციის დანიშვნა 1 აგვისტოსათვის—მოჭორილი სიყალბე და სისულელეა. კომინტერნმა დანიშნა ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე, საბჭოთა კავშირთან სოლიდარობის საერთაშორისო დემონსტრაცია, საერთაშორისო შეტევა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საერთაშორისო მასიური პროტესტი ბურჟუაზიის სოციალ-დემოკრატი მაჩანჩალების წინააღმდეგ. ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე არის ქუჩებისათვის ბრძოლის დღე, ფაშისტური რეაქციისა და კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის დღე, ბრძოლის დღე მუშათა მოძრაობის განსათავისუფლებლად ბურჟუაზიული ან სოციალ-დემოკრატიულ გავლენისაგან.

დეე, საერთაშორისო ბურჟუაზია და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია ბრაზით აღივსონ ამ დღის წინააღმდეგ, დეე, მათ დახატონ საშინელი სურათი, რათა მუშების წინააღმდეგ აამხედრონ დაშინებული „ობივატელი“, დეე, მეორე ინტერნაციონალის გმირებმა, პაციფისტურმა მატყუარებმა და სოციალისტურმა მოლაყბეებმა ურჩიონ მუშებს, რომ ისინი ნუ გამოვლენ 1 აგვისტოს დღეს. კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს ვერ შეაშინებს მუქარა და ის არ დაუჯერებს სოციალ-დემოკრატ მოლაყბეებს. ისინი მოახდენენ დემონსტრაციას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ საბრძოლველად და საბჭოთა კავშირის დასაცავად. მასთან ერთად ამ დღეს საბჭოთა პროლეტარიატიც მოახდენს დემონსტრაციას კომინტერნის ამ ლოზუნგებისათვის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ლოზუნგებისათვის.

გაუმარჯოს ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს!

„პრავდა“, 12 ივნისი.

მაკდონალდის მთავრობის პირველი სხდომა

სხდომაზე განხილულ იქნა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხი

მუშათა პარტიის საპარლამენტო წრეებში აცხადებენ: „ურთიერთობა საბჭ. კავშირთან აღდგენილი იქნება ტელეგრაფითო“

ხელმოწერილია საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება

მაკდონალდის მთავრობა შეუდგა მუშაობას

ახალი კაბინეტის პირველი სხდომა

ლონდონი, 12 ივნისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, **ახალი კაბინეტის პირველ სხდომაზე განიხილეს ინგლის-ამერიკის ურთიერთობისა, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებისა და უმუშევრობის საკითხები.**

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრებს ჰკითხა: **უფრო რა სახითაა მოსალოდნელი საბჭოთა კავშირთან პირველი კონტაქტის დამყარებაო.**

„ეს უბრალო საქმეა, — უპასუხეს მათ. — **ფოსტა და ტელეგრაფი ყველასათვის ხელმისაწვდომიაო**“.

მოიწონეს ჰენდერსონის განცხადება

ლონდონი, 12 ივნისი. „დეილი ჰერალდ“-ის პოლიტიკური მიმომხილველის სიტყვით, რომელიც ესაუბრა ინგლისის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, ჰენდერსონის განცხადება იმის შესახებ, რომ მუშათა პარტიის მთავრობას სურს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა უფრო დამაკმაყოფილებელ ნიადაგზე დაამყაროს, ვიდრე ეს წარსულში იყოო, ერთსულოვნად მოიწონეს საქმიანმა წრეებმა. ზოგიერთებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ საექსპორტო კრედიტების საქმის გავრცელებას საბჭოთა კავშირზე შეუძლია დაეხმაროს ტომასს უმუშევრობასთან ბრძოლაში.

მინისტრების ამხანაგები

ლონდონი, 12 ივნისი. მოელიან მაკდონალდის მთავრობის სრული შემადგენლობის გამოქვეყნებას. სარწმუნო ცნობების თანახმად, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად ინიშნება დალტონი, კოლონიების მინისტრის ამხანაგად — **პონსონბი** და ფინანსთა მინისტრის ამხანაგად — **პეთიკ ლოურენსი**. (ადს)

რვა საათის სამუშაო დღე

ლონდონი, 12 ივნისი. ინგლისის შრომის ახალმა მინისტრმა მარგარიტა ბონფილდმა დაავალა ერთა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენელს ემბერტ ვოლფს — აცნობოს ვისაც ჯერ არს, რომ ინგლისის მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგება მზადებას ვაშინგტონის კონვენციის რატიფიკაციისათვის. ვაშინგტონის კონვენცია, როგორც ვიცით, ეხება 8 საათის სამუშაო დღის დაწესებას. (ადს)

მაკდონალდი შეერთებულ შტატებში გამგზავრებას აპირებს

ლონდონი, 12 ივნისი. რეიტერი იუწყება:

„სააგენტოს მიერ მიღებული ცნობის თანახმად, მაკდონალდმა საბოლოოდ გადასწყვიტა შეერთებულ შტატებში გამგზავრება ივლისის დამლევს, პარლამენტის სესიის შეწყვეტის შემდეგ“. (ადს).

ჩან-სუე-ლიანის ბანდები განაგრძობენ თავხედობას

ჩინეთის პრესის ჭორები

ხარბინი, 12 ივნისი. ჩინეთის პრესა განაგრძობს ჭორების ბეჭდვას იმის შესახებ, ვითომ საბჭოთა კავშირში რეპრესიებს მიმართავენ ჩინეთის საკონსულოების წინააღმდეგ. **სიცრუის ნიმუშს წარმოადგენს გაზეთებში მოთავსებული „აზიატიკ“-ის სააგენტოს დეპეშა, სადაც ლაპარაკია საბჭოთა მთავრობის რეპრესიების შესახებ ჩინეთის საკონსულოს მიმართ სახალინში.**

(სახალინი ჩინური ქალაქია ბლაგოვეშჩენსკის პირდაპირ, მდ. ამურის მეორე ნაპირზე; იგი შედის მანჯურიის ხეილუნძიანის პროვინციაში, სადაც ჩინელთა ხელისუფლებაა და სადაც არსებობს საბჭოთა კავშირის და არა ჩინეთის საკონსულო). (ადს)

რეპრესიები საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ

ხარბინი, 12 ივნისი. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის სკოლებში ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, გაჩხრიკეს საბჭოთა რკინის გზელების ბავშვები. დააპატიმრეს სკოლის დირექტორი და ორი მასწავლებელი. (ადს)

„სამარცხვინო ფარისევლური კომედია“

ერთა ლიგა აკანონებს ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრას

მადრიდი, 12 ივნისი. ერთა ლიგის საბჭომ წინასწარ განიხილა საკითხი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ.

მიღებულ იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სამეულის მოხსენების დასკვნები ეროვნულ უმცირესობათა საკითხის შესახებ გადაეცემა ლიგის საბჭოს.

„ევროპის ეროვნულ უმცირესობათა კონგრესის“ (რომელიც აერთიანებს ეროვნულ უმცირესობათა ბურჟუაზიულ და კულაკურ ჯგუფებს) წარმომადგენლები მიღებულ გადაწყვეტილებას უწოდებენ „სამარცხვინო ფარისევლურ კომედიას“ და აღნიშნავენ, რომ ერთა ლიგამ უფრო განამტკიცა ეროვნულ უმცირესობათა არსებული უუფლებობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. (ადს).

მცირე ანტანტა უნგრეთის წინააღმდეგ

პროტესტი ხორტისა და ბეტლენის გამოსვლის წინააღმდეგ

ვენა, 12 ივნისი. მცირე ანტანტის სახელმწიფოების მთავრობათა დავალებით, **ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის და სამხრეთ-სლავის ბუდაპეშტელმა წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს ხორტისა და ბეტლენის** იმ სიტყვების წინააღმდეგ, რომლებიც მათ წარმოსთქვეს „გმირთა ძეგლის“ გახსნის დროს. ეს სიტყვები მცირე ანტანტის პოლიტიკურ წრეებში უნგრეთის ირედენტისტულ მისწრაფებათა წაქეზებად მიაჩნიათ.

ზევერინგი იწონებს ცერგიბელის მოქმედებას

ბერლინი, 12 ივნისი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში სიტყვა წარმოსთქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა ზევერინგმა, რომელმაც განაცხადა, რომ რეიხსტაგში შეტანილ იქნა კანონპროექტი საარჩევნო რეფორმის შესახებ.

კომფრაქციის შეკითხვაზე მაისის ამბების შესახებ, ზევერინგმა განაცხადა, რომ იგი იწონებს ცერგიბელის მოქმედებას.

ბრიანის შეხვედრა შტრეზემანთან

მადრიდი, 12 ივნისი. მოხდა ბრიანის არაოფიციალური შეხვედრა შტრეზემანთან. ჟურნალისტების შეკითხვაზე, საუბრის შინაარსის შესახებ ბრიანმა უპასუხა, რომ ისინი შეეხნენ ისეთ საკითხებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან სარეპარაციო მოლაპარაკების დამთავრებასთან. საკითხი საარის ოლქის შესახებ, ბრიანის სიტყვით, არ დასმულა. რეინის ოლქის ოკუპაციის შესახებ შეუძლებელია რაიმე მოლაპარაკება ბელგიისა და ინგლისის წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე. (ადს).

რეფორმისტები დამქირავებლებს ეხმარებიან

ოსლო, 12 ივნისი. თუთიის ქარხნის მუშების გაფიცვა ოდაში გრძელდება, თუმცა ქიმიური მრეწველობის მუშათა რეფორმისტული პროფკავშირის ც. კ.-მა უარი სთქვა—გაუწიოს მატერიალური დახმარება გაფიცულებს.

პროფკავშირების ბერგენის სარაიონო ორგანიზაციამ მოუწოდა ნორვეგიის მუშებს—შეაგროვონ ფული გაფიცვის ფონდის გასაძლიერებლად. მოწოდება მკაცრად აკრიტიკებს ქიმიკოსებს პროფკავშირის ც. კ.-ის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მუშების წინააღმდეგ და რომელიც მხარს უჭერს დამქირავებლებს. ნორვეგიის პროფკავშირების საბჭოს რევოლიუციონურმა უმცირესობამაც მოუწოდა ნორვეგიის მუშებს, რომ მატერიალური დახმარება გაუწიონ ოდაში გაფიცულებს.

გაფიცული მუშები მოითხოვენ სამუშაო დღის შემცირებას, რადგან წარმოების პირობები მეტის-მეტად მავნებელია. (ადს)

საბერძნეთ-საბჭ. კავშირის შეთანხმება

ათინა, 12 ივნისი. ხელი მოაწერეს საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმებას. (ადს).

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

კამათი ტელმანის მოხსენების გარშემო

ბერლინი, 12 ივნისი, გერმანიის კომპარტიის ყრილობაზე გრძელდება კამათი ტელმანის მოხსენების გარშემო.

კამათში გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ადგილებზე მუშაობის გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა პარტიის ხაზის და ახალი ტაქტიკის სისწორე, განსაკუთრებით პირველ მაისის დღეებში, აგრეთვე მემარჯვენეებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის სისწორე.

რურის ოლქის დელეგატმა განაცხადა, რომ „მემარცხენეები“ და სოციალ-დემოკრატები კომუნიზმის უსაშინლესი მტრები არიან მუშათა კლასში, რასაც რურის ოლქის მაგალითი ამტკიცებსო.

სილეზიის საფეიქრო რაიონის დელეგატმა ქალმა განაცხადა, რომ მემარჯვენეები და შემარიგებლები ეწევიან აგიტაციას, რომელიც მიმართულია პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

ერცგებირგეს ოლქის დელეგატმა ფოგტლანდმა აღნიშნა, რომ პარტიამ ძალიან დაგვიანებით მიიღო ენერგიული ზომები შემარიგებლების წინააღმდეგ. საოლქო ორგანიზაციამ თავისუფლად ამოისუნთქა, როცა პარტიამ დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა შემარიგებლობასთანო.

კამათში გამოვიდა შემარიგებელთა ჯგუფის ბელადი ევერტი.

ევერტმა, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც ფინანსიური კაპიტალის დიქტატურის ეხლანდელი ფორმის, მხილებას და ამ რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლას ხელს უშლის პარტიის ეხლანდელი ხაზი და ისეთი ფორმულა, როგორიც არის მაგალითად: „არა დემოკრატები, არამედ ფაშიზმია გერმანიის მთავარი მტერი“. ყოველგვარი ბურჟუაზიული დემოკრატია მიმართავს ტერორისტულ მეთოდებს. მიუხედავად ამისა, მარტო ეს გარემოება ვერ გადააქცევს დემოკრატიას ფაშიზმათ. არ შეიძლება ტენდენციების გასაღება ფაქტებად. შემარიგებლები ისევე, როგორც წინად, უარჰყოფენ ბრანდლერის ჯგუფის თეორიას და პრაქტიკას.

შემარიგებლები ფიქრობენ, რომ ცენტრალური კომიტეტის შინაპარტიული კურსი წარმოადგენს შემცდარი მასიური პოლიტიკის გამოხატულებას, ამიტომ ისინი წინააღმდეგნი არიან ამ კურსისა. თუ პარტია გამოვა შემარიგებლების წინააღმდეგ, ეს უკანასკნელნი, როგორც პარტიის დისციპლინიანი წევრები, გაატარებენ ცხოვრებაში პარტიის და კომინტერნის გადაწყვეტილებებს და დაიცავენ თავიანთ საკუთარ შეხედულებას პარტიის პროგრამისა და წესდების ფარგლებში.

ევერტმა პრეზიდიუმს გადასცა ცეკას უმცირესობის განცხადება.

ევერტის სიტყვის შემდეგ გამოვიდა ვინტერიხი, რომელმაც აღნიშნა, რომ ევერტის დებულებათა ანალიზი და, პირველ ყოვლისა, მისი განცხადება ფაშიზმის შესახებ ამტკიცებს შემარიგებლების ორპირობას. შემარიგებლები ცდილობენ „შეალამაზონ“ ბრანდლერის შეხედულებანი, რათა მიაღებინონ ისინი პარტიას.

„ევერტის სიტყვით,—განაცხადა ვინტერიხმა,—გამოდის, რომ შემარიგებლები არ წარმოადგენენ ფრაქციას. ნამდვილად კი მე ხელთა მაქვს ლეიპციგში შემარიგებელთა ფრაქციის მოწყობის გეგმა. პარტიის ყრილობამ ბოლო უნდა მოუღოს მათ“.

ნიმფენბურგმა აღნიშნა: ევერტი არწმუნებს პარტიას, რომ ის ცხოვრებაში გაატარებს გერმანიის კომპარტიის და კომინტერნის გადაწყვეტილებებს. ამავე დროს, მან გაილაშქრა ამ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. ფაშიზმისა და დემოკრატიზმის საკითხში, ევერტმა ულალატა თავის ძველ შემცდარ ფორმულას, შესცვალა ის ახალი ფორმულით, რომელიც კვლავ შემცდარია. ფაშიზმში მნიშვნელობა აქვს არა ფორმას, არამედ შინაარსს და ასეთ შინაარსს წარმოადგენს ფინანსიური კაპიტალის ტერორისტული დიქტატურა. ბრანდლერი თავხედურად აცხადებს, რომ პარტიამ დაჰკარგა ძველი გვარდიაო. ჩვენ ამაზე შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ კრიზისების უმრავლესობა პარტიის ხელმძღვანელობაში გამოიწვია იმან, რომ ამხანაგებმა, რომელნიც ერთ დროს „სპარტაკ“-ის რიგებში იყვნენ, ვერ შესძლეს ბოლშევიკებად გახდომა. არაფერს არ ნიშნავს ის, რომ ოდესღაც ისინი მე-2 ინტერნაციონალის საუკეთესო ხალხი იყო, უნდა შეეცადონ, რომ ისინი გახდნენ საუკეთესო ხალხად მესამე ინტერნაციონალში.

რემელემ აღნიშნა, რომ შემარიგებლების მიერ შემოტანილი მემორანდუმი წარმოადგენს არა პარტიასთან დაახლოვების ნაბიჯს, არამედ, პირიქით, კომუნიზმისაგან დაშორებას. შემარიგებლების თვალსაზრისი ფაშიზმისა და დემოკრატიის საკითხში ნიშნავს სოციალ-ფაშიზმის მიჩქმალვას, მისი არსებობის უარყოფას.

ბურჟუაზიის ბატონობის მეთოდები იტალიაში და ბალკანეთზე იქცევა ბატონობის ფორმად მთელ ევროპაში. გერმანიაში ამ ფორმებს განახორციელებს სოციალ-დემოკრატია. სწორედ ამას უწოდებთ ჩვენ სოციალ-ფაშიზმს. დაე რეფორმისტებმა აილონ ისეთი გეზი, როგორიც მათ სურთ. პარტია ვერ გაუწევს ანგარიშს მათ უბადრუკ პერსპექტივებს და ყრილობა საკადრის პასუხს გასცემს შემარიგებლებს.

ბერლინი, 12 ივნისი. 12 ივნისს დილით გერმანიის კომპარტიის ყრილობაზე გაგრძელდა კამათი ტელმანის მოხსენების გარშემო.

ერცგებირგე-ფოგტლანდის, ქვემო რეინის პროვინციის, ჰანოვერის და ჰფალცის დელეგატებმა, აგრეთვე კომუნისტური ახალგაზრდობის დელეგატებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს, რომ საჭიროა ენერგიული ზომების მიღება შემარიგებლობის ლიკვიდაციისათვის და მტკიცე, ერთსულოვანი, ურყევი ცენტრალური კომიტეტის ასარჩევად.

დანარჩენმა ორატორებმა მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ გამთიშველ პოლიტიკას აწარმოებენ სოციალ-დემოკრატები არაპარტიულ მუშათა ორგანიზაციებში, განსაკუთრებით სასპორტო ორგანიზაციებში და ურწმუნოთა კავშირში.

გერმანიის კომკავშირის მუშაობა

ტელმანის მოხსენების შემდეგ გებიხმა გააკეთა მოხსენება გერმანიის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის მუშაობის შესახებ. გებიხმა გააკრიტიკა კომკავშირის შინაპარტიული მდგომარეობა, განსაკუთრებით მისი წინანდელი ხელმძღვანელობა, რომელიც ცალკე შემთხვევებში დიდ მერყეობას იჩენდა.

პარტიის მუშაობა ქალთა შორის

შემდეგ ყრილობამ მოისმინა დელეგატ-ქალის ოვერლახის მოხსენება პარტიის მუშაობის შესახებ ქალთა შორის. მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ პარტიის წინაშე მდგარ ამოცანების გადაჭრაში. ქალების აქტიური მონაწილეობა პირველი მაისის ბრძოლებში მოწმობს, რომ ისინი მამაკაცებთან ერთად ეწევიან რევოლიუციონურ ბრძოლას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომპარტიამ დიდი მუშაობა შეასრულა ქალთა საკითხში, მაგრამ ქალთა საკითხს ამიერიდან უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ქალთა მასები წარმოადგენენ ბურჟუაზიის კლასობრივი მტრების ახალ კადრებს, ისინი უკანასკნელ ლახვარს ჩასცემენ ბურჟუაზიულ სტაბილიზაციის შერყეულ შენობას. (ადს).

„იუნგის გეგმა განადგურებას უქადის გერმანიას“

ბერლინი, 12 ივნისი. ნაციონალისტების პრესა ეხება რეპარაციების შესახებ წარმოებული მოლაპარაკების შედეგებს და აცხადებს, რომ იუნგის გეგმა წარმოადგენს ახალ საბედისწერო ცდას, რომელიც ადრე თუ გვიან გერმანიას განადგურებამდე მიიყვანსო. (ადს).

მღელვარება ავსტრალიის მემაღაროეთა შორის

პოლიცია ძალებს აგროვებს

ლონდონი, 12 ივნისი. სიდნეიდან იუწყებიან: ახალ სამხრეთ-უელსის მემაღაროეების ლოკაუტის გამო მოსალოდნელად მიაჩნიათ მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება. (ლოკაუტის მიზეზი ის არის, რომ მემაღაროები არ დასთანხმდნენ ხელფასის შემცირებას).

ახალ სამხრეთ-უელსის მაღაროებში სამუშაოდან მოხსნეს ის მუშები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მაღაროების უშიშროებას. ნახშირის რაიონებში თავმოყრილია პოლიციის დიდი ძალები. (ადს)

იაპონიის კაპიტალი პოზიციებს ამაგრებს მანჯურიაში

„სამხრეთ-მანჯურიის კომპანია“

ტოკიო, 12 ივნისი. მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ანშანის რკინის საწარმოთა გამოყოფა დამოუკიდებელ სააქციო საზოგადოებად, რომლის ნომინალური კაპიტალიც 32 მილ. იენს უდრის. ეს საწარმონი აქამდე ეკუთვნოდნენ სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზას.

სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის უშუალო განკარგულებაში დარჩა მხოლოდ ქვანახშირის მადნები. დანარჩენი სამრეწველო საწარმონი, მიწები, სასტუმროები და სხვ., რომლებიც დღემდე სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის უშუალო გამგებლობაში იმყოფებოდა, გადაეცა ახლად ჩამოყალიბებულ სააქციო საზოგადოებას „სამხრეთ-მანჯურიის კომპანიის“.

სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე, იამალიტო ტოკიოში მოვიდა. (ადს)

რევოლიუციონური პროფკავშირების დევნა

ნიუ-იორკი, 12 ივნისი. გასტონიაში (ჩრდილოეთ კაროლინის შტატში) გრძელდება ფეიქართა გაფიცვა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სისხლის სამართლის ძიება აღძრა ფეიქართა რევოლიუციონური პროფკავშირის და მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტის ამერიკული სექციის თანამდებობის პირთა წინააღმდეგ. მათ ჰბრალდებათ მონაწილეობა პოლიციის უფროსის მოკვლაში, და სამი პოლიციელის დაჭრაში. (პოლიციის უფროსი მოჰკლეს და სამი პოლიციელი დასჭრეს იმ სროლის დროს, რომელიც გაიმართა მუშებსა და პოლიციას შორის, როცა ეს უკანასკნელი თავს დაესხა მუშათა უბანს).

საპირველმაისო მიტინგში მონაწილეობისათვის

ლონდონი, 12 ივნისი. პროფკავშირების შეფილდის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ბეკერი რეფორმისტებმა თანამდებობიდან მოხსნეს იმის გამო, რომ მან მონაწილეობა მიიღო ინგლისის კომპარტიის მიერ მოწყობილ პირველი მაისის მიტინგში. (ადს)

შეტაკება მაროკოში

პარიზი, 12 ივნისი. როგორც ჰავასი იუწყება, მაროკოში, ელ-ბორჯესთან, მაროკოელი მსროლელნი მოხვდნენ ისეთ ადგილას, სადაც ჩასაფრებულნი იყვნენ აჯანყებულნი. შეტაკების დროს მოკლულ იქნა 13 კაცი. დაიჭრა 10, მათ შორის 2 ოფიცერი. არ იციან, რა ბედი ეწია 15 ფრანგსა და 66 მკვიდრ მცხოვრებს. (ადს).

ძეგლის აფეთქება

რიგა, 12 ივნისი. 9 ივნისს ღამით უცნობმა პირებმა ააფეთქეს 1919 წელს დაღუპული გერმანელი ჯარისკაცების ძეგლი. მემარჯვენე გაზეთები აფეთქებას აბრალებენ იმ ჯგუფს, რომელიც პროფკავშირთა რევოლიუციონურ ფრთას ემხრობა. მაგრამ დადის ხმები, რომ აფეთქება მოაწყვეს ფაშისტებმა, რომლებიც უკმაყოფილონი არიან იმით, რომ გერმანელები მხოლოდ თავიანთ თავს მიაწერენ „დამსახურებას“ რიგის დაჭერისათვის 1919 წლის მაისში.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის კომპარტიის ყრილობაზე

ბერლინი, 13 ივნისი. გერმანიის კომპარტიის ყრილობაზე გალახერმა (ინგლისი) ყრილობაზე მყოფ ინგლისის, ჩეხო-სლოვაკიის, იტალიის, პოლონეთის, ბელგიის, შვეციის, ნორვეგიის, ავსტრიის და შვეიცარიის კომპარტიების და ბალკანეთის ფედერაციის წარმომადგენელთა სახელით გამოაქვეყნა საერთო განცხადება, რომელშიც ძმურ პარტიების წარმომადგენლები სავსებით იზიარებენ კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენლის განცხადებას, განსაკუთრებით შემარიგებლობის საკითხში. შემდეგ განცხადებაში ნათქვამია, რომ გერმანიის კომპარტიის ყრილობის მიერ აღებული კურსი სავსებით ეთანხმება კომინტერნის მეექვსე კონგრესის ხაზს.

13 ივნისს დილით დასრულდა კამათი ტელმანის მოხსენების გამო. შემდეგ მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება. დამტკიცებულია 217 მანდატი. აქედან მხოლოდ 28 მანდატი მოდის პარტიული აპარატის მუშაკებზე, 182 მანდატი მოდის დაზგის მუშებზე. 217 დელეგატიდან—218 პროფკავშირის წევრია. მათგან—91-ს თანამდებობები უჭირავს პროფკავშირებში. ყრილობას ესწრება 26 დელეგატი ქალი.

ოთხშაბათს ყრილობამ მოისმინა ბერლინის მსხვილი წარმოებებისა და მუშათა ორგანიზაციების მრავალრიცხოვან წარმომადგენლების მისალმებები. ყრილობა მხურვალე ტაშისცემით შეხვდა სოციალისტური ახალგაზრდობის ჯგუფის წარმომადგენელს, რომელმაც განაცხადა, რომ ჯგუფმა გადასწყვიტა შევიდეს კომპარტიის რიგებში (ადს).

ანტი-პოლონური გამოსვლები

ვარშავა, 12 ივნისი. კრაკოვში მოწვეულ იქნა მიტინგი, რომელიც გამართა პოლონელ-უკრაინელთა შემთანხმებელმა საზოგადოებამ.

კრაკოვის უნივერსიტეტის უკრაინელმა სტუდენტებმა მიტინგი ჩაშალეს. მათ ჩაიგდეს ტრიბუნა და მკაცრი სიტყვები წარმოსთქვეს პოლონეთის წინააღმდეგ. ერთმა ორატორმა განაცხადა:

„ჩვენ ხელს არ ავიღებთ უკრაინის დამოუკიდებლობაზე იმ შემთხვევაშიაც, თუ საჭირო იქნება სისხლის დაღვრა“. (ადს).

აჯანყება მაროკოში

პარიზი, 13 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„სამხედრო სამინისტროს ცნობებით ელ-ბორჯაში (მაროკოშია) აჯანყებულებთან შეტაკების დროს საფრანგეთის ჯარიდან მოჰკლეს 81 და დასჭრეს 38 კაცი. სამარი მოქმედების რაიონში სასწრაფოთ გაიგზავნა ახალი ძალები.

სამი საჰაერო ესკადრილია ყუმბარებს უშენდა აჯანყებულებს“. (ადს).

„ლიუმანიტე“ მაროკოს ამბების შესახებ

პარიზი, 13 ივნისი. საფრანგეთის ჯარებსა და მაროკოელ აჯანყებულებს შორის მომხდარი შეტაკების გამო „ლიუმანიტე“ სწერს: „ეს შეტაკება წარმოადგენს იმ შეტევითი გეგმის ერთ რგოლთაგანს, რომელსაც მეამბოხეთა წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით უკანასკნელ ხანებში ახორციელებს საფრანგეთის ჯარების სარდლობა. მეამბოხეები წინააღმდეგობას უწევენ საფრანგეთის ჯარების წინსვლას. პასუხისმგებლობა სისხლის ღვრისათვის სავსებით ეკისრება საფრანგეთის სარდლობას. ადამიანთა არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან საფრანგეთის კაპიტალისტები, რომლებიც ცდილობენ სავსებით დაიმონონ სამხრეთ მაროკო“.

კომუნისტმა დეპუტატებმა კაშენმა და პეიკემალმა დეპუტატთა პალატაში შეიტანეს შეკითხვა სამხედრო მოქმედების შესახებ მაროკოში. (ადს).

ათეისტთა საზოგადოების აკრძალვა

ვარშავა, 12 ივნისი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ აკრძალა პოლონეთის ათეისტთა საზოგადოება. (ადს).

—:—

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის უკანასკნელ ცნობებში მოთავსებულია ცნობა ახალი დანიშვნების შესახებ. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტომ შეცდომით გადმოგვცა, რომ საბჭ. კავშირის უზენაეს სასამართლოს პროკურორად დანიშნულია ტრაფიკოვი, უნდა იყოს — კრასიკოვი.

პროფინტერნის აღმასბიურომ მოიწონა საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებანი

მოსკოვი, 13 ივნისი. პროფინტერნის აღმასბიუროს სხდომაზე საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დავალებით და აღმასბიუროს წევრთა თხოვნით ამხ. ლოზოვსკიმ გააკეთა მოხსენება საკავშირო პროფსაბჭოს მეორე პლენუმის შედეგების შესახებ.

ამხ. ლოზოვსკიმ მოკლედ გააცნო სხდომას მთავარი საკითხები, რომლებიც განხილულ იქნა პლენუმზე. ამხ. ლოზოვსკიმ გაშუქა ის მდგომარეობა, რომელიც საბჭოთა პროფმოძრაობაში შეიქმნა იმის გამო, რომ ხელმძღვანელი პროფმუშაკების ჯგუფი აღმოჩნდა მემარჯვენე უკლონისტების შორის და ცდილობდა საბჭოთა პროფკავშირებისაგან შეექმნა დასაყრდენი თავისი მუშაობისათვის პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ.

ამ მემარჯვენე განწყობილებას მკაცრი წინააღმდეგობა გაუწიეს როგორც კავშირის მორიგმა წევრებმა, ისე მთელმა პროფაქტივმა.

ამხ. ლოზოვსკიმ ხაზი გაუსვა, რომ ამ ამხანაგების მემარჯვენე გადახრა თავს იჩენს არა მარტო შინაპარტიულ, არამედ პროფკავშირთა საკითხებშიაც, კერძოთ საერთაშორისო პროფმოძრაობის საკითხებში, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა პროფინტ. მე-4 კონგრესზე, რომელზედაც ზოგიერთი ხელმძღვანელი პროფმუშაკი იდეურად და ორგანიზაციულად სოლიდარობას უცხადებდა ამჟამად კომინტერნისა და პროფინტერნის გარეშე მყოფ გერმანულ მემარჯვენეებს და ამით ჰქმნიდა არანორმალურ ურთიერთ დამოკიდებულებას პროფინტერნსა და საკავშირო პროფსაბჭოს შორის.

მოხსენების გამო გამოსული ამხანაგები — ვიტკოვსკი, ჟერმანეტო, ტუზეფოვიჩი და გეი გმობდნენ მემარჯვენე უკლონისტების პოლიტიკას და ხაზს უსვამდნენ საკავშირო პროფსაბჭოს უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებების უდიდეს მნიშვნელობას საბჭოთა და მთელი საერთაშორისო პროფმოძრაობისათვის.

აღმასბიურომ გამოიტანა დადგენილება, რომელიც იწონებს საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის ყველა გადაწყვეტილებას და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრების ამხ. ტომსკის, უგაროვის, უდაროვის, მიხაილოვის, გინზბურგის, კოროსტელოვის, იაგლომის და პენფილიევის განთავისუფლებას მოვალეობათაგან, აგრეთვე ამხ. შვერნიკის, ალექსეევის, სტარიევსკის და სემაგინის შეყვანას საკავშ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში, რეზოლიუციის შესადგენად არჩეულია კომისია.

აღმასბიურომ დაადგინა—გაანთავისუფლოს ამხ. იაგლომი პროფინტერნის სამდივნოს წევრის მოვალეობისაგან. (ადს).

სასიკვდილო განაჩენი მონარქისტს

მოსკოვი, 13 ივნისი. 12 ივნისს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ განიხილა საზღვარგარეთული მონარქისტული ორგანიზაციის წევრის, ყოფილი ტვერის გუბერნიის აზნაურის კანსკის საქმე.

უზენაესმა სასამართლომ გამოარკვია, რომ 1927 წლის სექტემბერში კანსკი მონარქისტული ორგანიზაციის დავალებით გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში მონარქისტული მუშაობის საწარმოებლად.

1927 წლის ოქტომბერში კანსკი ყალბი პასპორტით გადმოვიდა ესტონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრით. მეორე დღეს იგი დაპატიმრებულ იქნა სანაპირო დამცველი რაზმის მიერ.

სასამართლოს სხდომაზე კანსკიმ განაცხადა, „თუ საშუალება მომეცემა, მომავალშიც განვაგრძობ მონარქისტულ მუშაობასაო“.

უზენაესმა სასამართლომ კანსკის მიუსაჯა დახვრეტა ამნისტიის შეუფარდებლად.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ინგლის-ამერიკის დაახლოება საფრანგეთის საზარალოდ

მოსკოვი, 13 ივნისი. „იზვესტია“-ს ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება:

მაკდონალდის გადაწყვეტილება ამერიკაში გამგზავრების შესახებ, როგორც უკვე ეხლა გამოირკვა, გამოწვეულია თვით ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით. ლონდონის გაზეთი „ტარ“-ი ეხება პრემიერის ამერიკაში გამგზავრების საკითხს და გადმოგვცემს შემდეგ ფაქტს:

ამას წინად გუვერის სპეციალური დავალებით ლონდონში ჩამოვიდა ამერიკის ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელი, რომელმაც არაოფიციალურად განაცხადა იმის შესახებ, რომ სასურველია ინგლისის მთავრობის პრემიერის პირადათ გამომგზავრება ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებშიო. ამერიკის პრესის ეს წარმომადგენელი სწერს, ჩემი ინგლისში ჩამოსვლის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და მე უკვე შესაძლებლობა მქონდა შემეტყობინებია ამერიკისათვის, რომ ვისგანაც არ უნდა შესდგეს ინგლისის ახალი მთავრობა, ის დაუყოვნებლივ შეეცდება ფართო თანამშრომლობის აღდგენას ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ამერიკის მთავრობა, როგორც სჩანს, დაინტერესებულია სასწრაფოდ დაიწყოს მოლაპარაკება ინგლისთან იმის გამო, რომ რამდენიმე თვის შემდეგ უკვე საბოლოოდ უნდა იქნას გამომუშავებული საზღვაო მშენებლობის ხარჯთ აღრიცხვა.

მაკდონალდი მისწრაფვის იქეთკენ, რომ არ იქნეს ადგილი უთანხმოებას ინგლისსა და ამერიკის შტატებს შორის. მაკდონალდის ეს სურვილი სჩანს იმ ფაქტიდანაც, რომ მან ნაწილობრივ უარჰყო შინაარსი თავისი საუბრისა, რომელიც ჰქონდა საფრანგეთის გაზეთ „პტი პარიზიენ“-ის კორესპონდენტთან. „პტი-პარიზიენ“-ის კორესპონდენტი იტყობინებოდა, თითქოს მაკდონალდს განზრახვა აქვს აღძრას ინგლის-ამერიკის შეთანხმების გადასინჯვის საკითხი მოკავშირეთა ვალების შესახებო.

მიმართვა ამხ. რიკოვს, ორჯონიკიძეს და კუიბიშევს

მოსკოვი, 13 ივნისი. სამეცნიერო ტექნიკურ საბჭოს საქონლისა და ტრანსპორტის მუშაკთა სესიამ სპეციალური მიმართვა გაუგზავნა **ამხ. რიკოვს, ორჯონიკიძეს და კუიბიშევს**. მიმართვაში ნათქვამია:

ინდუსტრიალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნავთის მრეწველობის განვითარება. მდგომარეობა ამ მხრივ სავსებით დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. საჭიროა გადიდებულ იქნას კრედიტები ნავთის ახალი წყაროების გამოკვლევის საწარმოებლად, უნდა მოეწყოს სპეციალური ორგანიზაცია, რომელსაც დაევალება ნავთის ახალი წყაროების აღმოჩენა, საჭიროა მასიურად იგზავნებოდეს ამერიკაში ჩვენი ახალგაზრდობა, უნდა მოწვეულ იქნან უცხოელი სპეციალისტები და სხვ.

თუ არ იქნა მიღებული გადამჭრელი ხასიათის ღონისძიებები, საეჭვოა, რომ ჩვენ შევძლოთ ნავთის ექსპორტის გეგმის განხორციელება და მთელ რიგ შინაურ სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა.

ამხ. ნ. ბუხარინის სიტყვა უღმერთოთა ყრილობაზე

მოსკოვი, 13 ივნისი. უღმერთოთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა **ამხ. ნ. ბუხარინმა**.

მან სხვათა შორის განაცხადა შემდეგი:

იმ უაღრესად დიდ და გაბედულ ამოცანათა გადასაჭრელად, რომელთა წინაშე ჩვენ ამჟამად ვდგევართ, საჭიროა ახალი ადამიანები, ახალი მუშები, ახალი კადრები, შრომის ახალი ხერხები და კულტურა და შეგნებული მუშაობა.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასიურად გარდაიქმნება ადამიანი, ჩვენ შევძლებთ მსოფლიო-ისტორიული ამოცანების რაც შეიძლება მოკლე დროის განმავლობაში გადაჭრას. ადამიანთა ამ მასიურად გარდაქმნას ხელს უშლის ჩვენი კლასიური მტრები, წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის კონსერვატიზმი. მთელ რიგ გარემოებათა გამო, ანტიპროლეტარული ელემენტები ჩვენში ცდილობენ სარწმუნოების სამოსს მოხვევას. კლასიური მოწინააღმდეგე ეფარება ეკლესიას. სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა სრულიადაც არ არის ჩამოშორებული ჩვენი დროის სხვა პრობლემებისაგან. ეს ბრძოლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია კულტურული რევოლიუციისა, რომელიც თავის მხრივ კაცობრიობის ისტორიაში არგაგონილ უდიდეს სოციალურ-ეკონომიურ გადატრიალების განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს დელეგაცია უღმერთოთა ყრილობაზე

მოსკოვი, 13 ივნისი. გუშინ უღმერთოთა საკავშირო ყრილობაზე საქართველოს დელეგაცია გამოვიდა საყურადღებო ინფორმაციული ხასიათის სიტყვით. დელეგაციამ აღნიშნა, რომ ეკლესია საქართველოში გადაიქცა მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვა კონტრ-რევოლიუციონური პარტიების ნამსხვრევების თავშესაფარად. განსაკუთრებით ისახელა თავი ამ მხრივ საქართველოს მენშევიკებმა, რომელნიც ყველგან და ყოველთვის ცდილობენ იდეოლოგიური ხელმძღვანელობა გაუწიონ ეკლესიასო.

მოსავალს კარგი პირი უჩანს

მოსკოვი, 13 ივნისი. საკავშირო კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. **მიქოიანი**, რომელმაც გააცნო პლენუმს მოსკოვის გუბერნიის სასურსათო მდგომარეობა. მომხსენებელი შეეხო მთელ რიგ ძირითად სამეურნეო საკითხებს. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, განაცხადა ამხ. მიქოიანმა, რომ **ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა მარცვლეულ კულტურის განვითარების დარგში შესრულებული იქნება**. ამის თავდებია ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში სწრაფი ტემპით იზრდება საბჭოთა მეურნეობა.

რაც შეეხება ახალ მოსავალს, უნდა გადაჭრით ითქვას, რომ იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც ჩვენ მოგვეპოვება საბჭოთა კავშირის ყველა მთავარ პუნქტებიდან, **წელს პურეულით სავსებით უზრუნველყოფილი ვიქნებით.**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაშისტური პოლონეთის წინააღმდეგ

აღშფოთების ტალღა მთელს საქართველოში

„კომუნისტი“-ს რედაქცია იღებს მრავალრიცხოვან საპროტესტო დეპეშებს

საქართველოს მუშები და გლეხები მოითხოვენ გათავხედებულ პანების ალაგმვას

თბილისის მშრომელთა პროტესტი

ჩვენი პასუხი მუშათა კლასის მტრებს

(თამბაქოს პირველი ქარხანა)

გუშინ, დღის 2 საათზე, „როზა ლუქსემბურგ“-ის სახელ. თამბაქოს ქარხანაში შესდგა ქარხნის მუშა - ქალების, მუშების და თამბაქოს ტრესტის თანამშრომელთა მფრინავი მიტინგი, რომელზედაც, პოლონეთში მომხდარი ამბების შესახებ, ინფორმაციული მოხსენება გააკეთა ამხ. შახოვმა. მუშები მოხსენებას დიდის ყურადღებით ისმენდნენ და გამოხატავდნენ თავიანთ ზიზღს პოლონეთის მთავრობის მიმართ. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: მოვისმინეთ რა ინფორმაც. ცნობა პოლონეთის ფაშისტურ მთავრობის წარმომადგენლების უხეში და ბოროტი მოქმედების შესახებ, ჩვენ, პირველი თამბაქოს ქარხნის მუშა - ქალები, მუშები და ტრესტის თანამშრომელნი კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ პოლონეთის მთავრობის ასეთი გამოსვლა არის მორიგი პროვოკაცია, რომელიც მიმართულია საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. მუშათა კლასის მტრებს ვუპასუხებთ ჩვენი რიგების გამაგრებით და თუ საჭირო იქნება მედგრათ დავიცავთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს.

ჩვენ მუშები, კატეგორიულად მოვითხოვთ პოლონეთის წარმომადგენლების გაძევებას ჩვენი პროლეტარული ქვეყნის საზღვრებიდან.

აღშფოთებას გამოსთქვამენ

12 ივნისს შესდგა ტრამვაის მუშათა მფრინავი მიტინგი. მიტინგზე დამსწრე მუშებს ამხ. გამრეკელმა გააცნო პოლონეთის ფაშისტური მთავრობის ალვირ - ახსნილი მოქმედება. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ტრამვაის მუშა ამხ. ჭელიძემ, რომელიც აღნიშნავდა, რომ პოლონეთის ფაშისტები ქართველ მენშევიკებთან ერთად ამზადებენ ახალ სისხლის მღვრელ ომს მსოფლიოში ერთად ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები მათ ღირსეულ პასუხს გასცემენ.

მიღებულ რეზოლიუციაში ტრამვაელები პროლეტარულ სიტყვას იძლევიან, რომ ისინი ყოველ წუთს მზად იქნებიან იარაღით ხელში დაიცვან ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი.

ზიზღი პოლონეთის ბურჟუაზიას და მათ ლაქიებს—ქართველ მენშევიკებს

ს. ს. პ. ინსტიტუტში მოსწავლე ყოფ. ახალმარქსისტები აღშფოთებას გამოვსთქვამთ პოლონეთის ფაშისტური მთავრობის პროვოკაციულ ნაბიჯებსა და ქართველი ხალხის მიერ საქართველოდან განდევნილ მენშევიკების კონტრ - რევოლიუციონური ზრახვების გამო. ჩვენ ვაცხადებთ, რომ მენშევიკებს არა აქვთ არავითარი იურიდიული და მორალური უფლება ილაპარაკონ ქართველ ხალხის სახელით, ვინაიდან ჭეშმარიტი საქართველო და ისინი დიდი ხანია რაც ორ მოპირდაპირე ბანაკს წარმოადგენენ.

დაე! იცოდნენ, რომ ჩვენ ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტები ვიბრძოლებთ მუშურ გლეხური სახელმწიფოს წითელ საზღვრების დასაცავად.

ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან პოლონეთის დიპლომატების გაძევებას ჩვენი საზღვრებიდან.

მოვითხოვთ გადამჭრელი ზომების მიღებას

(ქართული მუშფაკი)

12 ივნისს, დღის 2 საათზე შესდგა ამხ. მიხ. ცხაკაიას სახელობის ქართული მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა, ლექტორთა და მოსამსახურეთა გაერთიანებული მიტინგი, რომელსაც 800-დე კაცი დაესწრო. მიტინგმა ყურადღებით მოისმინა ამხ. ანდღულაძის მოხსენება პოლონეთის მთავრობის მოქმედების შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მიტინგი აღშფოთებით შეხვდა პოლონეთის მთავრობის ნაბიჯს, რომელიც არსებითად საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევას ნიშნავს. ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია:

„მუშფაკის მსმენელები, ლექტორები და მოსამსახურეები უსასტიკეს პროტესტს ვაცხადებთ ბურჟუაზიის ფინიებს, ქართველი მშრომელთა სისხლით მოვაჭრე ლაქიების—მენშევიკების მორიგი პროვოკაციის წინააღმდეგ. პოლონეთი არა მარტო თავშესაფარია გაძევებულ ემიგრანტებისათვის, არამედ ის აქტიური დამხმარეა ყველა იმ ბნელი ძალების, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ერთად-ერთ სოციალისტურ სახელმწიფოს.

მენშევიკ-ნაძირალებს უფლებას არ ვაძლევთ ჩვენი სახელით ბურჟუაზიის გული მოიგოს.

მუშფაკის მსმენელები, ლექტორები და მოსამსახურეები ფიცს ვსდებთ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ ოქტომბრის მონაპოვარს“.

მიტინგის შემდეგ გაემართენ პოლონეთის საკონსულოსაკენ და შეუერთდენ ზღვა ხალხს, რომელიც აღელვებით მოითხოვდა პოლონეთის კონსულის გაძევებას საქართველოდან.

მეცნიერულ მუშაკთა პროტესტი

რადგანაც ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზისა გამო, ვერ დავესწარით საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა მუშაკების 11 ივნისის სხდომას, ამით ვაცხადებთ, რომ სრულიად ვუერთდებით ჩვენ კოლეგათა პროტესტს პოლონეთის მთავრობის მიმართ, მოთავსებულს 12 ივნისის „კომუნისტში“.

პროფ. ი. მოსეშვილი.
პროფ. ი. ქუთათელაძე
პროფ. ვ. მოსეშვილი
პროფ. სოსნოვსკი
პროფ. ა. შანიძე
დოც. ლ. მელიქსეთ-ბეგ
ალ. ვაჩეიშვილი
მარსელ გალციე
დოც. ნ. ციციშვილი
დოც. გრ. წულუკიძე
მ. ბექაია
პროფ. გ. ნიკოლაძე
პროფ. ა. დიდებულიძე
ლექტ. ილია ყიფშიძე
პროფ. ალ. ჯანელიძე
დოც. ს. დანელია
დოც. ალ. წერეთელი
ა. ინწკირველი
დოც. მ. მგალობელი
დოც. გიორგი ჯავახიშვილი
პროფ. სვ. ყიფშიძე
სვ. ამირაჯიბი
დოც. ს. ყაუხჩიშვილი

საპროტესტო ტალღები ადგილებზე

არ დაუშვებთ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევას

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ახალსენაკი, 13 ივნისი. ქალაქ სენაკის და რკინის გზების მუშა - მოსამსახურეთა, ქალაქის საბჭოს და ყველა ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრების გაერთიანებულმა კრებამ მოისმინა მოხსენება ქართულ მენშევიკურ ემიგრაციის მიერ საქართველოს მენშევიკური დამოუკიდებლობის ათი წლის აღსანიშნავად პოლონეთის ტერიტორიაზე — ვარშავაში საზეიმო კრების მოწვევის შესახებ, გამოიტანა საპროტესტო დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია:

„კრება ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს და სასტიკ პროტესტს აცხადებს პოლონეთის ხელისუფლების ჩვენი მტრებისადმი ხელის შეწყობისა და ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევის გამო, რომლის საქციელი აშკარათ მიმართულია საბჭოთა კავშირისა და პოლონეთ შორის დადებულ მოსკოვის ხელშეკრულების ჩასაშლელად. კრება ზიზღით იგონებს ქართველ მენშევიკების სამარცხვინო წარსულს და მოღალატე პოლიტიკას, რომელმაც საქართველოს მოძმე ერთა შორის გაალვია შოვინიზმი და უაზრო ბრძოლებით სისხლისაგან დასცალა ამიერ - კავკასიის მუშები და გლეხები, ეკონომიურათ გაანადგურა ქვეყნის მშრომელთა დოვლათი, გაალატაკა მოსახლეობა და პოლიტიკურ უფლება - აყრილი დაუმორჩილა ევროპის იმპერიალიზმის აგენტების გავლენას. საერთო კრება, მაზრის მშრომელებთან და მთელ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად ზიზღით იგონებს მენშევიკურ დამოუკიდებლობას, რომელიც სინამდვილეში ჩვენი ქვეყნის ევროპის კოლონიათ გადაქცევას უდრიდა და სასტიკ პროტესტს აცხადებს ქართველ მშრომელთა სისხლით მოვაჭრე მოღალატე მენშევიკების ამ მორიგ ანტისაბჭოთა გამოსვლის გამო.

ძირს მუშათა კლასის მოღალატე, იმპერიალისტების პირწავარდნილი აგენტები — მენშევიკები!

ძირს პოლონეთის სისხლიანი რეაქცია!

გაუმარჯოს სოციალისტურ საქართველოს და მის სოციალისტურ მშენებლობას!

ახალ-სენაკი, 12 ივნისი. ქალაქის ექიმებისა და მასწავლებლების გაერთიანებულმა კრებამ, მოისმინა რა ცნობა პოლონეთში მომხდარი ამბების შესახებ, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღშფოთებასა და პროტესტს გამოსთქვამს იმის გამო, რომ პოლონეთი მფარველობას უწევს საქართველოს მშრომელი ხალხის მტრებსა და მოღალატეებს — მენშევიკებს და ერევა პროლეტარული რესპუბლიკის შინაურ საქმეებში. რეზოლიუცია ხაზგასმით აღნიშნავს მენშევიკების შოვინისტურ და სისხლიან პოლიტიკას და პარტიასა და მთავრობას უცხადებს, რომ მათი პირველი მოწოდებისთანავე ახალსენაკის მასწავლებლები და ექიმები, ისევე, როგორც საქართველოს მთელი მშრომელი მოსახლეობა, ერთსულოვნად გამოვლენ მსოფლიოში პირველი მუშურ - გლეხური სახელმწიფოს დასაცავად კლასობრივი და სხვა მტრებისაგან.

რეზოლიუცია დაბეჯითებით სთხოვს მთავრობას — მოსთხოვოს პოლონეთს დაკმაყოფილება, წინააღმდეგ შემთხვევაში გააძევოს საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან პოლონეთის ყველა წარმომადგენელი. (ადს)

შორს პოლონეთის ბურჟუაზიის და მოღალატე მენშევიკების ჭუჭყიანი ხელები

ზუგდიდი, 12 ივნისი. ქალაქ ზუგდიდში გაიმართა შავი ზღვის რკინის გზის, შამგონის სახერხ ქარხნის მუშების და ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მუშა - მოსამსახურეების, მოსწავლე ახალგაზრდობის და პიონერების საპროტესტო მიტინგი.

მიტინგმა მოისმინა ამხანაგ ჟვანიას მოხსენება პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობის შესახებ მენშევიკების „საზეიმო“ სხდომაზე ვარშავაში და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ არ დაგვიწყებია ქართველი ხალხის სისხლის მსმელ მენშევიკების ღალატი, აღშფოთებული ვართ იმ მფარველობით, რომელსაც პოლონეთის ფაშისტური მთავრობა უწევს საქართველოს მშრომელთა ამ მტრებს. ჩვენ მზად ვართ ღირსეული პასუხი გავსცეთ ყველას, ვინც შეეცდება დაარღვიოს ჩვენი მშვიდობიანი შრომა. შორს პოლონეთის ფაშიზმის და მათი ლაქია მენშევიკების ჭუჭყიანი ხელი საბჭოთა საქართველოსაგან! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს კომუნისტურ მესამე ინტერნაციონალს!“.

ნებას არავის მივსცემთ ხელი შეუშალოს სოციალისტურ მშენებლობას

(ოზურგეთის გან. მუშაკთა ხმა)

ოზურგეთი, 13 ივნისი. ოზურგეთის განათლების მუშაკთა სამაზრო გამგეობის გაფართოებულმა პლენუმმა, ადგილკომების თავმჯდომარეებთან და ოზურგეთის პროფაქტივთან ერთად, მოისმინა რა მან ინფორმაცია ფაშისტური პოლონეთის თავხედობის შესახებ, აღშფოთებას გამოსთქვამს პოლონეთის პანების მიერ იარაღის სისტემატიური ჟღარუნის გამო და მოითხოვს საქართველოს მთავრობისაგან პოლონეთის კონსულის დაუყოვნებლივ გაძევებას თბილისიდან, მოითხოვს აგრეთვე აღძრას საკითხი საკავშირო მთავრობის წინაშე, რომ მან პოლონეთის მთავრობას მოსთხოვოს ემიგრანტ თეთრგვარდიელთა გაძევება პოლონეთის ტერიტორიიდან.

საბჭოთა მასწავლებლობა ენერგიულად ემსახურება პროლეტარიატის იდეების განხორციელების საქმეს და არავის მისცემს უფლებას ხელი შეუშალოს საბჭოთა საქართველოს მშრომელთა მიერ დაწყებულ გიგანტურ სოციალისტურ მშენებლობას.

ზიზღი პოლონეთის ფაშიზმს, გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

პლენუმის პრეზიდიუმი.

ხონის მშრომელთა საპროტესტო მიტინგი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

შესდგა ხონის ძაფსალები ქარხნის მუშების, ქალაქის მშრომელი მოსახლეობის და ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი და დემონსტრაცია პოლონეთის მთავრობის და ლაქია მენშევიკების პროვოკაციული გამოსვლის გამო.

მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება და სიტყვები, როგორც უპარტიო მშრომელების, ისე ყოფ. მენშევიკების ამ საკითხის შესახებ, ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნა შემდეგი: „კაპიტალისტური სახელმწიფოები ვერ ითმენენ ჩვენს დიად მიღწევებს, ისინი მე-2 ინტერნაციონალის და ლაქია ემიგრანტ მენშევიკების დახმარებით სხვადასხვა პროვოკაციულ მოქმედებით სცდილობენ ხელი შეგვიშალონ სოციალისტურ მშენებლობაში და ამზადებენ ნიადაგს ახალი ომისათვის. მათ მიერ გადადგმული კიდევ ერთი პროვოკაციული ნაბიჯი მიმართულია ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკის და სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ. მოღალატე მენშევიკებმა საბოლოოდ ჩამოიხადეს ნიღაბი და აშკარად დაუკავშირდენ პოლონელ ფაშისტებს ავანტიურისტ პილსუდსკის მეთაურობით.

მაგრამ საქართველოს მშრომელი მასები საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად მათ ამის ნებას არ მივცემთ. მენშევიკების პროვოკაციულ გამოსვლას ვუპასუხებთ ჩვენი რიგების კიდევ უფრო შემჭიდროებით სოციალისტური მშენებლობის განვითარებლად და ინდუსტრიალიზაციის აღებულ ტემპის გასაძლიერებლად.

ზიზღი მოღალატე მენშევიკებს და პოლონეთის ფაშისტურ მთავრობას!

ძირს პოლონეთის და მთელი ქვეყნის რეაქცია!

გაუმარჯოს საბჭ. ხელისუფლების დიად აღმშენებლობას და მის ხელმძღვანელ კომპარტიას!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას მთელ მსოფლიოში!“

მოვითხოვთ მტკიცე ზომებს ანტისაბჭოთა პროვოკაციების აღსაკვეთად

ბათუმი, 13 ივნისი. პოლონეთის მთავრობის მოქმედებით აღშფოთებულმა ქალაქ ბათუმის პროლეტარიატმა თავისი მრისხანება და პროტესტი გამოხატა მძლავრი დემონსტრაციით.

საერთო საქალაქო მიტინგზე მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია: „ქალაქ ბათუმის მუშა - მოსამსახურეთა და ყველა მშრომელთა მიტინგმა მოისმინა ცნობა, რომ პოლონეთის მთავრობას არ სურს დააკმაყოფილოს საბჭოთა მუშურ - გლეხური მთავრობის მოთხოვნილებები ვარშავაში ქართველ მენშევიკების — თეთრგვარდიელ ემიგრანტების მიერ მოწყობილ „ზეიმი“-ს და „ზეიმზე“ პოლონეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების მონაწილეობის გამო, — აღნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობის უარი, რომელიც დასაბუთებულია იმით, რომ ვითომ პოლონეთმა თავის დროზე იცნო მენშევიკური საქართველოს დამოუკიდებლობა, პირდაპირ არღვევს 1924 წლის ხელშეკრულებას, რომლითაც პოლონეთმა იცნო საბჭოთა საქართველოს შესვლა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში. მიაჩნია რა პოლონეთის მთავრობის ასეთი მოქმედება მორიგ შეგნებულ პროვოკაციად, მიტინგი საჭიროდ სცნობს მოსთხოვოს საბჭოთა ხელისუფლებას გადამჭრელი ზომების მიღება პოლონეთის მთავრობის შემდგომ პროვოკაციული მოქმედების ასალაგმავად. კერძოდ მიტინგი მოითხოვს პოლონეთის საკონსულოს დაუყოვნებლივ გაძევებას თბილისიდან. შემდგომი ნორმალური ურთიერთობა პოლონეთთან საბჭოთა საქართველოს მუშებსა და გლეხებს შესაძლოთ მიაჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთი მისცემს საბჭოთა კავშირს სრულ დაკმაყოფილებას, დაიცავს ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს და გააძევებს პოლონეთიდან ქართველ თეთრ ემიგრანტებს, რომლებიც ეწევიან ანტი - საბჭოთა მუშაობას. დეე იცოდეს პოლონეთის ფაშისტურმა მთავრობამ, რომ საბჭოთა კავშირის და საბჭოთა საქართველოს მუშები და გლეხები ნებას არ მისცემენ პოლონეთის პანებს და მათ მფარველებს — მსოფლიო იმპერიალისტებს, ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობას. დეე გაიგონ მთელი ქვეყნის იმპერიალისტებმა, რომ საბჭოთა კავშირი საკმაოდ ძლიერია და საბოლოოდ ალაგმავს პოლონეთის მთავრობის უპასუხისმგებლო პროვოკაციულ თამაშს. დეე გაიგოს პოლონეთის პროლეტარიატმა და მთელი ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა თუ როგორ პროვოკაციას მიმართავენ პოლონეთის ფაშისტები. ძირს ახალი ომის ცეცხლის დანთების მსურველნი პოლონეთის ფაშისტები.

შორს პოლონეთის წარმომადგენლები საბჭოთა საქართველოდან.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს“!

მიტინგის პრეზიდიუმი.

რიონჰესის მუშების პროტესტი

ქუთაისი, 13 ივნისი. რიონჰესის მუშა-მოსამსახურეებმა მოვისმინეთ ინფორმაცია პოლონეთის პანების მორიგი პროვოკაციის შესახებ. ერთხმად ვაცხადებთ მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ ის, ვინც ხელს გვიშლის რომ რიონჰესი ავაგუგუნოთ, უდიდესი ავაზაკია, ასეთ არამზადების საწინააღმდეგოთ ჩვენ გვაქვს მაგარი მუშტი. კმარა მოთმენა, დროა ავაზაკებს ღირსეული პასუხი გაეცეს. პოლონეთის წარმომადგენელნი უნდა გაძევებულ იქნან საქართველოდან.

ხაშურის მუშა-მოსამსახურეები მოითხოვენ პოლონეთის წარმომადგენლების გაძევებას

ხაშური, 13 ივნისი. ხაშურის მუშა- მოსამსახურეთა მიტინგმა მოისმინა ცნობა პოლონეთის ფაშისტური მთავრობის საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევისა და პროვოკაციული გამოსვლის შესახებ და ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ხაშურის მუშა - მოსამსახურეები თავის აღშფოთებას გამოსთქვამენ პოლონეთის ფაშისტური მთავრობის აგრესიული მოქმედების გამო, რაც გამოიხატა საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის ცდაში.

კმარა ლმობიერება იმ ხალხის მიმართ, რომლებიც განუწყვეტლივ პროვოკაციას მიმართავენ საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩვენ არაფერი გვაქვს საერთო იმ ხალხთან, რომელსაც ვერ შეუთვისებია საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა. ჩვენს ქვეყანაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმ მთავრობის წარმომადგენლებს, რომელიც პროვოკაციას ეწევა ჩვენს წინააღმდეგ.

ჩვენ მოვითხოვთ პოლონეთის წარმომადგენლების გაძევებას საბჭოთა საქართველოდან და მთელი საბჭოთა კავშირიდან. ყველას გასაგონად ვამბობთ, რომ მტკიცეთ განვაგრძობთ სამშვიდობო პოლიტიკას, მაგრამ მზად ვართ თავდაცვისათვისაც და ნებას არავის მივსცემთ ბინძური ხელი შეახოს ოქტომბრის მონაპოვარს“.

გორის მაზრის აგრონომებისა და მიწისმზომელთა ხმა

გორის მაზრაში მომუშავე აგრონომების, მიწის მზომელთა და კოლექტიურ მეურნეობების ხელმძღვანელთა გაფართოებულმა თათბირმა მოისმინა ამხ. გ. ქერეჭაშვილის ინფორმაციული ცნობა პოლონეთის მთავრობის პროვოკაციული მოქმედების შესახებ. თათბირი აღშფოთებულია პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობით საქართველოს მენშევიკური „დამოუკიდებლობის“ — 10 წლის თავის ზეიმზე; პოლონეთს, რომელიც ცნობილია, როგორც მცირე ერების მჩაგვრელი, უკანასკნელი პროვოკაციული გამოსვლებით თავი მოაქვს ვითომ და მცირე ერების მფარველად; მშრომელი ინტელიგენცია იმ ყოფილ „მთავრობის“ და ყველა მის მფარველებისა და ხელის შემწყობ პირების საყურადღებოთ აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით საქართველოში შენდება ნამდვილი დამოუკიდებელი სოციალისტური სამყარო. ქართველ მშრომელ მასების ხელმძღვანელი არის საბჭოთა ხელისუფლება და მათ სრულიად არ სჭირდებათ არც პოლონეთის ფაშისტური მთავრობის და არც ყოფილი მენშევიკური „მთავრობის“ მფარველობა.

მიუხედავად ჩვენი ხელისუფლების უაღრესად მშვიდობიანი პოლიტიკისა — პოლონეთის მთავრობა არაფრად აგდებს დადებულ ხელშეკრულებებს და ჩვენი კავშირიდან განდევნილ პოლიტიკურ გვამების მფარველობის გზით ერევა ჩვენ შინაურ საქმეებში.

მოვითხოვთ საქართველოს მთავრობისაგან, განდევნილ იქნეს საბჭოთა სახელმწიფოს ტერიტორიიდან პოლონეთის ფაშისტური მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენლები, და ამით განხორციელდეს მშრომელი ხალხის ნება.

ამასთან ერთად თათბირი არწმუნებს ხელისუფლებას, რომ სოფლის ინტელიგენცია პირველ დაძახილისთანავე მედგრათ დადგება საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე.

ძირს პოლონეთის ფაშისტური მთავრობა!

შორს ჩვენგან მცირე ერების სისხლში გასვრილი პოლონეთის პანების ხელები!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა ერების ძმურ ერთობას!

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის და ინტელიგენციის შეურყეველ კავშირს!

საბჭოთა არჩევნების შედეგები

საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება

მოსკოვი, 13 ივნისი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მოისმინა მოხსენება საბჭოების 1928—29 წლის საარჩევნო კამპანიის ჩატარების წინასწარი შედეგების შესახებ და მიიღო შემდეგი დადგენილება:

„საბჭოების არჩევნებმა ცხადჰყო კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ჩვენს ქვეყანაში. პროლეტარიატის გაშლილი სოციალისტური შეტევა იწვევს კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობის ზრდას. კულაკები და ქალაქის ბურჟუაზიულ-ნეპმანური ფენები გაძლიერებულ ბრძოლას აწარმოებდნენ საბჭ. ხელისუფლების წინააღმდეგ. თავიანთი ორგანიზაციულ-სააგიტაციო მუშაობის გაშლასთან ერთად, ისინი ამ ბრძოლაში მიმართავდნენ აშკარა ტერორს აქტიური საბჭოთა მუშაკებისა და საზოგადოებრივი მუშაკების წინააღმდეგ, განსაკუთრებით სოფლად. არჩევნებმა ცხადჰყო აგრეთვე მუშათა კლასის და ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების პოლიტიკური აქტიობის არაჩვეულებრივი ზრდა, იმ მასების ზრდა, რომელნიც მჭიდროთ დაირაზმენ პარტიის შემდეგი ლოზუნგების გარშემო: სამშვიდობო პოლიტიკა, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცება, ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი, სოფლის მეურნეობის განვითარება და მისი სოციალისტური რეკონსტრუქცია. მუშათა კლასის, მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების აქტიობისა და პოლიტიკური შეგნების ასეთი ზრდის წყალობით არჩევნების შემდეგ მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი საბჭოებში უფრო განმტკიცდა, ამასთან ძირშივე აღკვეთა კულაკ-კაპიტალისტური ელემენტების ცდა გაევრცელებინათ თავიანთი გავლენა ამომრჩეველთა ზოგიერთ ფენაზე. ამომრჩევლების მიერ მიღებულ დავალებებში სავსებით მოწონებულია საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა. ახლად არჩეული საბჭოების სოციალური და პარტიული შემადგენლობა ცხადჰყოფს პარტიის ახალ მიღწევებს პროლეტარული გავლენის განმტკიცების, საბჭოების მუშაობაში მუშათა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ჩაბმის და კულაკურ-ნეპმანური აგენტურის პოზიციების დასუსტების საქმეში. საბჭოების საარჩევნო კამპანია ჩატარებულ იქნა საბჭოთა დემოკრატიის და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარების პირობებში, რაც ხელს უწყობდა საბჭოების კლასობრივი ხაზის სისწორის შენარჩუნებას ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და საბჭოების გაწმენდას ჩვენთვის კლასობრივად უცხო და მტრული ელემენტებისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამრეწველო პროლეტარიატის პოლიტიკური შეგნების ზრდა, იმ პროლეტარიატისა, რომელიც ენერგიულად იბრძვის სოციალისტური განვითარების გზაზე არსებულ დაბრკოლებათა დასაძლევად და რომელმაც საბჭოების არჩევნებში მეტ წილად გამოუკლებლივ მიიღო მონაწილეობა. ამასთან ერთად თვალსაჩინოდ გაიზარდა აგრეთვე ქალაქის მშრომელთა ორგანიზაციულად შეუკავშირებელი ფენების აქტივობა, გაძლიერდა პროლეტარიატის გავლენა ამ ფენებზე.

პარტიამ გააძლიერა მუშაობა სოფლის ღარიბ მოსახლეობას შორის, რის გამო, საგრძნობლად გაიზარდა მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხობის დარაზმულობა და აქტიობა, გაიზარდა მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ფენების როლი და გავლენა საბჭოების საარჩევნო კამპანიაში სოფლად. მიუხედავად იმისა, რომ გაძლიერდა კულაკების ბრძოლა საშუალო გლეხთა მასებზე გავლენისათვის, პარტიამ ახალ გამარჯვებებს მიაღწია ღარიბ და საშუალო გლეხთა ბლოკის განმტკიცებისა და პროლეტარიატის დიქტატურის პოზიციების საერთო გამაგრების საქმეში სოფლად. ამასთან ერთად თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის დახმარება, რომელსაც ქალაქის მუშები სოფელს უწევენ, რაც გამოიხატა მუშათა ბრიგადების მასიურ გაგზავნაში, სოფლად სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში, გამოძახებებში და სხვ. უდიდესი მიღწევები გვაქვს ქალაქის და სოფლის ქალთა მშრომელი მასების აქტიობისა და კლასობრივი შეგნების გაღრმავების საქმეში. გაიზარდა ქალთა რიცხვი საბჭოებში, გაიზარდა აგრეთვე სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებად არჩეულ გლეხ-ქალთა რიცხვი. უდავოა აგრეთვე მუშათა და გლეხთა მასების აქტიობის თვალსაჩინო ზრდა ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებში, რაც აიხსნება მათი საერთო ეკონომიური და კულტურული განვითარებით. ამის მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა აღმოსავლეთის მშრომელ ქალთა აქტივობის საგრძნობი ზრდა. პარტიის მიღწევები პროლეტარიატის და ღარიბი და საშუალო გლეხობის კავშირის განმტკიცებისა და კულაკის შემდგომი იზოლიაციის საქმეში მოწმობს პარტიის პოლიტიკის სისწორეს, ამასთან ერთად ცხადჰყოფს პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა აღნიშნავს საბჭოების 1928—29 წლის საარჩევნო კამპანიის ამ პოლიტიკურ და საორგანიზაციო მიღწევებს და ამავე დროს მიუთითებს პარტიული ხაზის მნიშვნელოვან გადამახინჯებებზე მთელ რიგ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ. პარტიული ორგანიზაციები ხშირად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მუშაობას მოჯამაგირეთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ერთგვარი მიღწევები, პროფკავშირების, სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და ღარიბთა ჯგუფების მუშაობაში საჭიროა გადამწყვეტი გარდატეხა. მათ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ახალ ფენების ორგანიზაციას და დარაზმვას პარტიის გარშემო ამასთან ერთად ზოგიერთ შემთხვევაში მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა გაძლიერებული აქტიობა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ვერ გამოიყენეს საშუალო გლეხთა მასებზე პროლეტარული გავლენის გასაძლიერებლად და ღარიბ და საშუალო გლეხთა ბლოკის განსამტკიცებლად, ხოლო ცალკე რაიონებში შემჩნეულ იქნა, რომ საკმაოდ ვერ აფასებდნენ საშუალო გლეხის როლს საბჭოების არჩევნებში, ალაგ-ალაგ შემჩნეულ იქნა აგრეთვე საბჭოთა ორგანიზაციების კავშირი სოფლის კულაკურ ზედა ფენებთან, არასაკმაოდ ენერგიული ბრძოლა კულაკური გავლენის წინააღმდეგ და სხვ. ზოგან, საარჩევნო კომისიების არადამაკმაყოფილებელი შემადგენლობისა და საბჭოთა კანონმდებლობის გადამახინჯების გამო, ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს (განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიის დასაწყისში), როგორიცაა კულაკებისათვის საარჩევნო უფლების მიცემა და ამ უფლების უკანონოდ წართმევა საშუალო გლეხებისათვის.

ცეკა წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს— ყოველმხრივ გააუმჯობესონ ახლად არჩეული საბჭოების მუშაობის ხელმძღვანელობა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებულ დიდ ამოცანათა წარმატებით შესრულების საქმეში, დარაზმონ მუშათა კლასის, მშრომელი მასების და გლეხების და, განსაკუთრებით, მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხების — პროლეტარიატის ამ დასაყრდენის სოფლად — ძალები, სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადასალახავად და კაპიტალიზმის ფესვების აღმოსაფხვრელად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა აპარატის გაწმენდას უცხო, გახრწნილი და გაბიუროკრატებული ელემენტებისაგან და საბჭოთა აპარატის შემდგომ გაუმჯობესებას ახალი კადრების დაწინაურებისა და მომზადების გზით, აგრეთვე საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის აწევით. ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს მუშა და გლეხ ქალთა დაწინაურების საქმეს. საჭიროა ენერგიული მუშაობა საბჭოების საქმიანობის გასაცხოველებლად, მასების ფართოდ ჩასაბმელად საბჭოების მუშაობაში.

ცეკა წინადადებას აძლევს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს—შეისწავლონ საბჭოების საარჩევნო კამპანიის შედეგები, საბჭოების სოციალური შემადგენლობა, ცალკე რაიონების თავისებურობანი და მიიღონ ზომები საარჩევნო კამპანიის დროს გამოაშკარავებული დეფექტების აღმოსაფხვრელად საბჭოების მუშაობაში“. (ადს).

აზერბაიჯანისა და სომხეთის მწერლები თბილისში

ზოოლოგიურ მუზეუმში

ა. ახვერდოვი
აზერბეიჯანის მწერალთა დელეგაციის თავმჯდომარე

გუშინ დილიდანვე ჩვენი სტუმრები —სომეხი და თურქი მწერლები შეუდგნენ თბილისის სამეცნიერო, კულტერულ დაწესებულებების და საწარმოების დათვალიერებას.

პირველად დელეგატები ესტუმრნენ საქართველოს ზოოლოგიურ მუზეუმს. მწერლებმა დაათვალიერეს მუზეუმის ყველა განყოფილება. მათ საჭირო ახსნა-განმარტებას აძლევდა მუზეუმის თანამშრომელი-ზოოლოგი.

სტუმრების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ამიერ-კავკასიის ფაუნამ, რომელიც წარმოდგენილია თვითეული ცხოველისათვის შესაფერ საცხოვრებელ გარემოში.

ურთიერთ შორის შთაბეჭდილებების გაზიარების დროს დელეგატებმა ხაზი გაუსვეს მუზეუმის პრაქტიკულ მნიშვნელობას სკოლებისათვის. მათი აზრით, მოწაფეებს ამ მუზეუმის ექსპონატების საშუალებით შეუძლიათ გარკვეული და სრული წარმოდგენა იქონიონ ამიერ-კავკასიის ცხოველთა სამეფოზე. მწერლების დასკვნით, მუზეუმი, როგორც წარმოდგენილი ნიმუშების სიმრავლით, ექსპონატების შერჩევით და მათი დალაგებით, ისე ტექნიკური მოწყობით ერთ-ერთს საუკეთესო ზოოლოგიურ დაწესებულებას წარმოადგენს მთელს ამიერ-კავკასიაში.

გამომშვიდობებისას მწერლებმა მადლობა გადაუხადა მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილების ხელმძღვანელს.

ათვალიერებენ მუზეუმის ექსპონატებს

ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანაში

მუზეუმიდან დელეგაცია ავტომობილით გაემგზავრა ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანაში.

სტუმრების მისვლისთანავე ქარხნის ადმინისტრაცია და ქარხკომი ფეხზე დადგა. დელეგატებმა არჩიეს ქარხანა დაეთვალიერებიათ მუშაობის დროს, ისე რომ ხელი არ შეეშალათ მიმდინარე მუშაობისათვის.

ქარხანა თავს ვერ მოიწონებს თავისი სიახლითა და რეკონსტრუქციით, მაგრამ დელეგაციას უმთავრესად აინტერესებდა მუშების შრომის პირობებისა და მათი მუშაობის ხასიათის გაცნობა. ამ მხრივ ქარხნის ყველა საამქრომ დელეგატებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ბორბლების დამამზადებელ ცეხში

პირველი თვალის გადავლებისთანავე აშკარა გახდა, რომ მუშები გულმოდგინეთ არიან ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ცხადია, დელეგაციის მისვლამ მათში აღძრა ინტერესი და ცნობის მოყვარეობა, მაგრამ არც ერთ მუშათაგანს არ შეუნელებია თავის მუშაობის ტემპი: განუწყვეტლივ გრგვინავდნენ გავარვარებულ რკინაზე ჩაქუჩები, გრდემლები და სხვადასხვა ხმაზე გუგუნებდნენ საამქროების დაზგები.

დელეგატებმა გულდასმით დაათვალიერეს სამჭედლო, სახარატო, საზეინკლო, ჩამომსხმელი და საყალიბო საამქროები. ახსნა-განმარტება ზედმეტი აღმოჩნდა, რადგან ყოველი მწერალთაგანი საკუთარი თვალით ხედავდა, თუ რა იარაღი, ან ნაწილი იკვეთებოდა მჭედლის, ზეინკლის, ან ხარატის ხელით.

დელეგატებმა გამოიკითხეს ადგილობრივი კულტმუშაობა და გაეცნენ ქარხნის—ბეჭდვით-გაზეთს „ჩვენს საყვირს“. გამოარკვიეს მუშკორების რაოდენობა, გაზეთის შინაარსი, მისი მონაწილეობა ქარხნის შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, დისციპლინის განმტკიცების და მუშათა ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღების საქმეში.

გაზეთის რედაქციის მდივანმა მწერლებს შესთავაზა გაზეთის ახალი ნომრები.

კინო-ფაბრიკაში

შემდეგ დელეგაცია ეწვია საქართველოს სახკინმრეწვის ახალ ფაბრიკას.

დელეგატები მიიღო სახკინმრეწვის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ამირაგოვმა, რომელიც სიხარულით შეხვდა მწერლების განზრახვას—გაცნობოდნენ საქართველოს კინო-მრეწველობას.

ამხ. ამირაგოვის განკარგულებით მწერლები მიიწვიეს ახლად დამთავრებულ კინო-ფაბრიკის შენობაში. დელეგატები დიდი ინტერესით შეუდგნენ კინო-საწარმოების დათვალიერებას. უზარმაზარ გადასაღებ საამქროში მიმდინარეობდა რამოდენიმე სურათის ცალკე სცენების გადაღება. საამქროს ყოველი კუთხე მორთული იყო დეკორაციებით. ერთ კუთხეში მწერლების თვალწინ გადაიშალა მინიატურული სვანური სოფელი, სვანის კარმიდამო, სასაფლაო და სოფლის პეიზაჟები, რომელიც დამზადებული ყოფილა ახალი სურათის „ბრმა ქალის“ გადასაღებად. სახკინმრეწვის სპეციალისტმა ამხ. ბრუსილოვსკიმ მწერლებს გააცნო ამ ფილმის შინაარსი, რომელიც ეხება სვანეთის დღევანდელ ყოფა-ცხოვრებას. მწერლები გაეცნენ აგრეთვე საქართველოს კინო-მრეწველობის ისტორიას, გამოშვებულ სურათების რაოდენობასა და მომავალ მუშაობის გეგმას. ამხ. ბრუსილოვსკის გადმოცემით,—სახკინმრეწვის ახალი ფაბრიკა სიდიდით მეორე ფაბრიკაა მთელ საბჭოთა კავშირში და ტექნიკურ მოწყობითაც წინ უსწრებს საბჭოთა რესპუბლიკების მრავალ კინო-წარმოებას.

ბრუსილოვსკის თხოვნით მწერალთა დელეგაცია დათანხმდა გადაეღო ქრონიკა — სურათი მათი საქართველოში ჩამოსვლის გამო. გადაღებული იქნა სომეხ-თურქ მწერალთა მთელი შემადგენლობა ერთად და ცალ-ცალკე.

გადაღების დამთავრების შემდეგ მწერლებმა ინახულეს ფირფიტების დასამზადებელი, გამოსარკვევი, საშრობი და სამონტაჟო განყოფილებები,

კინო-ფაბრიკის დათვალიერებით სტუმრები მეტად კმაყოფილი დარჩნენ.

ამით დამთავრდა გუშინდელი დღე.

ჩვენი სტუმრები

სომეხი მწერლები

შირვან-ზადე
სომხეთის მწერალთა დელეგაციის თავმჯდომარე

არაქსი

მწერალი ქალი არაქსი დაიბადა 1903 წელს კარაკლისში. წერა დაიწყო 1924 წელს. მისი ნაწარმოებნი იბეჭდება სომხურ გაზეთებსა და ჟურნალებში. ცალკე წიგნად გამოვიდა პატარა რომანი და მოთხრობების კრებული.

1924 წელს იყო სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრად, შემდეგ ასოციაციის გამგეობის წევრად, ხოლო ამჟამად ირიცხება სომხეთის საბჭოთა მწერლების ფედერაციის გამგეობის წევრად. არის აგრეთვე კომკავშირის წევრი.

ნარიმან ფახირი

ნარიმან ფახირი დაიბადა 1911 წელ. პროლეტარული მწერალია. თანამშრომლობს ჟურნალ „ინკლაბ ვე მედენიეთ“-ში (რევოლიუცია და კულტურა“). კომკავშირელია. სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის თურქული სექციის წევრია.

ალაზანი

ამხ. ალაზანი დაიბადა 1903 წელს ქ. ვანში. 1918-დან 1924 წლამდე ასოთამწყობად იყო, შემდეგ დაწინაურებულ იქნა პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო სამუშაოზე. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დაარსების პირველ დღიდანვე ამხ. ალაზანი ასოციაციის გამგეობის წევრად იყო, ხოლო 1924 წლიდან — მის თავმჯდომარედ, შემდეგ კი — ასოციაციის პასუხისმგებელ მდივნად. ამჟამად ამხ. ალაზანი სომხეთის საბჭოთა მწერლების ფედერაციის მდივანია და ამავე დროს არის სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანოს, სარედაქციო კოლეგიის წევრად.

ამხ. ალაზანმა წერა დაიწყო 1921 წლის დამდეგს. მისი ნაწარმოები იბეჭდებოდა სომხეთის ყველა გაზეთსა და ჟურნალში. გამოცემულია 10 წიგნი, სადაც, სხვათა შორის, მოთავსებულია 76 პოემა და ლექსი, ერთი რომანი და მოთხრობები. ალაზანის ნაწარმოებნი გადათარგმნილია რუსულ, ქართულ და თურქულ ენებზე.

ამხ. ალაზანი სცხოვრობს და იბრძვის სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ვაჰან ტოტოვიანცი

ვაჰან ტოტოვიანცი დაიბადა 1893 წელს. ქ. ხარფუთში, თურქეთის სომხეთში. უმაღლესი განათლება მიიღო ამერიკის უნივერსიტეტში. მან გამოსცა 15-ზე მეტი წიგნი — დრამები, მოთხრობები, ამბები, სატირა.

ვაჰან ტოტოვიანცმა ბევრი იმგზავრა სხვადასხვა ქვეყანაში და თავის ნაწარმოებებში აღწერს ამერიკის ცხოვრებას. ტოტოვიანცი რეალისტია. მისი მთავარი ჟანრია დრამატურგია. ტოტოვიანცი სომხეთის მშრომელ მწერალთა კავშირის წევრია.

გელამ სარიანი

გელამ სარიანი დაიბადა 1900 წლის დეკემბერში. მიიღო საშუალო განათლება. სწერს მოთხრობებს და ლექსებს. დღემდე გამოცემულია მისი პოემების და მოთხრობების 4 წიგნი. ამჟამად სწერს რომანს „წყალდიდობა“. გ. სარიანი სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრია.

რაჰიმ, ხ. გუსეინოვი, ჯაფარლი, ეფენდიევი, ს. რუსტამ

აზერბაიჯანელი მწერლები

ჯაფარ ეფენდიევი

ლიტერატურული კრიტიკოსი და თურქული ლიტერატურის მცოდნე ჯაფარ ეფენდიევი დაიბადა ნუხის მაზრაში 1887 წ. გლეხის ოჯახში. უმაღლესი განათლება მიიღო კონსტანტინეპოლში. მისი პირველი კრიტიკული მიმოხილვები დაიბეჭდა 1917-18 წლებში.

ცნობილია მისი კრიტიკული წერილები პუშკინზე, ბარბიუსზე, დემიან ბედნიზე, რომლებსაც თურქი მკითხველი მასა გაეცნო ჯაფარის თარგმანებისა და წერილების საშუალებით. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ვრცელი კრიტიკული წერილი ფუტურიზმზე. ჯაფარის ზოგიერთი სალიტერატურო - კრიტიკული მიმოხილვა შეტანილია სახელმძღვანელოებში. ჯაფარ ეფენდიევი საშუალო სასწავლებლებში კითხულობს ლექციებს თანამედროვე თურქულ ლიტერატურაზე.

ჰუსეინ ჯავად

ცნობილი დრამატურგი მწერალი და პოეტი ჰუსეინ ჯავადი დაიბადა 1882 წ. უმაღლესი განათლება მიიღო კონსტანტინეპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1905 წლიდან, როცა დაიბეჭდა მისი პირველი ერთმოქმედებიანი დრამა „დედა“ (დაღესტანის ცხოვრებიდან). მის კალამს ეკუთვნის 1911 წ. დაწერილი 6 მოქმედებიანი დრამატიული პოემა „შეიხ სანან“ (საქართველოს ისტორიულ წარსულიდან) და დრამატიული პოემა „იბლისი“ (დემონი). მან უკანასკნელად დასწერა საქართველოს თანამედროვე ცხოვრებიდან პიესა, „კნიაზი“, რომელიც მომავალ სეზონში დაიდგმება. მას აქვს აგრეთვე მრავალი ლექსი საქართველოს შესახებ.

ჯაფარ ჯაფარლი

ახალგაზრდა დრამატურგი ჯაფარ ჯაფარლი დაიბადა 1899 წ. სწავლობს აზ. უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე. წერა დაიწყო 1915 წლიდან. დაწერილი აქვს 5 მოქმედებიანი დრამა „აიდნ“, პიესა „მზის სარძლო“ და „სევილი“. ჯაფარლის პიესებში დასმულია და გადაჭრილი თანამედროვე აზერბეიჯანისათვის აქტუალური პრობლემები, (ბრძოლა ქალთა განთავისუფლებისა და ახალი ყოფა - ცხოვრებისათვის), ორი უკანასკნელი პიესა განუწყვეტლივ იდგმებოდა უკანასკნელ სეზონებში ბაქოსა და განჯის თეატრების სცენაზე.

მ. რაჰიმ

მ. რაჰიმ ყველაზე ახალგაზრდა პროლეტარული მწერალია. იგი დაიბადა 1909 წ., სწავლობს აზ. უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე. ლექსების წერა დაიწყო 1926 წ., მისი ცნობილი პოემა „ხაზ პუში“ გადათარგმნილია რუსულათ; რაჰიმი კომკავშირელია.

თბ. კომიტეტის პლენუმი პარტიის წმენდის შესახებ

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია ამხ. ლენზნიკის მოხსენების გამო

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმმა მოისმინა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის მიერ ამიერ - კავკასიის პარტორგანიზაციების ხელმძღვანელ შემადგენლობის გასაწმენდათ გამოყოფილ კომისიის თავმჯდომარის ამხ. ლენზნიკის მოხსენება და აღნიშნა პასუხისმგებელი ამხანაგების და შემმოწმებელი კომისიების წევრთა შემოწმების დამაკმაყოფილებელი მსვლელობა, აგრეთვე დამაკმაყოფილებელი საერთო მზადება თბილისის ორგანიზაციის წმენდისათვის.

თბილისის კომიტეტის პლენუმი გამწმენდი კომისიების განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ პარტიის წევრებისა და კანდიდატების გულდასმით წმენდასთან დაკავშირებით საჭიროა ყველა კომუჯრედის მუშაობის შემოწმება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ასრულებენ ისინი პარტიის ძირითად დირექტივებს. უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს პარტორგანიზაციის და პარტიული მასის იდეურ - პოლიტიკურ სიმტკიცეს, ტროცკისტული ელემენტების გამოაშკარავებას და მათგან ორგანიზაციის გაწმენდას, მემარჯვენე გადახრისა და მისდამი შემარიგებლობის მხილებას და ულმობელ ბრძოლას მათთან, კერძოდ კი, ორგანიზაციაში არსებულ ნაციონალისტურ განწყობილებასთან ბრძოლას.

პლენუმი აღნიშნავს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს შემმოწმებელი კომისიების მთელს მუშაობაში კლასობრივი ხაზის დაცვას და ფრთხილ მიდგომას მუშებისა და გლეხებისადმი; ამასთანავე საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული ორგანიზაციის მრავალრიცხოვანი შემადგენლობის სოციალ-ეკონომიური და კულტურულ - ყოფაცხოვრებითი პირობები.

სადი და საქმიანი კრიტიკის ფართოდ გაშლა - განვითარების მიზნით საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა ფართო მასების, მეტადრე მუშების, მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხების აქტიური მონაწილეობა გამწმენდ კრებებზე.

ამ მიზნით საჭიროა თვალსაჩინოდ გაძლიერდეს განმარტებითი მუშაობა უპარტიო მასაში.

ამასთანავე ერთად, საჭიროა, რომ შემმოწმებელმა კომისიებმა და აგრეთვე უჯრედებმა ძირშივე აღკვეთონ პირადი ან ჯგუფური ხასიათის ანგარიშების გასწორებისა და ცალკე კომუნისტებისა ან მთელი პარტიის დისკრედიტაციის ყოველგვარი ცდა წმენდის დროს.

სხვა პარტიებიდან (მეტადრე მენშევიკური პარტიიდან) გამოსული მუშები შემმოწმებელი კომისიების მიერ შეფასებულ უნდა იქნან იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად გამოიჩინეს მათ იდეოლოგიური სიმკვიდრე, პარტიული სიმტკიცე და პარტიისადმი ერთგულება მის რიგებში ყოფნის დროს. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნან შემოწმებულნი სხვა პარტიებიდან გამოსული არამუშური ელემენტები.

რადგან პარტიის წმენდის დიდმნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს კომუნისტების კლასობრივი სახის გამორკვევა, გამორკვევა იმისა თუ რამდენად მტკიცენი არიან ისინი პარტიულ თვალსაზრისით, მკვიდრნი — იდეოლოგიურად და სასარგებლონი ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, ამიტომ საჭიროა აღკვეთილ იქნას კომუნისტების პირადი ცხოვრების წვრილმანი ჩხრეკა.

ამასთანავე შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს პარტიის რიგებში ყოფნა იმ კომუნისტებისათვის, რომელთა ყოფა-ცხოვრება აშკარად ანტისაზოგადოებრივ, ანტიპარტიულია (სისტემატიური ლოთობა, ნაციონალიზმი, რელიგიურობა და სხვ.).

პარტიის რიგების წმენდასთან ერთად უნდა გაძლიერდეს პოლიტიკური მუშაობა მოწინავე მუშებისა და მოჯამაგირეების მისაზიდად პარტიაში. პლენუმი რაიკომებისა, თემკომებისა და უჯრედების ყურადღებას აქცევს იმ მუშაობის გაშლა - განვითარებაზე, რომლის მიზანია მუშების მიზიდვა პარტიაში.

საჭიროდ იქნას ცნობილი, რომ თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა სისტემატიურად მოისმინოს ცენტრ. საკონტრ. კომისიის ინფორმაცია წმენდის მიმდინარეობის შესახებ თბილისის მაზრის და ქალაქის პარტორგანიზაციაში.

პერიოდულ პრესაში, აგრეთვე კედლის გაზეთებში გაძლიერდეს წმენდის მსვლელობის გაშუქება, ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ შემთხვევებს, როცა პარტიიდან გამორიცხავენ გახრწნისათვის, მეშჩანური გადაგვარებისათვის, გაბიუროკრატებისათვის, მასებისაგან მოწყვეტისათვის და სხვ.; ამავე დროს გაძლიერდეს იმ მიზნების და ამოცანების განმარტებითი მუშაობა, რომლებსაც პარტიის გენერალური წმენდა ისახავს.

შაბათს, 15 ივნისს საღამოს სრულ 7 საათზე რუსთაველის თეატრში შესდგება ქ. თბილისის პროფესიონალური, პარტიული, საზოგადოებრივი და ყველა კულტურული ორგანიზაციების

საზეიმო სხდომა

აზერბაიჯანის და სომხეთის მწერალთა დელეგაციის პატივსაცემად

საზეიმო სხდომის შემდეგ საკონცერტო განყოფილება მრავალფეროვანი პროგრამით, რომელიც შეიცავს საბჭოთა ამიერ-კავკასიის მიღწევებს ხელოვნების დარგში.
შესვლა სპეციალური ბილეთებით.
ბილეთები განაწილებულია სათანადო ორგანიზაციებს შორის.

საორგანიზაციო კომისია.

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება 14 ივნისს აწყობს თბილისის მუშების შეხვედრას აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს მწერლებთან შემდეგ მუშათა კლუბებში:

ახალი მუშათა კლუბში (მბეჭდავთა)
ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (რკინისგზელების)
მეტყევეთა და ნარიმანოვის სახელობის კლუბში

შეხვედრის საღამოები დაიწყება საღამოს 7 საათზე. შესვლა ბილეთებით.

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება.

დღეს, 14 ივნისს, საღამოს 5 საათზე თბილისის ამასკომის დარბაზში შესდგება

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მე-4 პლენუმის სხდომის გაგრძელება

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის ყველა წევრისა და კანდიდატის, და აგრეთვე რაიკომის პლენუმის წევრების ყველა უჯრედის მდივნების, სამეურნეო მუშაკების და საქართველოს პროფსაბჭოს ფრაქციის წევრების დასწრება.

დღის წესრიგი:

საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ (ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება).

საქ. კომპ. (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

შრომის კოლექტივებში

გავაძლიეროთ კოლექტივების მუშაობა

ზოგიერთ კოლექტივში და არტელში შეპარული არიან ანტისაბჭოთა ელემენტები

მივიწყებული კოლექტივი

(თელავი)

მეჩექმეთა კოლექტივი თელავში ჩამოყალიბდა 1926 წელში. ამავე წლის ოქტომბრიდან კოლექტივი სულს ღაფავდა. გადმოცემული თანხა 1.500 მანეთის რაოდენობით, საკმარისი არ იყო და სახელოსნო ზარალობდა ყოველწლივ. კოლექტივის ბედიღბალი არავის აინტერესებდა. ცენტრმა თანხის მიცემით თითქოს „ვალი მოიხადა“ კოლექტივის წინაშე და მის საქმიანობაზე არაფერს კითხულობდა.

თელავის აღმასკომთან არსებულ კომუჯრედის კომისიამ ამ დღეებში გამოიკვლია კოლექტივის საქმიანობა. როგორც გამოკვლევიდან ჩანს, კოლექტივს პირველ ოქტომბრისთვის 1.400 მანეთი ზარალი ჰქონია. კოლექტივში მუშაობდა 15 უმუშევარი, დღეს მუშაობს 32, კოლექტივის წევრებს შორის არავითარი კულტურული მუშაობა არ სწარმოებს. თავისუფალ საზოგადოებებში სუსტათ არიან ჩაბმული. ინდუსტრიალიზაციის სესხი ერთხმად უარყვიათ, იმ მოსაზრებით, რომ უმუშევრები ვართო. მეტ ნაწილი კი თითქმის მუდმივად მუშაობს. საწარმოო კომისია ყოფილა გამოყოფილი, მაგრამ ოქტომბრიდან მხოლოდ ორი სხდომა ჰქონია.

ყველაფერი ეს გამოწვეულია იმით, რომ ადგილკომის ხელმძღვანელობა ძალიან სუსტია. შრომის სახალხო კომისარიატიც, რომელიც უშუალო ხელმძღვანელი უნდა იყოს კოლექტივისა, სრულებით ყურადღებას არ აქცევს. შრომის ინსპექტორი სამი თვეა არ ყოფილა კოლექტივში და არ გაუწევია მისთვის საქმიანი ხელმძღვანელობა.

ვინ იცის კიდევ რამდენს ხანს დარჩებოდა კოლექტივი უყურადღებოდ, რომ ადგილობრივ პარტუჯრედს არ მიექცია ყურადღება და არ მიეღო ზომები მისი საქმიანობის გასაჯანსაღებლად. კოლექტივს შეუძლიან თვალსაჩინო ადგილი დაიკავოს ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებაში და ფასების დაწევაში. სამუშაო ხელსაწყო იარაღები სახელოსნოში დამაკმაყოფილებელია. გამოშვებულ საქონლის ხარისხი, შედარებით ადგილობრივ ბაზართან, უკეთესია. შეკვეთები დროზე სრულდება. ჰყავთ 4 მოწაფე; მათში ერთი უკვე გადარიცხულია ოსტატებში. ზედნადები ხარჯები შემცირებიათ 10 პროცენტით. ამავე დროს სხვა სახელოსნოებთან შედარებით ხელფასი გადიდებულია; შრომის ნაყოფიერებაც თანდათან იზრდება. საქონელი გაუმჯობესებულია. გასული წლის ოქტომბრის შემდეგ დამუშავებულია 27.000 მან. საქონელი, აქედან კოლექტივს 400 მან. მოგება დარჩენია. მაგრამ საჭიროა ხელმძღვანელობა და დახმარება, მაშინ კოლექტივი სათანადო ადგილს დაიჭერს სხვა კოლექტივებს შორის.

ისტატი კაკულია.

ხელი შეუწყოთ არტელის მუშაობას

(წითელი ქალაქი, ხარაზების არტელი)

წითელი ქალაქი მთელი თემის ბაზარ ადგილად ითვლება. აქ მოიპოვებიან სხვადასხვა კერძო შინამრეწველ ხელოსნები: ხარაზები, მეჭურჭლეები, მეჩექმეები, დურგლები და სხვ. ამ დაქსაქსულ ხელოსნების არტელში გაერთიანება შესაძლებელი და აუცილებელიც არის. მაგრამ ამ დარგში წინად აქ არაფერი იყო გაკეთებული, მხოლოდ გასული წლის 1-ლ ივლისიდან ჩამოყალიბდა ხარაზების არტელი „წითელი გზა“, რომელშიაც გაერთიანებულია 12 ხელოსანი და 4 შეგირდი. არტელის მუშაობა კარგად მიმდინარეობს. სამუშაო ძალიან ბევრი აქვს არტელს. უნდა ითქვას, რომ გლეხობა უმთავრესად არტელის ნაწარმოებს ეტანება, რადგან აქ უფრო იაფი და კარგი ხარისხის მასალა მზადდება, მაგრამ მუშაობას ხელს უშლის საკმაო თანხების უქონლობა. საჭიროა შინამრეწველთა საკრედიტო - კოოპერატიული სარეწაო ამხანაგობამ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ არტელს და გაუწიოს მას დახმარება სესხის მიცემით. ეს ხელს შეუწყობს არტელის გაძლიერებას. გარდა ამისა, აუცილებელია ასეთივე არტელი ჩამოყალიბებული იქნეს სხვა ხელოსნებთა შორისაც, განსაკუთრებით მეჭურჭლეებს და დურგლებს შორის. სამისოთ ნიადაგი უკვე მომზადებულია.

მეგობარი.

არტელის მუშაობა უმჯობესდება

(მეჩექმეთა შრომის არტელი „შრომა“)

მეჩექმეთა არტელის წევრების უმრავლესობა შესდგება თვითმშრომელებისაგან. წევრის საპაიო გადასახადია 55 მანეთი. უნდა ითქვას, რომ არტელი ჩქარი ტემპით იზრდება და წარმოება უმჯობესდება, გარდა ახალი ფეხსაცმელების სახელოსნოსა, მაგრამ მუშაობის პირობები და შრომის დაცვის საკითხები აქ ვერ არის სათანადოთ მოგვარებული. არტელს შემოღებული აქვს 11 საათიანი სამუშაო დღე, თუმცა ეს როგორც განაცხადეს, დროებითია, სანამ წარმოება დადგებოდეს სათანადო დონეზე, მაგრამ მაინც დღეს ასეთი ხანგრძლივი სამუშაო დრო ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, სამუშაო ადგილი ძალზე ვიწროა. არტელის ხელმძღვანელებმა ამას აუცილებლად ანგარიში უნდა გაუწიონ და სასწრაფოდ გამოასწორონ ნაკლი.

მეჩექმეთა კოლექტივი. ფეხსაცმელების საპირეების გამოჭრა.

არტელს თბილისის სხვადასხვა უბნებში აქვს ფეხსაცმელების შემკეთებელი სახელოსნოებიც.

არტელში პირველ ხანებში შედიოდა მხოლოდ 5 წევრი. ამჟამად მასში გაერთიანებულია 145 წევრი. არტელს ბანკებში გახსნილი აქვს კრედიტი, რაც ხელს უწყობს მის მუშაობას.

მოკეთე.

კულაკი წითელ კოლექტივში

(ს. შემოქმედი)

სოფ. შემოქმედში არსებობს კოლექტივი „წითელი სახარაზო“, რომელსაც განაგებს ტარასი დუმბაძე. ტარასიმ კოლექტივი გარდაქმნა კულაკურ ამხანაგობათ. ნამდვილი მშრომელი გლეხები კოლექტივიდან გააძევა და მათ ნაცვლად მიიღო კულაკი ნესტორ მიხეილისძე სურგულაძე. სურგულაძეს აქვს ღარიბი გლეხების ექსპლოატაციით ნაძარცვი და პროცენტებით გადიდებული თანხა 3.000 მანეთის რაოდენობით.

შეერთდნენ ეს ორი გმირი, ორივე ძველი კომბინატორები და მუქარით დასციინიან ღარიბ გლეხებს. მათ ჰყავთ აგრეთვე უთანხო გლეხები, რომლებსაც აძლევინებენ პროცენტებს და ასეთ საშუალებით ზრდიან თავიანთ „კოლექტიურ“ თანხას. გლეხებს თავიანთ მუშაობაში არ რჩებათ პურის ფული და ვერ გაუბედავთ ხმის ამოღება.

ტარასი არის განთქმული კარტის მოთამაშე. მან თუ ვინმე ჩაიხელთა უკანასკნელ გროშს ამოაცლის ჯიბიდან. ნესტორ სურგულაძე საქონელში მეტს აძლევინებს მყიდველებს. ხშირად 3 მანეთიან საქონელს 5 მანეთად ასაღებს. გარდა ამისა სურგულაძეს საიდუმლოო აქვს გასესხებული ფულები სხვადასხვა ვაჭრებთან, რომლებისგანაც ღებულობს განსაზღვრულ პროცენტებს. საჭიროა შემოწმდეს „კოლექტივის“ საქმიანობა და ცხვრის ტყავში გახვეული კულაკები მიცემულ იქნენ პასუხისგებაში.

ოჯომის პირელი.

კოლექტიურ მუშაობას ხელს უშლიან

(წერილი სენაკიდან)

ახალ-სენაკის მახლობლად (დაახლოვებით 3 კილომეტრის მანძილზე), მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულია ტყავის დასამზადებელი ქარხანა. ქარხანა ამ რამდენიმე წლის წინად საექსპლოატაციოდ აიღო 7 ხელოსანმა, რომლებიც მუშაობდნენ კოლექტიურად, მაგრამ ნედლი მასალის სიმცირისა და საჭირო თანხის უქონლობის გამო ქარხანაში მალე შესწყდა მუშაობა, რის გამოც ქარხანა ჩამოერთვა კოლექტივს და დაუბრუნდა ძველ მეპატრონეებს. ქარხნის ერთ-ერთმა მეპატრონეთაგანმა, მიხა გაბესკირიამ, სენაკის „ეპო“-ს საშუალებით მოაგვარა საქმე და მისივე სახელით დაიწყო მუშაობა. გაბესკირია ქარხანაში ამუშავებს მუშებს, რომლებსაც საშინელ ექსპლოატაციას უწევს. თვითონ კი ხელფასის სახით თვეში 200—250 მანეთს იღებს.

უკანასკნელ ხანებში 10-მა ხელოსანმა ჩამოაყალიბა კოლექტივი და განიზრახა ქარხანაში მუშაობის დაწყება. ამ მიზნით კოლექტივმა მიმართა ადგილობრივ პროფკავშირს (ისინი ყველანი კავშირის წევრები არიან), რომელმაც საბოლოო დასკვნისათვის კოლექტივის განცხადება გადაგზავნა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობაში. გაბესკირიამ შეიტყო თუ არა ეს ამბავი, როგორც გამოცდილმა კომბინატორმა, ჩარხი უკუღმა დაატრიალა. მან ურჩია „ეპო“-ს გამგეობას არავითარ შემთხვევაში არ დაეთმო ქარხანა კოლექტივისათვის. გამგეობამ პირნათლად შეასრულა გაბესკირიას რჩევა და სხვადასხვა ორგანოების დახმარებით საქმე კერძო მოიჯარადრის სასარგებლოდ გადასწყვიტა.

გაბესკირია დღესაც უშიშრად და თავისუფლად განაგრძობს მუშების ექსპლოატაციას. განუსაზღვრელად ამუშავებს მათ და ხელფასს კი აძლევს იმაზე ნაკლებს, რაც ერგებათ კანონით. სათანადო ორგანოებმა დაჩქარებით უნდა გამოიკვლიონ ამ ქარხნის მუშაობა.

ხელოსანი.

კოლექტივს არ წააგავს

სამრეცხაო კოლექტივი „ვიგეხა“ თითქმის მთელს ქალაქს ემსახურება, საქმით კოლექტივი უზრუნველყოფილია და შემოსავალიც კარგი აქვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შინაგანი წესრიგით იგი არ წააგავს კოლექტივს. აქ საშინელ ექსპლოატაციას უწევენ მუშებს და ძალიან უმნიშვნელო ხელფასს აძლევენ. კოლექტივში მუშები დილის შვიდი საათიდან საღამოს 7—8 საათამდე განუწყვეტლად მუშაობენ. დღეში კი 1 მან. 20 კაპ. ძლივს აკეთებენ. მუშაობა ნარდზე სწარმოებს. ერთი ხალათის გარეცხვაში კოლექტივი ღებულობს 25 კაპ. თვითო გამრეცხავს — მუშას კი ეძლევა ორ კაპიკნახევარი. აღსანიშნავია, რომ მუშები არავითარ უქმე და დასასვენებელი დღეებით არ სარგებლობენ. გარდა ამისა, ხშირად კოლექტივის გამგის, სამუშაოზე თავის დროზე გამოუცხადებლობის გამო, მუშები უსაქმოდ დგანან. ესეც რასაკვირველია, მოქმედობს მუშის ხელფასზე. სად არის შრომის ინსპექტორი. რატომ არ მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას.

გორსკი.

დღეს, 14 ივნისს, საღამოს 6 ნახ. საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68) შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა და თბილისის კედლის გაზეთების წარმომადგენლების საერთო კრება.

დღის წესრიგში სდგას ამხ. სიჭინავას მოხსენება დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციის შესახებ. ჩვენი მუშკორების დასწრება აუცილებელია.

ზუგდიდის არყის სახდელი ქარხნის გამოკვლევა

საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილება

ზუგდიდის მაზრის ს. აბასთუმანში არსებობს არყის სახდელი და სარექტიფიკაციო ქარხანა „კოლხიდა“, რომელიც ზუგდიდის აღმასკომს ეკუთვნის. ამასწინად მოხდა ამ ქარხნის გამოკვლევა. გამოკვლევა ჩაატარა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები. გამოკვლევამ აღმოაჩინა შემდეგი:

ხსენებულ ქარხნის გარდა, „კოლხიდა“-ს ზუგდიდში აქვს კონიაკის, ღვინისა და სპირტის საწყობები. ზუგდიდშივე არსებობს კანტორა, რომელიც ყველა ამ საწარმოს ემსახურება. ყოველგვარ საბუღალტერიო და საქციზო წიგნებს ამ კანტორაში აწარმოებენ.

ყველა საწარმოს განაგებს ვ. ი. ტუსკია, რომელზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი.

საბუღალტერო წიგნების სათანადო დოკუმენტებთან, აგრეთვე სალაროს წიგნში ჩანაწერების მთავარ წიგნთან შედარებამ დროს გამოარკვია მრავალი დაუშვებელი ტექნიკური შეცდომა. მაგალ., ერთ გვერდზე ჯამს 1.000 მანეთი აკლია, ხოლო ორი გვერდის შემდეგ ეს თანხა ისევ აღდგენილია. რამდენიმე გვერდის შემდეგ ჯამს უკვე 10.000 მანეთი აკლდება. კიდევ რამდენიმე გვერდის შემდეგ ეს ჯამიც აღდგენილია და სხვ.

კომისიამ შეამოწმა ვ. ტუსკიას მუშაობა და შემდეგი აღმოაჩინა:

1928 წელს სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების შეკვეთები თავის დროზე არ სრულდებოდა. ამავე დრო პურისა და ქაჯის სპირტის ნაკლებობის მიუხედავად ტუსკია სპირტს კერძო ვაჭრებს აძლევდა ქ. სოხუმში, ბათომში, ფოთში და სხვ. იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც მოქ. ბულიას გაეხსნა 1.000 მანეთის ანგარიში და სპირტი მიეცა.

გარდა ამისა, მოქ. ტუსკია სხვადასხვა მეთოდებსა და ხერხებს მიმართავდა იმისათვის, რომ დაემალა ქარხნის საქციზო გადასახადით დასაბეგრი პროდუქტები. სახელმწიფო ბანკის საავანსოდან სესხის მიღების დროს მას მოტყუების გზით იმოქმედა სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლებზე.

აღმოჩნდა, რომ სამსახურში დაუდევრობას იჩენდნენ აგრეთვე სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლები მოქ. ა. ფრიდმანი და ვ. ჯანაშია.

გარდა ამისა, კომისიამ აღმოაჩინა, რომ სამსახურში დაუშვებელ დაუდევრობას იჩენდა ზუგდიდის მაზრის არაპირდაპირ გადასახადთა ინსპექტორი მოქ. კვარაცხელია.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ არსებული მასალების მიხედვით (რომლის ნაწილიც აქ მოვიყვანეთ) დაადგინა:

ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის „კოლხიდა“-ს ფირმით გაერთიანებულ საწარმოთა გამგეს მოქ. ტუსკიას საქციზო თანხების დამალვისათვის, სესხის მიღების დროს სახელმწიფო ბანკის მოტყუებისათვის და „კოლხიდა“-ს საბრუნავი თანხების გასადიდებლად კერძო-კაპიტალისტური მეთოდების გამოყენებისათვის—გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

საკითხი იმის შესახებ, რომ სამსახურში გულგრილობა გამოიჩინეს მოქ. ფრიდმანმა და ვ. ჯანაშიამ, გადაეცეს სახელმწიფო ბანკს სათანადო განკარგულებისათვის.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის არაპირდაპირი გადასახადების ინსპექტორი ზუგდიდის მაზრაში მოქ. ლ. კვარაცხელია, თავის მოვალეობათა ასრულების დროს დაუშვებელი გულგრილობის გამოჩენისათვის მოხსნილი იქნას თანამდებობიდან.

მიეთითოს ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს, რომ მან „კოლხიდა“-ს უფრო ფხიზლად ადევნოს თვალყური, რადგან მას ზუგდიდის სამაზრო აღმასკომისათვის, როგორც შემოსავლის წყაროს, დიდი მნიშვნელობა აქვს.

კოლმეურნეობათა მშენებლობა ამიერ-კავკასიაში

კოლმეურნეობათა მუშაობის შემოწმება, რომელიც ჩატარებულ იქნა ამიერ - კავკასიაში, დამთავრდა. შემოწმებამ გამოაშკარავა შემდეგი:

კოლმეურნეობათა მშენებლობა განმტკიცდა როგორც ორგანიზაციულად, ისე მეურნეობრივად. მაგრამ უეჭველ მიღწევებთან ერთად კოლმეურნეობათა მშენებლობაში არის დეფექტებიც. შრომის არასოციალური ორგანიზაცია, სუსტი საქონლიანობა, ურთიერთობის შინაგანი მოუწესრიგებლობა, კოლმეურნეობათა მოწყვეტა გლეხობისაგან, „ველურ“ კოლმეურნეობათა არსებობა, ეს დეფექტები კვლავ უშლიან ხელს კოლმეურნეობათა მშენებლობას.

შემოწმებამ დასახა სხვადასხვა ღონისძიებანი გამოაშკარავებული დეფექტების აღმოსაფხვრელად. მთავარი დეფექტებია — ტეხნიკური ბაზისის შექმნა კოლმეურნეობებში, გეგმიანობის გაძლიერება, კოლმეურნეობებისათვის საორგანიზაციო დახმარების გაუმჯობესება, ხელმძღვანელი შემადგენლობის კვალიფიკაციის აწევა, გრძელვადიანი კრედიტების ფონდის შექმნა და სხვ.

კოლმეურნეობათა მთელი მუშაობა მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული გლეხობის ძირითად მასებთან. (ადს)

მეაბრეშუმეობის მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში

გრიგალის მიერ მიყენებულ ზარალის გამოკვლევა

დასავლეთ საქართველოდან დაბრუნდა „საქართველოს აბრეშუმი“-ს მმართველის მოადგილე ამხ. შ. ჩხეიძე, რომელიც გამგზავრებული იყო მეაბრეშუმეობის მდგომარეობის გამოსარკვევად. ამხ. შ. ჩხეიძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა:

„შარშანდელი გვალვით დაზარალებული დასავლეთ საქართველოს გლეხობა დიდ იმედებს ამყარებდა აბრეშუმის მოსავალზე. ამ იმედების გამართლებას ყველაფერი უწყობდა ხელს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თუთის ფოთლის დაგვიანებით გამოსვლას და მიმდინარე გაზაფხულის ცივ ამინდს.

დაიოგებული თესლის 50 პროც. „საქართველოს აბრეშუმი“-ს მიერ გამოყვანილი იყო საინკუბაციო კამერებში და ჭია იმდენად საღი იყო, რომ მეაბრეშუმეებში აძლიერებდა მოსავლის იმედს.

მაისის უკანასკნელ რიცხვებამდე ჭიის კვება ნორმალურად მიმდინარეობდა. ჭიის დაავადებას ადგილი არ ჰქონია. მაისის უკანასკნელ რიცხვებში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ძლიერმა გრიგალმა, რომელიც მძვინვარებდა მთელს დასავლეთ საქართველოში სამი დღის განმავლობაში, დიდად დააზიანა თუთის ფოთოლი. განსაკუთრებით დაზიანდა ქუთაისის, ხონის, სამტრედიის, სენაკის, ცაიშის, დარჩელის, ხეთის, ხობის რაიონები და რკინის გზის ლიანდაგის ხეობა ოზურგეთის მაზრაში. აღნიშნულ რაიონებში თუთის ხეების ის მხარე, საიდანაც უბერავდა ქარი, სრულიად გატიტვლებულია ფოთლებისაგან. ხოლ მეორე მხარეზე შერჩენილი ფოთოლი სრულიად დამჭკნარია და ჭიის საკვებად არ გამოდგება.

თუთის ხის ნერგების სიმცირის გამო დაზარალებულ რაიონებისათვის თუთის ფოთლის მიწოდება დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ერთად-ერთი რაიონი, სადაც დაზარალებულ მეაბრეშუმეებს შეუძლიათ თუთის ფოთლის შოვნა, არის ჭალადიდის ტყეები და აქეთ მოიპოვება დღეს ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრების ახლო-მახლო რაიონების გლეხობა, რომელსაც დღეში უხდება 10—40 ვერსის მანძილის გავლა.

„საქართველოს აბრეშუმი“-ს მიერ მიღებულია ზომები ჭალადიდის რაიონიდან დაზარალებულ რაიონებში თუთის ფოთლის გატანის გასაადვილებლად. ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს განკარგულებით, ფოთის სამგზავრო მატარებლის ორი ვაგონი ყოველდღე ჩერდება იმ ადგილებში, საიდანაც გლეხებს გამოაქვთ ფოთოლი. მატარებლით მოგზაურობისთვის მეაბრეშუმე გლეხებს აძლევინებენ ბილეთის ფასის მხოლოდ 50 პროცენტს. დაზარალებულ რაიონებში „საქართველოს აბრეშუმმა“ გადაგზავნა საჭირო თანხები მეაბრეშუმე გლეხებისათვის ფულადი დახმარების გასაწევად.

დაზიანებული ფოთლით ჭიის კვებამ გამოიწვია ჭიის ნაწილობრივი დაავადება. გარდა ამისა ხშირია შემთხვევა, როცა საკვების უქონლობის გამო მეაბრეშუმე იძულებულია გადაყაროს უკანასკნელ ჰასაკში მყოფი ჭია.

ზემოაღნიშნულ რაიონებში დაზიანებულია თუთის ფოთლის 40 პროცენტამდე, რის გამო შეუძლებელი იქნება დასახული გეგმის მთლიანად განხორციელება.

აბრეშუმის კონტრაქტაცია დასავლეთ საქართველოში ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ მეაბრეშუმეების სიები „საქართველოს აბრეშუმმა“ თავის დროზე გადასცა საკრედიტო ამხანაგობებს, ავანსების გაცემა მეაბრეშუმეთათვის ჯერაც არ დამთავრებულა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგი საკრედიტო ამხანაგობა მეაბრეშუმეებს აძლევს ავანსს 14 მანეთის რაოდენობით ფუთზე, ზოგი კი მხოლოდ რვა მანეთს. ეს გარემოება გლეხებში იწვევს უკმაყოფილებას და ამახინჯებს დირექტივას კონტრაქტაციის შესახებ. საკრედიტო ამხანაგობებს წინადადება ჰქონდათ მიცემული, რომ ავანსების გაცემა დაეწყოთ როცა ჭია იქნებოდა პირველ ჰასაკში. ეს პირობებიც დარღვეულია. აბრეშუმის ჭიის დიდი უმრავლესობა უკვე იწყებს პარკის ხვევას და ახლა ავანსის გაცემა ყოველგვარ აზრს უკარგავს კონტრაქტაციას.

არის შემთხვევები, როცა კონტრაქტაციის მიზნისათვის გაცემული თანხა საკრედიტო ამხანაგობებს გამოყენებული აქვთ სხვა საჭიროებათათვის.

გუშინ დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა საუწყებათაშორისო კომისია, მ. გ. ინსპექციის, „სოფლის კავშირი“-ს, ვაჭრობის სახკომისარიატის რწმუნებულის და „საქართველოს აბრეშუმი“-ს წარმომადგენელთა შემადგენლობით. კომისია გამოიკვლევს აბრეშუმის კონტრაქტაციის და აბრეშუმის მოსავლის მდგომარეობას.

საქ. სახკომსაბჭოში

საქართველოს 1928-29 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება

სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს 1928-29 წ. ადგილობრივი ბიუჯეტი შემდეგი სახით:

შემოსავალი — 60.942.955 მან., აქედან საკუთარი საშუალებანი—49.718.058 მან., სესხები—5.348.897 მან., დოტაცია: ა) პედაგოგიურ პერსონალის ხელფასი—5.796.000 მ., ბ) სოფლად პოლიტგანათლების სამუშაოთათვის—80.000 მან. სულ დოტაცია უდრის—5.876.000 მან.

გასავალი—60.942.955 მან., აქედან: ახალქალაქის მაზრა—666.341 მან., ახალციხის მაზრა—1.029.415 მან., ბორჩალოს—935.371 მან., გორის—2.107.941 მან., კახეთის—3.407.235 მან., ქუთაისის—5.642.498 მან., შორაპნის—1.818.952 მან., რაჭა-ლეჩხუმის—1.107.132 მან., ზუგდიდის—1.504.419 მან., სენაკის — 1.161.220 მან., ოზურგეთის—1.194.076 მან., ზემო-სვანეთის—282.522 მან., ფოთი — 922.942 მან., სამხრეთ-ოსეთი—535.509 მან., აჭარისტანი—4.911.422 მან., აფხაზეთი — 3.622.108 მან., სულ თბილისის მაზრის გამოკლებით—30.849.103 მან., თბილისის მაზრას—30.093.852 მან.

სახლების მდგომარეობის გამოკვლევა

სახკომსაბჭომ გამოჰყო კომისია ამხ. გოდაბრელიძის (თავმჯდომარე), ათოევის და ოდილავაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა გამოიკვლიოს საბინაო კოოპერატიული ამხანაგობათათვის გადაცემული სახლების მდგომარეობა.

შემცირებული ტარიფი წყალზე

საავადმყოფოებისა და სკოლებისათვის და აგრეთვე სხვა სახელმწიფო დაწესებულებათათვის წყალზე შემცირებული ტარიფის დაწესების შესაძლებლობის გამოსარკვევათ დაარსებულ იქნა კომისია ამხ. მეხის (თავმჯდომარე) ავაქოვის და რახულ-ზადეს შემადგენლობით.

„წითელი ჯვარისა“ და „წითელი ნახევარ მთვარის“ საზ-ბის სახელწოდების შეცვლა

სახკომსაბჭომ სასურველად სცნო „წითელი ჯვარისა“ და „წითელი ნახევარ მთვარის“ საზოგადოებათა სახელწოდების „წითელ ვარსკვლავზედ“ შეცვლა, იმ პირობით, რომ ამ საზოგადოებას დარჩეს ყველა ის უფლება, რაც ამჟამათ მას ეძლევა 1864 წ. კონვენციით ეკუთვნის, და აგრეთვე საერთაშორისო ფუნქციები, რასაც ამჟამად ახორციელებს.

კორპის ხის მოშენება

ამიერ - კავკასიის სახკომსაბჭომ კორპის მუხის მოსაშენებელ ხელუხლებელ რაიონებათ დაამტკიცა შემდეგი რაიონები: ბანოჯის სატყეო აგარაკი (ქუთაისის მახლობლად), აგუძერი, სინოპი, „ოტრადნოე“-ს საბჭოთა მეურნეობა და ჩაქვა.

საქართველოს სახკომსაბჭოს მიენდო დაავალოს საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, რათა საქართველოში მოვლა-პატრონობა გაუწიოს კორპის მუხის მოსაშენებელ რაიონებს. მიწსახკომს ამასთანავე უნდა დაევალოს აზერბეიჯანის მიწადმოქმედების კომისარიატთან შეთანხმებით, გამოყოს სპეციალური მიწის ნაკვეთები სახელმწიფო ფონდიდან იმ რაიონებში, სადაც შესაძლებელია კორპის მუხის მოშენება. კორპის ხეების მოსაშენებლად სულ საქართველოში უნდა იქნეს გამოყოფილი 5.250 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. აქედან მარტო აფხაზეთში გამოყოფილი იქნება 3.000 ჰექტარი. აზერბეიჯანში კი კორპის მუხის მოსაშენებლად გამოყოფილი იქნება 15.000 ჰექტარი მიწა.

კორპის მუხის კულტურის გავრცელების დარგში სათანადო ცდების მოსახდენად მოწვეული იქნებიან გამოჩენილი სპეციალისტები და თბილისის, ბათომის და სოხუმის ბოტანიკური ბაღების მუშაკები. აღნიშნულ ცდებში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე გამოყენებითი ბოტანიკის ინსტიტუტის ა.-კ. განყოფილება.

კორპის მუხის მოშენებისათვის საჭირო მუშაობა დაწყებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის შემოდგომიდან.

ს. გორგაძის დაკრძალვა

გუშინ საღამოს დიდუბის პანთეონში დაკრძალეს განსვენებული ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე სერგი გორგაძის ნეშტი. ნაშუადღევს 5 საათზე განათლების მუშაკთა სახლში, სადაც დასვენებული იყო მიცვალებულის კუბო, თავი მოიყარეს პროფესორებმა, მწერლების, განათლების მუშაკების, სტუდენტების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

პროცესიის გამოსვლამდე გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს საბჭოთა მწერლების ფედერაციის, სამეცნიერო მუშაკების, განათლების კომისარიატის და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა.

სიტყვების დასრულების შემდეგ კუბო გამოასვენეს პროფ. ი. ჯავახიშვილმა, პროფ. კ. კეკელიძემ, პროფ. ა. შანიძემ და სხვ.

დიდუბეში საფლავთან სიტყვები წარმოსთქვეს სტუდენტთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და განსვენებულის მოწაფეებმა.

დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო.

რა ხდება ადგილებზე

ებრაელთა გადამწვარი უბნის აღდგენა ქ. ქუთაისში

ქუთაისი, 12 ივნისი. შარშანდელმა დიდმა ხანძარმა ქუთაისში, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, გაანადგურა ებრაელთა უბნის რამდენიმე ასი სახლი. გადამწვარი უბნის აღსადგენად ცენტრალურმა კომუნალურმა ბანკმა გადასდო და სხვადასხვა ორგანიზაციებმა შეკრიბა 600.000 მანეთი.

უბნის აღსადგენად მუშაობა დაიწყო 1928 წლის ოქტომბერში. თებერვლისთვის უკვე მზად იყო საჭირო საშენებელი მასალა—ხე-ტყე, ქვა და სხვა. მშენებლობის საჭიროებისათვის გაყვანილ იქნა წყალსადენი, აიგო ხის დამმუშავებელი და სადურგლო სახელოსნოები, მოეწყო საბაზისო საწყობები. 8 დიდი ორსართულიანი სახლის აგება დამთავრდება შემოდგომაზე. ორი კვირის შემდეგ დაიწყება კიდევ 4 სახლის აგება. სულ აგებული იქნება 15 ორსართულიანი სახლი. თითო სახლში იქნება რვა-რვა ბინა. ბინების 70 პროცენტი დაეთმობათ ხანძრისაგან დაზარალებულთ, დანარჩენ 30 პროცენტში ჩაასახლებენ ჯარის უფროსთა შემადგენლობას და მუშებს.

დამთავრდა სამი დიდი დამწვარი სახლის შეკეთება. სახლებში უკვე სცხოვრობენ ხანძრისაგან დაზარალებულნი. (ადს)

დახმარება მეაბრეშუმეებს

ახალსენაკი, 12 ივნისი. ძლიერი ქარისაგან დაზარალებულ მეაბრეშუმეებს საკრედიტო ამხანაგობები თუთის ხის ფოთლის შესაძენად ურიგებენ 100.000 მანეთს.

მუშების ექსკურსია

ახალსენაკი, 12 ივნისი. სამაზრო პროფბიურო აწყობს მუშათა ექსკურსიას ამიერ-კავკასიის ქალაქებსა და კურორტებში მუშების დასასვენებლად და უკანასკნელი წლების დიდ ნაგებობათა გასაცნობად. განზრახულია ექსკურსიის მოწყობა აგრეთვე მოსკოვსა და ლენინგრადში (ადს).

ახალი პედაგოგები

ცხინვალი, 12 ივნისი. მიმდინარე წელს სამხრეთ-ოსეთის პედაგოგიური ტეხნიკუმი დაამთავრა 12 კაცმა. ისინი პრაქტიკულ მუშაობას გასწევენ სამხრეთ-ოსეთის სკოლებში, პირველყოფილის, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში (ადს)

ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირება

სოხუმი, 12 ივნისი. აფხაზეთის სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ყველა დაწესებულებას—მიიღონ ზომები ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების მაქსიმალური შემცირებისათვის. მან, სხვათა შორის, აკრძალა კომპენსაციების გაცემა გამოუყენებელ შვებულებისათვის (ადს).

თამბაქო გერმანიისათვის

სოხუმი, 12 ივნისი. აქ მოვიდა ტვირთმზიდავი გემი „პრავდა“, რომელზედაც დატვირთული იქნება 200.000 მანეთის (87 ტონა) თამბაქოს ფოთოლი.

თამბაქო გაიგზავნება ჰამბურგში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის სახელზე. (ადს).

მუშათა საბინაო მშენებლობა

სოხუმი, 12 ივნისი. საქართველოს კომუნალური ბანკის აფხაზეთის განყოფილებამ ადგილობრივ გამოიკვლია ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა. გამოკვლეულ იქნა მუშების და მოსამსახურეების სახლები.

ოჩემჩირში კაპიტალური შეკეთება ან დამთავრება სჭირდება 40 სახლს, გაგრაში—25 სახლს, გუდაუთში—30 სახლს.

სახლების დამთავრებისა და კაპიტალური რემონტისათვის კომუნალური ბანკი სესხად იძლევა 300-დან 1.000 მანეთამდე (ადს).

ბანდიტების ბუდე

სოხუმი, 12 ივნისი. აფხაზეთის სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ენერგიული მუშაობის წყალობით, აღმოჩენილ იქნა წებელდის ბანდიტთა ბუდე. საქმის გარემოება ასეთია:

წებელდის რაიონში ყველა სახელმძღვანელო თანამდებობა თოფჩიანებს ეჭირათ. სოფლის საბჭოს თავმჯდომარეთ, მილიციონერებად და სხვა თანამდებობის პირებად თოფჩიანები იყვნენ.

თოფჩიანების გვარი დიდი ხანია ცნობილია, როგორც დიდი კულაკური გვარი, რომელმაც თავის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერებას მიაღწია მკვლელობებისა და გლეხთა ექსპლოატაციის გზით.

იმისათვის, რომ გადაერჩინათ მიწა ნაციონალიზაციისაგან, თოფჩიანებმა იქ დაასახლეს თურქეთიდან გამოწერილი ხალხი. მათ შორის ბევრი იყო ბანდიტი, სპეციალურად გამოწერილი ტერორისტული აქტების მოსახდენად. თოფჩიანები შეთანხმებულ წინააღმდეგობას უწევდნენ სამაზრო ორგანიზაციების ცდას—გაეგზავნათ წებელდაში საბჭოების ერთგული მუშაკები. ზოგჯერ ამ მუშაკებს ჰკლავდნენ. 1924 წელს მოჰკლეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნული, წებელდის კომკავშირის უჯრედის მდივანი აკოფიანი. იმავე წელს მოჰკლეს სარაიონო მილიციის უფროსი თომა მიხაია, ის მოჰკლა თვით სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ არზუმან თოფჩიანმა. 1928 წლის აგვისტოში თოფჩიანებმა მძიმედ დასჭრეს წებელდის პარტუჯრედის მდივანი ამხ. ფაფაზიანი. ამ ამბის რამდენიმე დღის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თანამშრომელი კონდაქჩიანი. გაფლანგვა და ქრთამის აღება დაკანონებულ მოვლენად გადაიქცა. წესად იქნა აგრეთვე შემოღებული გლეხების მოტყუება თამბაქოს შესყიდვის დროს. არზუმან თოფჩიანი თამბაქოს ყიდულობდა სპეკულიანტების საშუალებით.

მეორე დიდ ფიგურას წარმოადგენს აფხაზეთის მეთამბაქოეთა კავშირის თამბაქოს განყოფილების გამგე მარკოზ თოფჩიანი. წარსულში ის იყო ცნობილი პლანტატორი—90.000 მან. ძირითადი კაპიტალით. გამოირკვა, რომ სამოქალაქო ომის დროს მარკოზ თოფჩიანი, რომელიც კომპარტიის წევრად ირიცხებოდა, აზიზლებდა მენშევიკებთან კომუნისტებს. მარკოზ თოფჩიანმა მოაწყო აგრეთვე თავდასხმა ფაფაზიანზე და კონდაქჩიანის მკვლელობა. (ადს).

26 კომუნარის სახ. რაიონის საშეფო ორგანიზაციების მე-5 კონფერენცია

პირველი სხდომა

12 ივნისს, 26 კომუნარის სახ. რაიკომის შენობაში გაიხსნა ამავე რაიონის საშეფო ორგანიზაციების მეხუთე კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები. მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ, რაი-საბჭოს ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება, რაიონული საბჭოს არჩევნები და დელეგატების არჩევა საშეფო ორგანიზაციების საქალაქო კონფერენციაზე.

კონფერენციის მიერ საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეული იქნენ: ამხ. **სტალინი, კალინინი, რიკოვი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, ცხაკაია, ორახელაშვილი, მახარაძე, კახიანი, რუბენი** და **ასრიბეკოვი.** საქმიანი პრეზიდიუმისა და სამდივნოს არჩევის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. მელიქოვის საანგარიშო მოხსენება საშეფო ორგანიზაციების რაი-საბჭოს მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში (1928 წლის მაისიდან) 26 კომუნარის სახ. რაიონის საშეფო ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა მიუხედავად იმისა, რომ რაი-საბჭო სუსტად ხელმძღვანელობდა უჯრედებს. ამჟამად რაიონის საშეფო ორგანიზაცია აერთიანებს 34 საშეფო უჯრედს, წარსულ წელს კი იყო 29 უჯრედი. ორგანიზაციაში ირიცხება 4992 წევრი; წევრთა შემადგენლობა წარსულთან შედარებით გაიზარდა 40 პროცენტით. გაიზარდა აგრეთვე მუშების შემადგენლობა ორგანიზაციაში. სოფლად საშეფო ორგანიზაციების ინიციატივით დაარსდა ორი კოლექტიური მეურნეობა. ერთი ქალთა არტელი; გარდა ამისა, შეფების აქტიური მონაწილეობით გაკეთდა ერთი წისქვილი. ხუთი ხიდი, გაიხსნა ორი კოოპერატივი, შეკეთდა სკოლისა და კლუბების შენობები, მოსახლეობასთან შეთანხმებით მეჩეთი გადაკეთდა სკოლად და სხვ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საშეფო საზოგადოების უჯრედებმა თავიანთი ნაყოფიერი მუშაობით თავიანთ რიგებში ჩააბეს მშრომელთა საუკეთესო ნაწილი და მოიპოვეს საკმაო ავტორიტეტი გლეხობაში.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

მეორე სხდომა

კონფერენციის მეორე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი რაი-საბჭოს საანგარიშო მოხსენების გარშემო. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ საშეფო საზ-ბის რაი-საბჭოსა და უჯრედებს შორის არ არსებობდა მჭიდრო კავშირი, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა საზოგადოების მუშაობაზე, რაი-საბჭო უმთავრესად კამპანიების ჩატარებით იყო დატვირთული და არ აწარმოებდა უჯრედების მუშაობის გამოკვლევას, არ ისმენდა უჯრედების საანგარიშო მოხსენებებს საბჭოს სხდომებზე და სხვ. ამხანაგები საჭიროდ სცნობდნენ, რომ მომავალში აღნიშნული ნაკლოვანებები გამოსწორებული იქნეს და მეტი ყურადღება მიექცეს საშეფო აქტივის აღზრდის საქმეს.

მომხსენებელის საბოლოო სიტყვის შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. შახსუვაროვის მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ. მომხსენებელი ეხება რა პარტიისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებებს სოფლად მუშაობის შესახებ აღნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საშეფო ორგანიზაციების წინაშე მეტად რთული და სერიოზული ამოცანებია დასმული. საშეფო ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი პარტიას და ხელისუფლებას სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში. მათი ინიციატივით უნდა დაარსდეს სამანქანო და სამელიორაციო ამხანაგობები, არტელები, შეიქმნას ძლიერი კოლმეურნეობანი, კომუნები და ამ გაერთიანებებში უნდა გაშალოს ფართედ კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობა. მოხსენების გამო კონფერენციამ მიიღო შესაფერი რეზოლუცია.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნა რაი-საბჭოს ახალი შემადგენლობა (51 წევრი და 10 კანდიდატი) და დელეგატები საშეფო ორგანიზაციების საქალაქო კონფერენციაზე დასასწრებლად, რის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

მეცნიერება და ტეხნიკა

ხელოვნური წვიმა

რევოლუციამდე რუსეთის სოფლის მეურნეობა თავისი მოსავლიანობით ძლიერ ჩამორჩებოდა ევროპის და ამერიკის დაწინაურებულ ქვეყნების სოფლის მეურნეობას.

1913 წელს რუსეთში ერთი დესეტინა იძლეოდა ხუთმეექვსედ ტონა პურს, გერმანიაში სამჯერ მეტს 2 ნახ. ტონას, სოფლის მეურნეობის ისეთ დაწინაურებულ ქვეყნებში კი—როგორიცაა ჰოლანდია და დანია—მიწის იმავე ნაკვეთზე იღებდნენ 3 ტონაზე მეტს. ცხადია, რომ ასეთ დაბალ საფეხურზე მდგომი სოფლის მეურნეობა საჭიროებდა ენერგიულ და რადიკალურ ღონისძიებების მიღებას მისი ნაყოფიერების გაუმჯობესების და გაზრდის მიზნით. საბჭოთა ხელისუფლება მრავალ ღონისძიებებს ღებულობს ამ მიმართულებით. ასეთ ღონისძიებებს ეკუთვნიან: მიწის დამუშავების ტეხნიკის გაუმჯობესება, მინერალურ სასუქების გამოყენება, კოლექტიურ მეურნეობათა და სამანქანო ამხანაგობათა მოწყობა, თესლის გაუმჯობესება და სხვა. საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობის შორის არსებობს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი განსხვავება. მაშინ, როდესაც პირველი სრულებით ან თითქმის სრულებით არაა დამოკიდებული ბუნების მოვლენებისაგან—(ჰავას, ამინდის მდგომარეობა), სოფლის მეურნეობის ნაყოფიერებაზე უკანასკნელნი დიდ გავლენას ახდენენ.

როგორც ვიცით მცენარის ზრდისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ატმოსფერულ ნალექების განსაზღვრული რაოდენობა იმ დროს, როდესაც ეს ესაჭიროება მცენარეს.

რაგინდ კარგად იქნეს დამუშავებული ნიადაგი, რაგინდ ბევრი და კარგი მანქანები არ იქნეს გამოყენებული, თუ ამინდმა ხელი არ შეუწყო, მთელი წლის შრომა ფუჭად ჩაივლის. მცენარის ერთ უდიდეს მტერს წარმოადგენს გვალვა, წვიმის სიმცირე. მრავალია ისეთი ადგილები, სადაც სოფლის მეურნეობა მხოლოდ ხელოვნურ მორწყვის პირობებშია შესაძლებელი. უკანასკნელ ხანებში გარდა სარწყავ არხების გაყვანისა, ხმარებაშია ე. წ. ხელოვნური მოწვიმება, რასაც ახორციელებენ შესაფერ დადგმულობით—წყალსადენ მილების და წვრილ ტუმბოების საშუალებით. მართლა, ასეთ დადგმულობებით არ შეიძლება „წვიმის“ დიდი მასშტაბით მოყვანა, მაგრამ პატარა მეურნეობაში იგი კარგ შედეგს იძლევა. გერმანიაში წარმოებულ ამგვარ ხელოვნურ მორწყვის შემდეგ ზოგიერთ მცენარეთა მოსავალმა იმატა 60—70 პროც., ზოგის 40—50 პროც.

მართალია, მელიორატიული ტეხნიკა ჩვენ დროს დიდათაა განვითარებული, სარგებლობაც მისგან დიდია, მაგრამ იდეალურ მორწყვას, ე. ი. ისეთს, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ამინდისგან, ადამიანი მიაღწევს მაშინ, როდესაც შესძლებს ატმოსფეროდან წვიმის მიღებას თავის ნება-სურვილის მიხედვით. არა ერთი და ორი ცდა სწარმოებდა და სწარმოებს ამ მიმართულებით, მაგრამ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ მათგანზე, რომელიც, როგორც საკითხის დადებითად გადაჭრის, ისე პრაქტიკულ ვარგისობით საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს.

ასეთი ცდა ამ რამდენიმე წლის წინად კალიფორნიაში მოახდინა ამერიკელმა გამომგონმა ვილიამ ხეიტმა და მისმა თანაშემწემ დევისმა. მათი ცდები მდგომარეობდა იმაში, რომ ატმოსფეროს ხელოვნური ელექტრიზაციით შესძლეს ჰაერში მყოფ სინესტის შესქელება და შემდეგ მათი დალექვა მიწაზე, ე. ი. გამოიწვიეს ხელოვნური წვიმა. ეს მოვლენა ამ 40 წლის წინად აღმოჩენილი იქნა ცნობილ ინგლისელ ფიზიკოსის ოლივერ ლოჯის მიერ და განხორციელებული ლაბორატორიაში. ხეიტის მიერ კი ხელოვნურ წვიმის დიდი მასშტაბით განხორციელება ცხადია იწვევდა მეტ პრაქტიკულ გამოყენების პერსპექტივებს. ცდებმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვიეს და სავსებით ბუნებრივად ხეიტის დადგმულობით დაინტერესდა საბჭოთა კავშირიც, სადაც გვალვიანი ადგილები ძლიერ ბევრია. ლენინგრადის მელიორატიულმა ინსტიტუტმა დაიწყო სათანადო ცდების წარმოება. რუსეთის მიწადმოქმედების კომისარიატი კი ინჟ. კარნსკის საშუალებით მოლაპარაკებას აწარმოებს ვილიამ ხეიტის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის და სათანადო ცდების ხელმძღვანელობის შესახებ.

ინტერეს მოკლებული არ იქნება მოკლეთ გავეცნოთ ხეიტის მოწყობილობას და იმ მოსაზრებებს, რაზედაც ემყარებოდა ხეიტი თავის დადგმულობის განხორციელების დროს.

მრავალმა დაკვირვებამ მეცნიერება იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ არსებობს კავშირი დედამიწის ატმოსფეროს ელექტრო-მოვლენებსა და ბუნებაში არსებულ მრავალ პროცესებს შორის. ასეთ პროცესს ეკუთვნიან ჰავის ცვალებადობა, ატმოსფერული ნალექები, ქარბუქები... ამ მოვლენათა ურთიერთ ზემოქმედებათა შესწავლამ წარმოშვა ახალი დარგი მეტეოროლოგიისა—ელექტრომეტეოროლოგია.

ელექტრობა დედამიწაზე და ატმოსფერაში განაწილებულია ისე, რომ, როდესაც ერთი მათგანი დატვირთულია ელექტრობის ერთი ნიშნით, მაგ., უარყოფით მუხტით, მეორე დადებითი მუხტით. ჩვეულებრივ დედამიწა უარყოფითადაა დატენილი, ატმოსფერო-დადებითად, მაგრამ ხდება პირიქითაც, ე. ი. იცვლება დატენილობათა ნიშანი.

სიმაღლესთან ერთად მატულობს ატმოსფერულ ელექტრობის პინვა, მაგ., 1500 მეტრის სიმაღლეზე აღწევს 120.000 ვოლტს, 4000 მეტრზე—165.000 ვოლტს, 8000 მეტრზე—190.000 ვოლტს და ასე.

დედამიწასთან ახლო მყოფი ატმოსფეროს შრეები წარმოადგენენ დიალექტრიულ არეს, რომელიც მეტ-ნაკლებია ჰავის მდგომარეობის მიხედვით. მშრალი ჰავის დროს ეს განმხოლოებული არე რამდენიმე ათას მეტრს აღწევს და თავის ზრდით აძნელებს ჰაერში მყოფ სინესტის შესქელებას, ღრუბლების და წვიმის წარმოშობას.

მაშასადამე, ატმოსფერულ სინესტის მეტნაკლები შესქელება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იცვლება მანძილი დაელექტროებულ ატმოსფეროს შრეებსა და დედამიწას შუა. და თუ შესაძლებელი გახდება ამ, ასე ვსთქვათ ბუნებრივ კონდესატორის „ფირფიტების“—დედამიწის და ატმოსფეროს შუა მყოფ დიალექტრიულ არეს გავლენის შენელება, შემცირება და ამგვარად „ფირფიტების“ დაახლოება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ჰაერში მყოფ წყალის წვეთების პოლიარიზაციას და შესქელებას, მივიღებთ ხელოვნურად გამოწვეულ წვიმას.

ხეიტის მოწყობილობაც დიალექტრიულ არეს ხელოვნურ გარღვევას ახდენს, რასაც თან სდევს ღრუბლების გაჩენა და წვიმა. ხეიტის დანადგარის მუშაობა სწარმოებს შემდეგნაირად. (იხ. სქემა). ბენზინის ძრავით (1) მოძრაობაში მოდის 2 კილოვატის სიმძლავრის დინამო (2, 3), საიდანაც მიიღება 110 ვოლტის მუდმივი და 220 ვოლტის და 500 პერიოდის ცვლადი დენები. მუდმივ დენით სარგებლობენ დადგმულობის გასანათებლად და დამხმარე ძრავების, მაგ., ვენტილიატორის (10) ასამუშავებლად. ცვლადი დენი კი ტრანსფორმატებზე (4,8) და ზეთის კონდესატორებზე (6) გავლით ღებულობს 1.000.000 ვოლტს. ამმაღალ პინვის ცვლად დენის დაცლა ჰაერში ხდება განმხოლოებულ მაღალ ანძზე მოთავსებულ მრავალ წახნაგიან ელექტროდის საშუალებით. ელექტროდიდან გამომავალი დაცლა წარმოშობს ელექტრო მაგნიტურ ტალღებს. ეს ტალღები კი იწვევენ დადგმულობის ირგვლივ მყოფ ჰაერის იონიზაციას. თუ დედამიწა ამხანად დატენილია უარყოფითი ელექტრო-მუხტით, მაშინ ის სავსებით შთანთქავს დადგმულობიდან გამოყოფილ დადებით იონებს, უარყოფითი იონები კი ჰაერში მყოფ წყალის ნაწილაკების პოლიარიზაციას ახდენენ, რასაც თან სდევს ამ ნაწილაკების შესქელება, კონდესაცია, ღრუბლების გაჩენა და წვიმა.



ხელოვნური წვიმის გამომწვევი მანქანის მოქმედების სქემა

ხეიტის დადგმულობის ორი საათის მუშაობის შემდეგ ჯერ გაჩნდა ნისლი, რომელიც თანდათან სქელდებოდა, იქცა ღრუბლად და ბოლოს კი დაილექა წვიმის სახით. წვიმამ 2 საათი გასტანა.

ხეიტი თავის ცდებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რამდენადაც მეტი იქნება დინამოს სიმძლავრე, დენის პინვის სიდიდე, ტალღის სიგრძე და დადგმულობის სიმაღლე დედამიწიდან მით მეტი და უკეთესი იქნება მიღებული ეფექტი.

კ. ბ—ძე.

საბჭოთა მოლაპარაკე კინო

ხანგრძლივი ცდების შემდეგ ლენინგრადის სუსტი დენის ტრესტის საცდელმა ლაბორატორიამ გამოიმუშავა მოლაპარაკე კინო-სურათის საჩვენებელი აპარატი.

საბჭოთა აპარატები ბევრად სჯობნის უცხოეთის მსგავს აპარატებს. საბჭოთა მოლაპარაკე კინოში შეერთებულია სინათლის, ტელეფონის და რადიოს მოქმედება.

„სოვკინო“-ს ლენინგრადის ფაბრიკაში უკვე გადაღებულია პირველი პატარა ფილმები მოლაპარაკე კინოსათვის. ეს სურათები გადაღებულ იქნა ორი აპარატით: ერთი აპარატით აღბეჭდავდნენ არტისტის მოძრაობას (მოქმედებას), მეორეთი კი—ხმას. შემდეგ ორივე სურათი გააერთიანეს.

მაყურებლებს ეს სურათები ძლიერ მოეწონა. მოქმედება და ხმა სავსებით შეთანხმებული აღმოჩნდა.

ვინაიდან მოლაპარაკე კინო-აპარატის დამზადების ცდებმა ამგვარი დადებითი შედეგები გამოიღო, გადაწყვეტილია აპარატების დამზადების დაწყება სამრეწველო მასშტაბით. „სოვკინომ“ ხელშეკრულება დასდო სუსტი დენების ტრესტთან მოლაპარაკე კინო-აპარატების პირველი პარტიის დამზადების შესახებ.

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ელექტრო-მრეწველობის მთავარ სამმართველოს წინადადებით ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა აკრძალა მოლაპარაკე კინო-აპარატების შემოტანა უცხოეთიდან.

ელექტრო-ტრესტის ლაბორატორიებში სწარმოებს მუშაობა მოლაპარაკე კინო-სურათების გადასაცემად შორ მანძილზე რადიოს საშუალებით. უახლოეს ხანში მოსკოვის ერთ-ერთ კინო-თეატრში ნაჩვენები იქნება პირველი საბჭოთა მოლაპარაკე კინო-სურათი.

კაცობრიობის წლოვანება

ბაღდადის მიდამოებში ჩატარებული უკანასკნელი გათხრების შედეგების მიხედვით, ამერიკელი არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ პირველი ადამიანი მესოპოტამიაში ცხოვრობდა 1.000.000 წლის წინათ. პირველყოფილი ადამიანი ცხოვრობდა ზომიერი ჰავის პირობებში და, როგორც ჩანს, ჩქარა მიაღწია კულტურის მაღალ საფეხურს. მაგრამ კაცობრიობის განვითარება დააბრკოლა ოთხმა თანამიმდევარმა ყინულოვანმა პერიოდმა, რომლებმაც ძლიერ შეამცირა მოსახლეობის რიცხვი, ადამიანები შერეკა გამოქვაბულებში და გახადა იგი მომთაბარეთ.

ცნობილ შვედ გეოლოგის **ანტევსის** აზრით, თანამედროვე კაცობრიობა იმყოფება მესამე ყინულოვანი პერიოდის დასასრულის ხანაში. ამ პერიოდმა მაქსიმუმს მიაღწია 15.000 წლის წინეთ. 12.000 წლის წინეთ ყინულებმა შუა ევროპიდან პირველად დაიხია ჩრდილოეთისაკენ. ეს მომენტი უნდა ჩაითვალოს კაცობრიობის ახალი ისტორიის დასაწყისად. კაცობრიობა სწრაფად წავიდა წინ და მიაღწია ახლანდელ მდგომარეობას. იმავე მეცნიერის აზრით, უახლოესი 10—12.000 წლის განმავლობაში უნდა მოველოდეთ მეოთხე ყინულოვანი პერიოდის დასრულებას. მაშინ გადნება, ყინულები ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლიუსებთან და დედამიწაზე დამყარდება ხანგრძლივი თბილი პერიოდი.

მზის თბიერების გამოყენება

კანადელმა ინჟინერმა **ხარვიმ** დაამზადა დადგმულობა მზის თბიერების გამოსაყენებლად. დადგმულობის მთავარ ნაწილს წარმოადგენს უზარმაზარი სარკე, რომელიც 600 ცალკე ნაჭერისაგან შესდგება. სარკე ბრუნავს ღერძზე მზის მოძრაობასთან შეფარდებით. სარკის ნაჭრები გარდატეხენ სხივებს და თავს უყრიან მათ შედარებით პატარა სივრცეზე. ტემპერატურა სარკის ფოკუსში (ე. ი. იმ ადგილას, სადაც თავს იყრის შეკრებილი მზის სხივების თბიერება) უდრის 6.000 გრადუსს. ამ ტემპერატურის ზეგავლენით ორთქლად იქცევა ყველა ცნობილი ლითონები და მათი შენაერთები. ინჟ. ხარვი მზის თბიერებას იყენებს სხვადასხვა მეცნიერული ცდებისათვის. ამ მიზნით სარკეს ზევით გამოკიდებულია მოძრავი კამერა საჭირო ხელსაწყოებითა და აპარატებით. კამერის მიახლოებით ან დაშორებით სარკის ფოკუსიდან, ხარვი ამყარებდა მასში სასურველ ტემპერატურას. ამ კამერის საშუალებით ჩატარებულია ასეთი ცდები, დაწყებული ხილის ხმობიდან და გათავებული პლატინის გადნობით.


მზის სხივების ენერგიად გადამქცევი მანქანა ქაირის ახლო (ეგვიპტე)

მზის სითბოს გამოყენების ცდები უკვე დიდი ხანია სწარმოებს. ამ პრობლემის გადაჭრა მეტად მიზანშეწონილია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მზე თითეულ აკრ მიწაზე აძლევს 500 ცხენის ძალის ენერგიას. რომ კაცობრიობას ეპოვა ამ ენერგიის პრაქტიკულად გამოყენების საშუალება, აღარ იქნებოდა საჭირო არც შეშა, არც ნავთი და არც ნახშირი. მაგრამ დღემდე მოახერხეს ამ ენერგიის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილის გამოყენება. რამდენიმე წლის წინად ინგლისის მთავრობის ხარჯზე ეგვიპტეში მოაწყვეს დადგმულობა მზის სითბოს გამოსაყენებლად სამრეწველო მიზნებით. დადგმულობა შესდგებოდა სარკეებიდან, რომელთაც ნახევარი აკრი ეჭირა (აკრი უდრის 889 კვ. საჟენი). სარკეების ფოკუსში მოთავსებული იყო ქვაბი წყლით, რომელსაც ათბობდა სარკეებით შეკრებილი მზის სხივები. თეორეტიული გამოანგარიშებით დადგმულობას უნდა მოეცა 250 ცხენის ძალის ენერგია, მაგრამ 50 ცხ. ძალის ენერგიას ძლივს იძლეოდა და ამნაირად მიღებული ენერგია გაცილებით ძვირი ჯდებოდა, ვიდრე ჩვეულებრივი ელექტრო-სადგურების ენერგია.

მიწისძვრების შესწავლა

უკანასკნელი წლის განმავლობაში შავ ზღვისა და მის მეზობლად მდებარე რაიონებში მომხდარ მიწისძვრების უმრავლესობას განმანადგურებელი ხასიათი ჰქონდა. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია დედამიწის ამ რაიონის შესწავლის საკითხს ფართე მასშტაბით აყენებს. აკადემიის მიერ ყირიმში და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროებზე უკვე მოწყობილი სეისმური ქსელი შევსებული უნდა იქნეს მთელი რიგ სეისმურ სადგურებით მცირე აზიაში და ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. მთელი ეს რაიონი თავისი წყობით ერთ მთლიანს წარმოადგენს და ამიტომ მიწისძვრას მის ერთ ნაწილში თან უნდა სდევდეს წონასწორობის დარღვევა სხვა ნაწილებშიც.

მთელი ეს ვრცელი სეისმური ქსელი, რომელშიც შევა საბჭოთა კავშირში მოწყობილი სეისმური სადგურებიც და მომავალში საბერძნეთის არხიპელაგამდე მისაწყობი სადგურები, მოწყობილი უნდა იქნეს სავსებით ერთნაირი, უკანასკნელი კონსტრუქციის ხელსაწყოებით.

თუ თურქეთის მთავრობამ გაიღო საჭირო თანხები თურქეთის სეისმური დაწესებულებებისათვის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია იკისრებს მთელი საჭირო აპარატის დამზადებას და აგრეთვე სამეცნიერო დახმარების აღმოჩენას თურქეთის სამეცნიერო დაწესებულებებისათვის. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია დახმარებას აღუთქვამს იმ თურქ მეცნიერებს, რომლებიც მოისურვებენ ცოდნის გაღრმავებას სეისმოლოგიის დარგში.

ახალი საავიაციო რეკორდი

სულ რამდენიმე ხნის წინად დამყარებული იქნა ფრენის ხანგრძლივობის ორი ახალი რეკორდი. ერთი რეკორდი დაამყარეს ამერიკელმა მფრინავებმა **რობბინსმა** და **კელლიმ.** მათ ჰაერში დაჰყვეს 172 საათი 32 წუთი და ორი წამი, წინანდელი რეკორდი, რომელიც აგრეთვე ამერიკელებს ეკუთვნოდა (დამყარებული იქნა აეროპლანით „კითხვითი ნიშანი“), უდრიდა 150 საათს. რასაკვირველია, ასეთი ხანგრძლივი ფრენა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ იმის წყალობით, რომ მფრინავებს ჰაერში აწვდიდნენ საჭირო საწვავ მასალას. რობინსსა და კელლის ერთი კვირის განმავლობაში ჰაერში ყოფნის დროს 17-ჯერ მიაწოდეს საწვავი მასალა. მფრინავების მიერ ერთი კვირის განმავლობაში გავლილი მანძილი უდრის 20.000 კილომეტრს, ე. ი. დაახლოებით—დედამიწის მერიდიანის ნახევარს. მფრინავებმა განაცხადეს, რომ კიდევ უფრო დიდხანს დაჰყოფდნენ ჰაერში პროპელერი რომ არ გაფუჭებულიყო. მათი დაშვების დროს აეროდრომზე თავი მოიყარა 75000 კაცმა. აღტაცება და მღელვარება იმდენად დიდი იყო, რომ საჭირო შეიქნა ცხენოსანი პოლიციის რაზმის გამოწვევა აეროპლანებისა და მფრინავების დასაცავად თავმოყრილი ხალხის აღტაცების გამოხატვისაგან.

მეორე რეკორდი დაამყარა ამერიკელმა მფრინავმა **ჯენსენმა.** მან საწვავი მასალის მარაგის შეუვსებლად ჰაერში დაჰყო 35 ნახ. საათი. წინანდელი რეკორდი ამ მხრივ ეკუთვნოდა ლინდბერგს, რომელმაც ჰაერში დაჰყო 34 საათი.

აეროპლანი 80 მგზავრისათვის

დასავლეთ ევროპის მეცნიერებამ და ტეხნიკამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ შედეგებს მიაღწია ფრენოსნობის დარგში. ყველაზე უფრო განსაცვიფრებელსა და საინტერესოს ამ მხრივ წარმოადგენს ცნობილ კონსტრუქტორის **კლოდ დორნიეს** ცდები. დორნიე არის მეთაური საავიაციო კომპანიის, რომელიც მის სახელს ატარებს და ფლობს საავიაციო ქარხნებს გერმანიაში, შვეიცარიაში და იტალიაში.

ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბარში დორნიემ განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, სამი წელიწადიც არ გავა, რომ აგებული იქნება აეროპლანები, რომლებიც 250 მგზავრს გადაიყვანენ.

ამჟამად დორნიეს ქარხნებში შენდება აეროპლანი, რომელიც დანიშნულია 80 მგზავრის გადასაყვანად. აეროპლანს ეწოდება „დოკს“. ქვეყნიერებას ჯერ არ უხილავს ამგვარი აეროპლანი. „წარმოიდგინეთ,—ამბობს დორნიე,—სახლი, სიგრძით 150 ფუტი, დანიშნული 80 მგზავრისათვის, რომელსაც აქვს ცალკე რესტორანი, სამკითხველო, სასეირნო მოედანი, მთელი სახლი, რომელიც მიფრინავს 300 კილომეტრის სისწრაფით საათში, ასეთია ახალი აეროპლანი“.

დორნიე იმდენად დარწმუნებულია თავისი აეროპლანის ღირსებებში, რომ სამ ამგვარ აეროპლანს ერთბაშად აგებს. აეროპლანები იფრენენ ევროპა-სამხრეთ-ამერიკას შუა.

„დოკს“-ის ფრთების სიგრძე უდრის 150 ფუტს, მასზე დადგმული იქნება 12 ცხრაცილინდრიანი მოტორი, რომელთა საერთო ძალოვნობა 6.000 ცხ. ძალას უდრის. აეროპლანი 4.000 კილომეტრის გავლას შესძლებს შეუჩერებლად.

პირველ ხანებში ამ აეროპლანებით იწარმოებს ფოსტის გადაზიდვა, მაგრამ დორნიე დარწმუნებულია, რომ სულ ახლო ხანში „დოკს“-ი გამოყენებული იქნება სამგზავრო მიმოსვლისათვის.

მსოფლიო ავიაცია 1928 წელს

1928 წლამდე პირველობა სამოქალაქო ავიაციის დარგში ეკუთვნოდა გერმანიას, რომლის განკარგულებაში იყო მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდი საავიაციო ქსელი. 1928 წელს პირველობა გადავიდა შეერთებული შტატების ხელში. შეერთ. შტატების სამოქალაქო ავიაციის უწყების ცნობებით, ამერიკის ჰაეროპლანებმა 1928 წელს გაიარეს 10.500.000 მილი, ეს მანძილი დედამიწის მერიდიანს 400-ჯერ აღემატება. მეორე ადგილი შეერთებული შტატების შემდეგ ეკუთვნის გერმანიას, რომლის ჰაეროპლანებმა გაიარეს 6.000.000 მილი, მესამე ადგილი უჭირავს საფრანგეთს (4.600.000 მილი), შემდეგი — იტალიასა და ინგლისს (2.000—2.000 მილი) 1928 წელს გერმანიამ შეინარჩუნა პირველობა გადაყვანილ მგზავრთა სიმრავლის მხრივ. ამ წელს გერმანიის საჰაერო გზებით გადაყვანილია 111.000 მგზავრი, შეერთებულ შტატებში კი — 52.000.

ელექტრობა სასოფლო მეურნეობაში

ერთმა ამერიკულმა ელექტრო-ტეხნიკურმა ფირმამ ონტარიოში (კანადა) მოაწყო საჩვენებელი ფერმა, რომლის საშუალებითაც სურდა სასოფლო მეურნეობაში ელექტრო-ენერგიის გამოყენების მრავალრიცხოვანი შესაძლებლობათა ჩვენება. ფერმაში გატარებულია მაქსიმალური ელექტროფიკაცია. ყველაფერი, დაწყებული ძროხების წველიდან და გათავებული წიწილების გამოჩეკით, ელექტრო-ენერგიით კეთდება. საყოველთაო ყურადღებას იპყრობს ელექტრონული ინკუბატორი, რომელიც ერთ წყებაზე 20.000 წიწილს „ჩეკავს“, არავითარ მეთვალყურეობას ინკუბატორი არ საჭიროებს. ტემპერატურა მასში ავტომატიურად წესრიგდება. სხვა დანარჩენი საინტერესო ექსპონატებია—ელექტრონის ფეჩი, რომელიც თვითონ ხარშავს საჭმელს, ადუღებს წყალსა და სხვ. ფერმაზე განათება, ვენტილაცია, მტვერის წმენდა—ელექტრონულია. ყველა სასოფლო-სამეურნეო მანქანებიც ელექტრო-ენერგიით მუშაობენ.

ქრონიკა

საყვედური ხარჯების შეუმცირებლობისათვის

ამ.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეამოწმა, თუ რამდენად შეასრულეს ამ.-კავკასიის ორგანიზაციებმა დირექტივა ადმინისტრატიულ სამმართველოს ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ, გამოირკვა, რომ ეს დირექტივა არ შეუსრულებია სააქციო საზოგადოებას „ზაკუტილსირიო“-ს, ამიტომ კოლეგიამ დაადგინა—საყვედური გამოეცხადოს საზოგადოების გამგეობას (ადს).

მოსახლეობის ფსიქო - ნერვიული მდგომარეობის შესწავლა

ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა გამოიკვლიოს მოსახლეობის ფსიქო-ნერვიული მდგომარეობა. პირველ რიგში გამოკვლეული იქნება ფშავ - ხევსურეთის და აფხაზეთის მოსახლეობა. ამ მიზნით აღნიშნულ ადგილებში ჯანმრთ. კომისარიატი აგზავნის ფსიქო - ნერვიულ რაზმებს, რომლებიც გამოკვლევის ჩატარების დროს უფასო საექიმო დახმარებას აღმოუჩენენ მოსახლეობას.

პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ

პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ „კომუნისტი“-ს კანტორაში ათ-ათი მანეთი შემოიტანეს **შალვა სანიკიძემ და გიორგი ნოზაძემ.**

პროლეტარულ სტუდენტთა კვირეულის ჩატარებისას კაჭრეთის და არაშენდის თემებში (კახეთის მაზრა) შეგროვილ იქნა 119 მ. 20 კაპ., რაც უკვე გადაგზავნილია დანიშნულებისამებრ.

საგადასახადო შეღავათები საშუალო გლეხებს

აჭარისტანის საშუალო გლეხობის მეურნეობათა საგადასახადო დაბეგვრის შესამსუბუქებლად ამ.-კავკ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სახკომსაბჭოს საშუალო გლეხობის გადასახადის საერთო თანხა 1929-30 საბიუჯეტო წლისათვის შემცირდეს 50 პროცენტით. მცირე შეძლების მეურნეობანი სავსებით განთავისუფლებულნი იქნებიან გადასახადისაგან. (ადს).

ქაღალდის მაკულატურის შეგროვება

მაისის განმავლობაში ამ. - კავკასიაში შეგროვილ იქნა 209 ტონა ქაღალდის მაკულატურა. აქედან სომხეთში—11 ტონა, აზერბეიჯანში — 48 და საქართველოში — 150 ტონა. ქაღალდის მაკულატურის შეგროვება, წარსულ თვესთან შედარებით, 10 პროცენტით შემცირდა. (ადს).

თბ. ალმასკომში

◆ **ავლაბრის თეატრის აგების საქმე.** თბ. ალმასკომმა გადასცა „სამშენს“.

◆ **გარე-უბნებში** კანალიზაციის ქსელის გასაფართოებლად გადადებულია 80 ათასი მანეთი.

სხვადასხვა

◆ **კოლექტიურ მეურნეობებისათვის** დახმარების გასაწევად ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საქ. სას.-სამ. ბანკს გადასცა 49.650 მანეთი.

◆ **მომთაბარეთათვის** საექიმო დახმარების გასაწევად ჯანმრთ. კომისარიატმა ახალქალაქში გაგზავნა ახალი საექიმო რაზმები.

◆ **რემედასის წევრთა კრება.** დღეს, საღ. 6 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება რემედასის წევრთა საერთო კრება სოფლად მიმავალი ამხანაგების სამუშაო გეგმის განსახილველად.

◆ **„ინდუსტრიალური ლირიკა“.** სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა პროლეტარულ პოეტ ქ. ბობოხიძის ლექსების წიგნი — „ინდუსტრიალური ლირიკა“.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ბათომიდან— „ტეხნოვიჩს“, კინეშმიდან — ტეხნიკუმს და ყაზბეგიდან — დევდარიანს.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 11 ივნისის ნომერში მოთავსებულ თბილისის მუშკოოპის ახალ გამგეობის შემადგენლობაში გაიპარა შეცდომა.

გამგეობაში არჩეული იქნა 9 კაცი: ამხ. ამხ. ერისთავი, ძაგანია, ფირიაშვილი, ავეტისოვი, მელხარსკი, სავა ორჯონიკიძე, მაქსიმოვი, დავრიშვილი და ჩახმახსაზოვა.

სარევიზიო კომისიაში არჩეულია 7 კაცი: ამხ. დულაევი, კორენევი, დევდარიანი, ბუაძე, დემეტრაშვილი, ხუხუნაშვილი და პანიევი.

ადგილობრივი მრეწველობის და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა თათბირი

მოხსენებები ადგილებიდან

ოზურგეთის, თბილისის, ფოთის და კახეთის მაზრის წარმომადგენლები შეჩერდნენ ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის მიმდინარე საჭიროებებზე და აღნიშნეს, რომ მაზრებში აღმშენებლობის განვითარებას როგორც მრეწველობის, ისე კომუნალურ მეურნეობის დარგში ხელს უშლის სათანადო სპეციალისტთა კადრების უყოლობა. სენაკის მაზრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაზრას დიდი ხანია უნდოდა ინჟენერ-ტეხნიკოსის მოწვევა, მაგრამ არც ერთი ინჟენერი, არც ერთი ტეხნიკოსი არ დასთანხმდა მაზრაში წასვლაზე.

კახეთის სამაზრო აღმასკომმა როგორც იქნა მოახერხა ერთი ინჟენერის შოვნა, რომელმაც მთელი ზამთარი კახეთში გაატარა, ხოლო როცა დაიწყო სამშენებლო სეზონი, მიატოვა მაზრა და ამჟამად იგი თბილისში მოეწყო მისთვის ალბათ უფრო ხელსაყრელ ადგილზე „სოფლის კავშირში“. ორატორების აზრით, ასეთ სპეციალისტებზე საჭიროა საბჭოთა საზოგადოებრივობამ მოახდინოს სათანადო გავლენა, თორემ ისე ძნელი გახდება ინჟენერ - ტეხნიკოსთა ჩაბმა მაზრებში დაწყებულ აღმშენებლობაში.

მეორე საკითხი, რომელმაც გამოიწვია აზრთა გაცვლა - გამოცვლა ადგილებიდან გაკეთებული მოხსენებების გარშემო, არის კრედიტების გაცემის წესი. ადგილების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ საჭიროა ისეთ ღონისძიებათა სასწრაფო წესით ცხოვრებაში გატარება, რომლებიც საშუალებას მისცემენ ადგილობრივ მრეწველობას და კომუნალურ წარმოებებს თავისივე სახსრებით იარსებონ. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ კრედიტები უნდა მიეცეს მხოლოდ იმ სამრეწველოებს, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ.

სულ თათბირის მე-5 სხდომაზე გაკეთებული იქნა შემდეგი მოხსენებები: ოზურგეთის მაზრიდან — ამხ. **მკურნალის,** თბილისის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებიდან — ამხ. **ვ. სიხარულიძის,** თბილისის კომუნალური ბანკიდან — ამხ. **ნ. ბასილიასი,** სენაკის მაზრიდან — ამხ. **გოგინავასი,** ფოთიდან — ამხ. **ჟვანიასი** და ფოთის სამრეწველო ტრესტიდან — ამხ. **ჭოჭუასი.** მოხსენებების დამთავრების შემდეგ თათბირმა ამოირჩია ორი კომისია სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

მე-6 სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხ. **ი. ბურჯანაძის** მოხსენება კომუნალური მშენებლობის საკითხების მოწესრიგების შესახებ.

მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზ-გაში

მთიელ ებრაელთა გადასახლება ყირიმში

საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ საზ-გამ ცენტრალური საზოგადოებისაგან მიიღო ორდერი 19 მთიელ ებრაელის ოჯახის გადასასახლებლად ევპატორიის რაიონში. გადასასახლებელთა ოჯახების შესარჩევად ქუთაისში გაემგზავრა საქ. მემმს-ის (მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობის საზ-ბის) გამგეობის წევრი ამხ. **იზრაელი.**

ტანსაცმელების მიღება

საქ. მემს-მა სოციალისტურ შეჯიბრებაში ლებულთათვის კოპენჰაგენიდან მიიღო 9 ყუთი ძველი ტანისამოსი, რომელიც უკვე გადაიგზავნა ქუთაისში.

მემმს-ი სოციალისტურ შეჯიბრებაში

საქ. მემმს-მა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აზერბეიჯანის მემმს-ი. შეჯიბრების პირობებია: საზ.-ბის წევრების, კერძოდ არაებრაელ წევრების რიცხვის ზრდა, მემმს-ის უჯრედების მოწყობა წარმოება-დაწესებულებებში, იურიდიულ წევრების ჩაბმა საზ-ბაში, ჟურნალ „ტრიბუნა“-ს გავრცელება, კულტურულ-საექიმო დახმარების გაწევა გადასახლებულთათვის და სხვა.

ეს პირველი მაგალითია, როდესაც საზოგადოებრივი ორგანიზაცია ებმება სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მემმს-ის პლენუმი

22 ივნისისათვის მოწვეულია საქ. მემმს-ის მეორე პლენუმი.

კომისიის გაგზავნა წითელ-გორაში

სოფ. წითელ-გორაში მიემგზავრება კომისია მიწსახკომის წარმომადგენელ ამხ. **ჩუბინიძის** და საქ. მემმს-ის წარმომადგენელ ამხ. **მარკმანის** შემადგენლობით, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ამ რაიონის მშრომელ ებრაელებით დასახლების საქმის მდგომარეობა.

ხორცის დამზადების გასაუმჯობესებლად

ამიერ - კავკასიის სახკომსაბჭომ წინადადება მისცა „სოიუზ - მიასოპროდუქტ“-ის ამიერ - კავკასიის კანტორას სასწრაფო წესით შეუდგეს ამიერ - კავკასიაში ხორცის დასამზადებელი ექვსი ბაზის აგება-მოწყობას. ორი ბაზა მოწყობილი იქნება თბილისში ათასი სული საქონლისათვის. ბაქოში მოეწყობა სამი ბაზა 1.500 სული საქონლისათვის და სადგურ ალაგეზში — ერთი ბაზა 500 სული საქონლისათვის.

ექვსი ბაზის მოსაწყობად უნდა გადასდონ — „სოიუზ-მიასოპროდუქტ“-მა 150.000 მან. და ამიერ - კავკასიის ვაჭრობის კომისარიატმა 100.000 მანეთი.

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატს და ა.-კ. საგეგმო კომისიას მიენდო დაამუშაონ საკითხი ამიერ - კავკასიაში მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობის მოწყობის შესახებ; აღნიშნული საბჭოთა მეურნეობის მოწყობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ამიერ - კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს.

ხელოვნება

მოსკოვის რევოლიუციონური თეატრის გასტროლები

„კაცი პორტფელით“—ფაიკოსი დადგმა რეჟ. დიკის.—მხატ. აკიმოვი.

ამ პიესის შინაარსი თბილისის საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ გასულ სეზონიდან არის ნაცნობი. ავტორი ეხება მნიშვნელოვან თემას — საბჭოთა ხელისუფლებასთან ინტელიგენციის თანამშრომლობისას, მაგრამ ამასთან დაკავშირებულ საკითხებს იმდენად „ნეიტრალურად“ აშუქებს, რომ სადავოდ ხდის თვით პიესის ღირებულებას.

საეჭვო წარსულის სწავლული გრანატოვი, მთავარი გმირი პიესისა, სცდილობს დაუახლოვდეს თანამედროვეობას. ხელს უშლის წარსული. შეუსუსტებელი ნებისყოფით ებრძვის მას. კაცის მოკვლასაც არ ერიდება. ბოლოს რწმუნდება, რომ მისი სურვილი ზერელეა. იგი თავის შინაარსით მაინც წარსულს ეკუთვნის.

ავტორი ცდილობს მორალურად გაამართლოს პიესის გმირი, მიმართავს მრავალ დრამატიულ ხერხებს: ამით მიზანს აღწევს და სხვა მოქმედი პირების გაერთფეროვნებით ცალმხრივობაში ვარდება.

პიესის ლიტერატურული ნაკლოვანებანი ნაწილობრივ იფარება კარგი დადგმით და აქტიორული შესრულებით.

თუმცა რეჟისორი დიკი ახალს არაფერს იძლევა პიესის კადრებად დანაწილებით, მაგრამ გემოვნება და კულტურული ხელი დადგმის დამახასიათებელია. მხატვარ აკიმოვთან ერთად დამდგმელი გადმოგვცემს ავტორის ყოველ განზრახვას თვით დეტალებამდე.

მეიერხოლდის მიერ პირველად გამოყენებულ მოძრავი კედლების საშუალებით და კინოს ამუშავებით, რეჟ-რი იძლევა რეალურ და ეკრანის საგნების ეფექტიან სინტეზს. განსაკუთრებული სიძლიერით მოქმედობს მაყურებელზე სცენები მიმავალ მატარებელში, სადაც შექმნილია ზედმიწევნითი ილიუზია.

მთავარ ყურადღებას მაინც აქტიორები იქცევენ. გრანატოვის როლში **მუზალევსკი** იძლევა გარდამავალი ინტელიგენტის დასრულებულ ტიპს, რომელიც აღზრდით და ჩამომავლობით წარსულშია, მაგრამ გონებით თანამედროვეობასთან; ცდილობს გაინთავისუფლოს თავი წარსულიდან, ორდება და ამ გაორებაში იღუპება.

გაფრანგებული მოზარდის, გოგას, როლში შეუდარებელია ბაბანოვა. მსახიობის მთლიანი შეფასებისათვის საჭიროა უშუალო განცდა იმ ტალანტისა, რომლითაც იგი ასრულებს ამ როლს.

ორლოვისა და გლიზერის მიერ გროტესკული შესრულება როლებისა (რედუტკინები) თუმცა კომიზმში გადადის, მაგრამ სრულიადაც არ უკარგავს ღირებულებას მათ თამაშს.

თავისებური სიახლით და ოსტატობით ჩაატარა ძნელი როლი პროფესორ ანდროსოვისა **ვოლკოვმა.**

დანარჩენ შემსრულებლებს შორის აღსანიშნავია **მარჩენკო** (დედა გრანატოვისა) და გრანატოვის მსმენელის როლში — **ლუკიანოვი.**

ბ. გ.

◆ **მედსანშრომის მუშაკთა კლუბში** დღეს გაიმართება ქუთაისის სატირის თეატრის წარმოდგენა.

◆ **სომეხ და აზერბეიჯანელ მწერლების** პატივსაცემად დღეს მუშათა ახალ კლუბში გაიმართება დიდი საღამო.

სასამართლო

იასონ ფავლენიშვილის „მოღვაწეობა“ სამხრეთ - ოსეთში

საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს რწმუნებულად სამხრეთ-ოსეთში რამოდენიმე წელი დაჰყო ყოფილმა აზნაურმა **იასონ გიორგის ძე ფავლენიშვილმა.**

ეხლაც ამ თანამდებობაზე იქნებოდა იგი, რომ დაკმაყოფილებულიყო იმ სპეც ჯამაგირით, რომელიც მას ჰქონდა დანიშნული. ფართო ცხოვრებას მიჩვეულმა ფავლენიშვილმა კურსი აიღო „გამოსარჩენზე“ და მიზნად დაისახა თავისი პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე.

როგორ ახერხებდა ამას ფავლენიშვილი? ამის შესახებ საბრალმდებლო დასკვნაში უამრავი მასალაა.

1927 წ. ივლისში სამხრეთ-ოსეთში ჩატარებულ იქნა მოსახლეობის 10 პროცენტიანი შერჩევითი გამოკვლევა. აღმწერთა ხელფასის გასტუმრება ევალებოდა რწმუნებულ ფავლენიშვილს. უკანასკნელმა გაისტუმრა აღმწერლები, რომელთაც ხელი მოაწერია უწყების შეუვსებელ ბლანკზე. ბლანკზე არ იყო აღნიშნული — რამდენი მიიღო თვითეულმა ცალ-ცალკე. ხელის მოწერის შემდეგ ფავლენიშვილმა თვითონ შეავსო უწყება. თანამშრომელ მუმაევს მიღებულად ჩაუწერა 130 მანეთი, ნამდვილად კი მისცა 85 მანეთი, კოჩიევს ჩაუწერა—115 მანეთი, ნამდვილად მისცა 100 მანეთი, ჯაბიევს მისცა 80 მანეთი უწყებაში გაატარა 105 მანეთი, სანაკოევს მისცა 100 მანეთი, უწყებაში გაატარა 140 მანეთი.

ზედმეტად გატარებული თანხა ფავლენიშვილმა მიითვისა.

ახალ-გორის რაიონული სტატისტიკოსის თანამდებობაზე სამი თვის განმავლობაში არავინ არ მუშაობდა. ფავლენიშვილის მიერ შედგენილ უწყებაში ახალ-გორის „სტატისტიკოსი“ განუწყვეტლივ იღებდა ჯამაგირს. „რაზედაც თავის საკუთარ ხელს აწერდა“. როგორც შემდეგში გამოირკვა, თული მიდიოდა რწმუნებულის „საკუთარ ჯიბეში“.

ასეთსავე „მკვდარ სულს“ წარმოადგენდა ჯავის რაიონის სტატისტიკოსი. სამი თვე არც ამ თანამდებობაზე არ უმუშავია არავის. რწმუნებული ფავლენიშვილი კი ჯამაგირს იწერდა ისეთი პირის სახელზე, რომელიც არა თუ სტატისტიკოსი არ ყოფილა. არამედ არც არსებობდა სინამდვილეში.

მოსახლეობის საკავშირო აღწერის დროს იყო გამოცემული სათანადო ცირკულიარი, რომლის მიხედვით სტატისტიკურ ორგანოებს უნდა ჰყოლოდათ სათადარიგო აღმწერლების კადრი. ეს სათადარიგო აღმწერლები ავადმყოფობის შემთხვევაში შესცვლიდნენ რაიონულ აღმწერლებს. ასეთი კადრი რწმუნებულ ფავლენიშვილს სამხრეთ-ოსეთში არ ჰყოლია, მაგრამ ჯამაგირის უწყებას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ სათადარიგო აღმწერლების რიცხვი საკმაოდ დიდია, ისინი (!) სისტემატიურად იღებენ ჯამაგირს, რაზედაც მათ მაგიერ თავის საკუთარ ხელით ყალბ ხელის მოწერას აკეთებდა ფავლენიშვილი. მათი ჯამაგირი მიდიოდა რწმუნებულის ჯიბეში.

სტატისტიკურ ბიუროს ცენტრალურ სამმართველოს თანამშრომლები კოტლოვი და სანაკოევი დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან, პირველი 22-ს და მეორე—5 ოქტომბერს. მათ მიიღეს სრული ანგარიში. რწმუნებულმა ფავლენიშვილმა ეს თვე დაამრგვალა და ორთავე დათხოვნილ თანამშრომლის ოქტომბრის თვის ჯამაგირი მან მიიღო.

თანამშრომელი ტადაევი გასული წლის 23 მაისიდან 5 ივლისამდე ავადმყოფობის გამო დამზღვევ სალაროზე იყო გადარიცხული. ფავლენიშვილის მიერ შედგენილ უწყებას თუ დაუჯერებთ, ტადაევი ჯანმრთელად არის ამ ხნის განმავლობაში და დაწესებულებიდან იღებს ჯამაგირს. აქაც ყალბი ხელის მოწერის საშუალებით ფავლენიშვილი ითვისებს ტადაევის სახელზე გამოწერილ ფულს.

სულ სიყალბეზეა აგებული ფავლენიშვილის მუშაობა. მის საფინანსო „ანგარიშში“ რევიზიამ აღმოაჩინა „საბუთი“, რომ ფავლენიშვილმა 60 მანეთი გადაუხადა გლეხ **მიხა ტარიელაშვილს,** რომლისგანაც სამსახურის საქმეებისათვის (!) ნაქირავები ჰყავდა ცხენი. გამოძიების დროს დაკითხული იქნა ტარიელაშვილი. გამოირკვა, რომ მას არასოდეს ცხენი არ ჰყოლია და არც არაფერი მიუღია ფავლენიშვილისაგან.

ასეთი „გასამართლებელი საბუთებით“ სავსეა ფავლენიშვილის ანგარიშები.

ამდენი „გამოსარჩენი“ ჰქონდა საქართველოს სტატისტიკურ სამმართველოს რწმუნებულს სამხრეთ-ოსეთში. ფავლენიშვილი ზის გამასწორებელ სახლში.

ფავლენიშვილი გასამართლებულ იქნება საჯაროთ. საქმეს გაარჩევს საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესია, რომელიც მოკლე ხანში მიემგზავრება სამხრეთ-ოსეთში.

ბერ.

შემთხვევები

აივნიდან გადმოვარდნა

კომუნალური ქ. № 36 სახლის აივნიდან გადმოვარდა ეთერი მოსეს ასული ფუცვინი და მძიმედ დაშავდა. ფუცვინი გადაიგზავნა 1-ლ საავადმყოფოში.

შეპყრობა

შეიპყრეს არტემ არუთინის ძე მირზოევი, რომელთანაც თინა მაჩაბელს — 9 წლის ბავშს, სისტემატიურად მიქონდა მშობლებისაგან მოპარული ნივთები. ნივთების ღირებულება უდრის 200 მანეთს.

ქურდობა

გაქურდეს კონსტანტინე გაგნიძის ბინა (პლეხანოვის პრ. № 96), წაიღეს 180 მანეთის ნივთები. — ტიგრან ტატეოსოვის ბინიდან (კამოს ქ. № 17) მოიპარეს 400 მანეთის ნივთები.

ჯიბგირობა

ნიკოლოზ ქარცივაძეს ტრამვაის ვაგონში ამოაცალეს 55 მანეთი. — წყნეთის ქ. № 33 მდებარე საკანდიტროში ივანე მეტრეველს მოპარეს სხვადასხვა ნავაჭრი ფართლეულობა.

ბანდიტის გაქცევა

28 მაისს სიღნაღის საპატიმროდან გაიქცა ბანდიტი ამრიკო სვიმონის ძე მაჭარაშვილი. ბანდიტმა გაქცევის დროს მოჰკლა გუშაგი მილიციელი დიანოზ ბეგაშვილი, გაიტაცა ორი თოფი, ორი სავსე სავაზნე, ორი რევოლვერი და ერთი სახაზინო შეკაზმული ცხენი.

ბანდიტის მოკვლა

ამას წინათ კახეთში მოკლულ იქნა ცნობილი ბანდიტი ვანია ადუაშვილი, რომელსაც თან აღმოაჩნდა სხვადასხვა პირების სახელზე გაცემული მოწმობები და მრავალი ნივთები. სხვათა შორის მოკლულის ჯიბეში აღმოჩნდა თიანეთ - ერწოს რაიონის სახალხო გამომძიებლის ბეჭედი (ლუქის). აღნიშნული ბეჭედი და სხვა მნიშვნელოვანი საგამომძიებლო საბუთები ბანდიტებმა თავდასხმის დროს წაართვეს თიანეთ - ერწოს სახალხო გამომძიებელს ამხ. ლორთქიფანიძეს. მოკლულს დარჩა ერთი ფაშატი ცხენი თავის მოკაზმულობით. აღმოჩენილი საბუთები და ნივთები ინახება კახეთის სამაზრო მილიციის სამმართველოში (გურჯაანში).

რკინის გზეზე

გამომგონებლობის საქმის განსავითარებლად

ა.-კ. რკ. გზის გამგეობასთან გამგეობის წევრის ინჟ. გვერდწითელის თავმჯდომარეობით დაარსებულია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მუშათა გამოგონებების და წარმოების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებების განხილვა და მათი ცხოვრებაში გატარების დაჩქარება.

ანალოგიური კომისიები დაარსებულია ხაზებზე საწარმოო-სამეურნეო ერთეულებთან.

ხაზზე არსებულ კომისიებს მიცემული აქვს წინადადება ა.- წ. 15 ივლისამდე დაამთავრონ აღრიცხულ გამოგონებათა და წინადადებების განხილვა - შემოწმება, შეადგინონ მათი ცხოვრებაში გატარების გეგმა და გადაუგზავნონ იგი გზის გამგეობასთან არსებულ კომისიას.

გეგმებში ნაჩვენები უნდა იყოს, თუ რა თანხა იქნება საჭირო ამა თუ იმ გამოგონების ან წინადადების ცხოვრებაში გასატარებლად, მოყვანილი უნდა იყოს ცნობები მათი გამოყენების მიზანშეწონილების შესახებ, თუ რა ხნის განმავლობაში შეიძლება ახალი გამოგონების შემოღება წარმოებაში და სხვა.

საწ. კომისიების და თათბირების დადგენილებათა განსახორციელებლად

ა.-კ რკინის გზის ხაზებზე ჯერ კიდევ აქვს ადგილი შემთხვევებს, როდესაც ადმინისტრაცია აგვიანებს საწარმოო კომისიების და თათბირების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

გზის გამგეობის მიერ მიღებულია ზომები ასეთი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად. ხაზებზე არსებულ ადმინისტრატიულ ერთეულების ხელმძღვანელებს დავალებული აქვთ მკაცრი პასუხისმგებლობით თვალყური ადევნონ საწარმოო კომისიების და თათბირების დადგენილებათა თავის დროზე განხორციელებას.

ყველა ეს დადგენილებები გატარებულ უნდა იქნენ ცხოვრებაში რაციონალიზაციის ფონდის კრედიტების ხარჯზე.

ამასთანავე დაწესებულია მტკიცე ვადები საწარმოო კომისიებში და თათბირებში შეტანილ წინადადებათა განსახორციელებლად.

საცდელი მატარებელი

ამ დღეებში თბილისიდან ხაშურში გაიგზავნება ასი ათასი ტონის სიმძიმის საცდელი მატარებელი, რომელსაც თან გაჰყვება გზის გამგეობის მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისია.

გზადაგზა ჩატარებული იქნება ცდები იმის გამოსარკვევად, — შეიძლება თუ არა თბილის - ხაშურის უბანზე ასეთი სიმძიმის მატარებლის ტარება.

თუ ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღო, გზის ხსენებულ უბანზე დაწესებული იქნება ასეთი მატარებლების მოძრაობა, რაც ხელს შეუწყობს ტვირთზიდვის გადიდებას.

ლოდი ლიანდაგზე

12 ივნისს, სანაინ ყალაგერანის შუა რკინის გზაზე მთიდან ჩამოვარდა ლოდი.

ხაზი დაკავებული იყო ერთი საათის განმავლობაში.

დაჯახება

12 ივნისს, სადგ. გრაკალიდან სახალხო მატარ. № 68-ის წასვლის დროს, უკანასკნელს დაეჯახა გორიდან წამოსული ვაგონი.

დაჯახებას რაიმე სერიოზული ზიანი არ მოჰყოლებია.

ამინდი ა.-კავკასიაში

ივნისის პირველი ათი დღის განმავლობაში მთელ ამიერ - კავკასიაში თბილი და ნორმალური ამინდი იყო. აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოს ზოგ რაიონებში ნალექებს ადგილი არ ქონია და თითქმის ყველგან გვალვა იყო. გვალვის გამო სათესი მიწების დიდი ნაწილი დაუთესავი დარჩა; ამის გამო მოსალოდნელია ჭირნახულის უფრო ნაკლები რაოდენობით მოწევა, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო. საერთოდ აღნიშნულ რაიონებში ნათესების მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელი.

აღმოსავლეთ საქართველოში მაისის უკანასკნელ რიცხვებში განუწყვეტელი წვიმების შემდეგ დადგა გვალვა. ხანგრძლივ გვალვას ადგილი აქვს ბორჩალოს მაზრაშიაც, სადაც უკანასკნელად მოვიდა სეტყვაც. სეტყვამ გაიარა ალაზნის ველებზედაც. ბორჩალოში და ალაზნის ველზე სეტყვამ დააზიანა ბაღები, ვენახები და ნათესები.

აზერბეიჯანში ამინდი ხელს უწყობს სამრეწველო კულტურათა ზრდას და განვითარებას.

სომხეთში განუწყვეტელი წვიმების შემდეგ ამინდი გამოკეთდა და არის იმედი, რომ ნათესების მდგომარეობა გაუმჯობესდება.

იურიდიული დახმარება

მარიამ დემეტრაშვილს

კითხვა:

ჩემმა ქმარმა, რომელთანაც კანონიერი შეუღლებით ვცხოვრობდი ხუთი წელიწადი და რომელისგანაც მყავს ორი შვილი, ჩემს გარეშე და ჩემს შეუტყობინებლად აიღო განქორწინების მოწმობა თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების მმაჩის ბიუროდან. მე მსურს ვიცოდე: ხდება თუ არა განქორწინება ისე, როდესაც ამის შესახებ არაფერი იცის მეორე მხარემ და აქვს თუ არა უფლება მმაჩს გასცეს ასეთი მოწმობა მეორე მხარის უცოდინელად.

პასუხი:

კანონის თანახმად მმაჩი ვალდებულია განცხადება განქორწინების შესახებ განიხილოს მხარეთა დაბარებით, მაგრამ თუ განმცხადებელმა მხარემ განაცხადა, რომ მან არ იცის მეორე მხარის მისამართი, მაჩი გამოაკრავს თავის სადგომში განცხადებას საქმის განხილვის დღის შესახებ. საქმის განხილვა დაინიშნება არა უადრეს ორი კვირისა დღიდან განცხადების გამოკვრისა. მხარეთა გამოუცხადებლობა საქმის განხილვას ვერ შეაჩერებს.

პროფკავშირის წევრს წიგნ. № 14-6179

კითხვა:

ჩემმა ძმამ 1923 წელში მოიკლა თავი. მას დარჩა ცოლი და ვაჟი, დაბადებული 1921 წ. მცირე წლოვანს დაენიშნა მეურვე დედის სახით, რომელიც გათხოვდა. ამის შემდეგ ბავშს ეჩრევა მოუვლელობა, გარდა ამისა იფლანგება მამის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონება დედისა და მამინაცვლის მიერ, ნაწილობრივ კი ფუჭდება. მე როგორც ობოლი ბავშის ბიძა გეკითხებით, როგორ მოვიქცე, რომ ბავშს არ დაეკარგოს ქონება.

პასუხი:

შეკითხვაში აღნიშნული გარემოებანი უნდა ეცნობოს სამეურვეო დაწესებულებას და ის მიიღებს სათანადო ღონისძიებას, რათა დაცულ იქნეს მცირე წლოვანი ობოლის ქონებრივი მდგომარეობა, თუ სამეურვეო დაწესებულებამ გამოარკვია, რომ ის, რაც თქვენ სწერთ, შეეფერება სინამდვილეს, გადააყენებს დედას მეურვეობისაგან.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სსრ სასამართლოს წყობილების დებულების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. საქართველოს ს.ს.რ. სასამართლოს დებულების მე-V თავის სათაური შეიცვალოს შემდეგნაირად: „თავი V. გამომძიებლები“.

2. სასამართლოს წყობილების დებულების 32, 35, 36 და 38 მუხლები შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 32. გამომძიებლები არიან: ა) სახალხო გამომძიებლები, განწესებულნი საგამომძიებლო უბნებში და ბ) უდიდეს საქმეთა გამომძიებლები, განწესებულნი იუსტიციის სახალხო კომისარიატთან“.

„მუხ. 35. სახალხო გამომძიებლების უბნების ფარგლებსა და რიცხვს აწესებს იუსტიციის სახალხო კომისარი საპროკურატურო განყოფილების წარდგენით“.

„მუხ. 36. გამომძიებლებს თანამდებობაზე დანიშნავს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიყვანს და თანამდებობიდან გადააყენებს იუსტიციის სახალხო კომისარი საპროკურატურო განყოფილების წარდგენით“.

„მუხ. 38. სასამართლოებთან, პროკურატურასთან, მოკვლევის ორგანოებთან და ხელისუფლების სხვა ორგანოებთან ურთიერთობის დროს გამომძიებლები იხელმძღვანელებენ სისხ. სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო მუხლებს და იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციებსა და განმარტებებს“.

3. სასამართლოს წყობილების დებულებას დაემატოს 36^1 მუხ. შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 36^1. სახალხო გამომძიებელი მოქმედობს თავისი საგამომძიებლო უბნის ფარგლებში.

უდიდეს საქმეთა გამომძიებელი გამოძიებას აწარმოებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“.

4. სასამართლოს წყობილების დებულებიდან ამოიშალოს 33 მუხლი.

II.

მიენდოს აფხაზეთის ს.ს.რ.-ისა, აჭარისტანის ავტონომიური ს.ს.რ.-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ სათანადო ცვლილებანი თავიანთ კანონმდებლობაში სასამართლოს წყობილების შესახებ, ამასთანავე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სათანადო დადგენილება უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ: ვ. სტურუა.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: შ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტ. მდივანი: ს. თოდრია.

1929 წ. მაისის 10.
ტფილისი — სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მუშა და გლეხქალთა განყოფილება სთხოვს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს საფეიქრო კურსებზე გაგზავნის საკითხზე მოსალაპარაკებლად გამოცხადდნენ ცეკას მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებაში: კობახიძე, გოგიაშვილი, მანჯგალავა და ქორიძე.

გამოცხადება სავალდებულოა.

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომი იუწყება, რომ 14 ივნისს, ნაშუადღევის სრულ 2 საათზე, რაიკომის შენობაში (საბჭოთა ქ. № 122) შესდგება იმ კომკავშირელ-მოსწავლეების საორგანიზაციო კრება, რომლებიც ზაფხულზე თბილისში რჩებიან.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საქ. სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტის კომკავშირის უჯრედის კრება შესდგება დღეს, 14 ივნისს, საღ. 7 საათზე მეექვსე აუდიტორიაში. კომკავშირის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს, საღამოს 5 საათზე, სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის ბიურო-კოლექტივის ოთახში შესდგება ბანაკად მიმავალ კომკავშირელების თათბირი.

დასწრება სავალდებულოა ბანაკად მიმავალ ყველა კომკავშირელებისათვის.

— საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ც. კ. აცხადებს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგები, რომლებსაც მიცემული აქვთ განცხადებები [illegible] სამხედრო - საზღვაო სასწავლებლებსა და ძერჟინსკის საზღვაო საინჟინერო სასწავლებლებში მიღების შესახებ, 15 ივნისს უნდა გამოცხადდნენ კომკავშირის ცეკაში ამხ. ჩურღულიასთან აუცილებლად საჭირო ცნობების მისაღებად.

ტუღუში ვლადიმერ, იაშვილი ივანე, ხუდოვერდოვი იოსები, ბოიკო ბ., ანანაშვილი ივანე, ზაქარიანი ანტონ, კიუმარეშვილი ივანე, დვალი ნიკოლოზ, პაპაზიანი ამ., გვალია ალექსანდრე, დაისი პავლე, ბარათაშვილი იოსები, აბაზოვი აშოტი, ჩიკაშუა ბენია, აიდინოვი ივანე, შაუმიანი ლევანი, ხონელიძე ამბერკი, სტეპანიანი გურგენი, ბულავაძე ვლადიმერ, მჭედლიშვილი ნიკოლოზ, ჩიქვანია გრიგოლ, ლებედევი პეტრე, ერანოსოვი გრიგოლი, დენისოვი ვასილი, აბასაძე იოსებ, შტეინბერგი იაკობი, შმელიოვი პავლე, სუსანოვი ასლანი, კრავცევილი ნ., კარკლინოვი ა., დოლიძე თომა, დუბასოვი ვასილი, ჩაჩანიძე ივანე, ჯიშკარიანი გიორგი, უგრეხელიძე გიორგი,, გეგეჭკორი სილოვანი, ბოძაშვილი ირაკლი, ჩიქოვანი მიხეილ, დოლიძე სილიბისტრო, ჟუკოვსკი გრიგოლი, ძრიელიშვილი ალექსანდრე, საკაროვი ალექსანდრე, მაჭავარიანი, მირაქოვი აშოტ, ჯაფარიძე მიხეილ, რაევი და ტარუტინი სერგო.

მეუღლე ელისაბედი, შვილები თამარ, ნინო და ქეთევან კვალიაშვილები აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ

მიხეილ ლავრენტის-ძე კვალიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 1-ლ თუმანოვის ქუჩა № 17. 2220

მამა ლავრენტი ივანეს ძე და ძმა ალექსანდრე კვალიაშვილები აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს საყვარელი შვილისა და ძმის

მიხეილ ლავრენტის-ძე კვალიაშვილის

გარდაცვალებას. 2220

ანა ლავრენტის ასული და ალექსანდრე დიმიტრის-ძე დავითიშვილები პატარა ნანიკოთი აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ძმისა და მოყვარის

მიხეილ ლავრენტის-ძე კვალიაშვილის

გარდაცვალებას. 2220

დავით ბესარიონის-ძე მეუღლით—სანდუხტა სიმონის ასული მაჭარაშვილები აუწყებენ ნათესავებს საყვარელი სიძის

მიხეილ ლავრენტის-ძე კვალიაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. 2220

ვანიჩკა მაჭარაშვილი ცოლშვილით და მშობლებით აუწყებს ნათესავებსა და ნაცნობებს საყვარელი სიძის

მიშა ლავრენტის-ძე კვალიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 2220

ადიკო—დედით, ძმით, და ვალოდია ცოლ-შვილით კვალიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას ნათესავის და მეგობრის

მიხეილ (მიშა) ლავრენტის-ძე კვალიაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 14 ივნისს, ბინიდან (1-ლი თუმანოვის ქ. № 17), ნაშუადღევის 4 საათზე. 2209

„სოფლის კავშირი“-ს, „კოლმეურნცენტრი“-ს და „სოფლის მეურნე“-ს მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს მათ ძვირფას

ამხ. მიშა ლავრენტის-ძე კვალიაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 14 ივნისს, 3 ნახ. საათზე. 1-ლი თუმანოვის ქ. № 17. (შ)

„საქართველოს ღვინო“-ს გამგეობა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას იშვიათი თანამშრომლის და თავდადებული მუშაკის

მიხეილ ლავრენტის-ძე კვალიაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ივნისის 14-ს ნაშუადღევის 4 საათზე ბინიდან, 1-ლი თუმანოვის ქუჩა № 17. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2216

„საქართველოს ღვინო“-ს მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას ამხანაგის

მიშა კვალიაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ივნისის 14-ს, ნაშუადღევის 4 საათზე. 2217

გულმოკლული ძმები: ივანე, რაჟდენ და შალვა მეთეს-ძე ცაგარეიშვილები; რძლები: ლილი, ოლია და შუშანა; ძმისწულები: ედიკო, ნოშრევანი, კიტა, დოდო და ნანული აუწყებენ ნაცნობ-ნათესავთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი

მაშიკო ცაგარეიშვილი-შენგელია

გამოსვენება შაბათს, 5 საათზე, სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 ნახ. საათზე ბინაზე—გუნიბის ქ. მე 2 ჩიხი, № 4. (შ)

დამწუხრებულნი მშობლები ნინა და გერმანე, და ელეონორა, ბებიები ივდითი და ელისაბედი, ბაბუა ალექსანდრე, ბიცოლა ლოლა, ბიძა პანტელეიმონი, მამიდები შურა, ვენერა და ოლია; სიძეები აკაკი და ვასო იუწყებიან, რომ 12 ივნისს, მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ყონი კეშელავა

გამოსვენება შაბათს, 15 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე ქალაქის პირველ (ყოფ. არამიანცის) საავადმყოფოდან. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2225

სახელგამი

იბეჭდება და გამოვა ამ დღეებში
მე-16 საქ. პარტკონფერენციის შესახებ:
1) მე-16 საქ. პარტკონფერენციის რეზოლიუციები
2) მ. კალინინი—სასოფლო მეურნეობის განვითარების გზები
3) ე. იაროსლავსკი—კ. პ. (ბ) წევრთა და კანდიდატთა წმენდის შესახებ
4) იაკოვლევი—ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ
5) ა. ი. რიკოვი—სახ. მეურნეობის განვითარების 5 წლიან გეგმის შესახებ
ვ. კუიბიშევი და კრიჟანოვსკი—თანამოხსენებანი ამავე საკითხზე
წიგნები წინასწარ დაიკვეთეთ სახელგამის მაღაზიებში თბილისში და პროვინციაში.
პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოდ!
2859

შაბათს 15 ივნისს
სახელმწიფო ბაღის გახსნა (ყოფ. არტო, პლეხანოვის პრ. 105)
1. ესტრადზე სიმფონიური კონცერტი 50 კაცისაგან
ა. გველესიანის ხელმძღვანელობით
პროგრამაში: ჩაიკოვსკი, ვაგნერი, ლისტი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
2. აფონინი—იუმორისტი-სატირიკოსი. დასაწყისი საღამოს 10 ნახ. საათზე.
3. ვერა მაიას ანსამბლი— ახალი ხორეო-დადგმა დასაწყისი საღამოს 11 ნახ. საათზე.
კონფერანსიე—ი. ა. ვოლსკი
თეატრში—კინო. ფასები ხელმისაწვდომია
ბაღში უკრავს სამხედრო ორკესტრი ცხომელიძის ხელმძღვან.
3—1 ადმინისტრაცია

მუშკოოპი შეუდგა შეშის გაყიდვას
შეშა მიეცემა პაის პატრონებს ნაღდ ფულზე
ა. წ. 1 აგვისტომდე
შეშის ანგარიშში კოლექტიური დაკვეთით შეიძლება მიღებულ იქნას იმ სამეურნეო ორგანიზაციების თაოსნობით სადაც მეპაიეები მუშაობენ
ცნობების მიღება შეიძლება
მუშკოოპის სათბობ განყოფილებაში
მაზუთის შესახვევი № 5, ტელეფონი № 11—99
3—1 2858

ანა ვასილის ასულ
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერტის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) ტ კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ. საღამ. 6—7 საათ. ქალები 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან). 25—1

სახკინმრეწველოს კინოები
სახაფხულო აპოლო — უცხოეთის ახალი ფილმი მწვანე შესახვევი დადგმა რიხარდ ოსვალდის
სახაფხულო ეთერი — უკანასკნელი დღე ჩიკაგო
სახაფხულო პალასი — პატი და პატაშონი ყველაზე მხიარულ კომედიაში ძალა და სილამაზე
მინიონი — სოლცევა და მინდლინი სურათში გულუბრყვილო მკერავი
აპოლო — მხატვრული ფილმი ამბოხება დ. ფურმანოვის მოთხრობის მიხედვით
სოლეი
მალე 2 ჯავშნოსანი და დიდი ქალაქის სიმფონია

სახელმ. ოპერა
მოსკოვის რევოლიუციის თეატრი
დღეს, 14 ივნისს I აბონემენ. II. წარმოდგენა
ჰოპ-ლა, ჩვენ ვცოცხლობთ!
დასაწყისი საღამოს 8 საათზე
ბილეთების ნაწილი იყიდება ჩვეულებრივი წესით
ბ. 2833 სალარო ღიაა 11 2 და 6—10 საათამდე

პარასკევს, ივნისის 14, საღამოს 6 საათზე
გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობაში
(რუსთველის გამზ. № 34)
დანიშნულია
„კომუნისტ“-ზე ხელისმოწერის შემკრებ აგენტების კრება
დასწრება ყველა აგენტებისათვის სავალდებულოა.
2—1 „კომუნისტი“-ს გამომცემლობა

შაბათიდან 15 ივნისიდან
სახაფხულო კინო
ეთერში
ცნობილი სურათი
დიდი ქალაქის სიმფონია

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01. 25—1

საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირის გამგეობა
აცხადებს, რომ ა/წ. 15 ივნისს საღამოს 6 საათზე კლუბში (პლეხანოვის პრ. № 66)
შესდგება
„საქსარეწკოოპკავშირი“-ს რწმუნებულთა მეორე კრება
დღის წესრიგი:
1. კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება 26/27, 27/28 წლ. და 28/29 წლ. პირველ ნახევრისათვის.
2. საბჭო და სარევიზიო კომისიის მოხსენებები.
3. გეგმა და ხარჯთაღრიცხვა 28/29 წლისათვის.
4. საინფორმაციო მოხსენება ურთიერთდახმარების სალაროების შესახებ.
5. საკ. კოოპ. ბანკის საქართველოს განყოფილების საინფორმაციო მოხსენება.
6. მოგებისა და გრძელვადიანი სესხის განაწილება.
7. კავშირის ახალი წესდების განხილვა და დამტკიცება.
8. კავშირის საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
9. მიმდინარე საქმეები.
გამგეობა.

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების ტ პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

პროფ. გრ. მ. მუხაძე
თბილისიდან წასულია და დაბრუნდება 20 ივნისს. 13—1

ქ. ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩიჩელაშვილი
იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს
დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პრსპ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 6. 20 25—1

ექიმი ოდონტოლოგი
აპოლონ პავლეს ძე
ურუშაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 8 ნახ. საათიდან 12 საათამდე. 2014—13—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19, ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 5. 25—1

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და ნაკლულობანი ხმის და მეტყველებისა
ქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ბონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: საღამოს 5—7 საათ გარდა კვირა დღეებისა. ტელ. № -2573 25—6 124-50

დაიკარგა: ობლიგაციის ტალონი სერია ა. 06 № ა. 0070052 (პროცენტიანი) სერია ა. 11 № ა. 01852 (უპროცენტო) და რკინის გზელთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 2152 ალექსანდრე მიხეილის ძე აბუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2213

დაიკარგა: პარტიული ბილეთი № 0854034, იარაღის ტარების ნებართვა № 5974, პირადობის მოწმობა № 90, სასურსათო ბილეთი № 90, მებარგეობის გამოცდების ჩაბარების მოწმობა, უვადო პასპორტი ოჯახის შემადგენლობაზე № 24829 ვასილი დიმიტრისძე დოგუზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2211

დაიკარგა: მედსანშრომის მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 7547 ნინა გელაძის სახელზე, ჩ. გ. 2210

დაიკარგა: პურის წიგნაკი № 1418 არტემ ფაილაძეს სახელზე, ჩ. გ. 2184

დაიკარგა: პურის წიგნაკი № 169 სედრაკ სარკისიანის სახელზე, ჩ. გ. 2185

დაიკარგა მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 18537 ნინო მიხეილის ასული ბიბილაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2218

დაიკარგა: საანგარიშო წიგნაკი სიმონ გაბუნიას სახელზე, ჩ. გ. 2219

დაიკარგა: „ზაკტპოს“ საწევრო წიგნაკი № 73826 დავით ვასილის ძე მახიტაძის სახელზე, ჩ. გ. 2221

დაიკარგა: მატრიკული № 168 საქართველოს სამხატვრო აკადემიის მიერ გაცემული ალფეზ პროფილეს ძე კოპალიანის სახელზე, ჩ. გ. 2214

დაიკარგა: თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოს მიერ 1928 წ. 19 აპრილს გამოტანილი განაჩენი ალექსი გრიგოლის ძე ნოდიას სახელზე, ჩ. გ. 2224

დაიკარგა: პურის წიგნაკი № 8 ბიქტორ თომასძე პაპკაძის სახელზე, ჩ. გ. 2222

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 97 ანდრო რევაზის ძე გაგნიძის სახელზე, ჩ. გ. 2223

ტირაჟი—39,262
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68
მთავლიტი № 904.